ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

## 30 ივლისიდან!

„ახალი თაობა“ +
რაინდები და ციხე-კოშკები
ფასი გაზეთთან ერთად
10 ლარი




3 — 4 აგვისტო, 2013 №182 (6183) ფასი: 30 თეთრი



# „ქართული ოცნების“ დაშლა დაიწყო

გვ.3

რატომ დატოვა კობა დავითაშვილმა უმრავლესობა

## დავით უსუფაშვილი: „ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიებას რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაესვას წერტილი“

გვ.5



## რატომ ცდილობდნენ რუსები საქართველოსთვის კომანის ეკლესიის წართმევას

გვ.3

## თინა ხიდაშელი: „დავითაშვილი ელოდა მომენტს, რომ კოალიციიდან წასულიყო“

გვ.5





გვ.6

## გოგა ხაინდრავა: „საქართველოში სასამართლო დაპყრობილია“

საკაშვილმა ქვეყანაში სინდისი გააუქმა

## „სასამართლოს სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა“

გვ.2






## შსს-მ ერთი კილოგრამი „ჰეროინი“ ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1960 წელს დაბადებული თურქეთის მოქალაქე ელისო უ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, პოლიეთილენის პარკში 2 შეკვრად დაფასოებული ერთი კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ ამოიღეს. ელისო უ. ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში, საბაჟო-გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

ISSN 1987-
9 771987 938006

## 25 ივლისიდან!

„ახალი თაობა“
+
„მგლის ბილიკი“
6 ლარი




ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# თეა თუთბერიძე: „პრეზიდენტის შესაწყალებელი ახალაიას არაფერი სჭირს“



შორენა გონგლაძე

**— მინდა მოგილოცოთ ყველას, რომ დღეს გამოჩნდა პირველი კონტურები თავისუფალი და დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობის. მინდა დარწმუნებით გითხრათ, რომ ბაჩო ახალაია არა შეწყალებით, არამედ სრული გამართლებით ძალიან ჩქარა დატოვებს სასჯელაღსრულების დაწესებულებას, — ეს განცხადება თეა თუთბერიძემ გუშინ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.**

როგორც თუთბერიძემ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გუშინდელ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, ახალაია გამართლებული დატოვებს სასჯელაღსრულების სისტემას.

— ბაჩო ახალაია ძალიან მალე დატოვებს სასჯელაღსრულების სისტემას, რადგანაც მის წინააღმდეგ არ არსებობს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველი. პრეზიდენტის შესაწყალებელი ახალაიას არაფერი არ სჭირს, ის გამართლებული დატოვებს სასჯელაღსრულების სისტემას. თქვენ იცით, რომ გუშინ, ბაჩო ახალაიას საქმეზე, რომელიც შედგებოდა სამი ეპიზოდისაგან, დადგა გამამართლებელი განაჩენი. საზოგადოება მთელი წლების განმავლობაში უპასუხისმგებლო უფლებადამცველების და პოლიტიკოსების მხრიდან იკვებებოდა იმ ინფორმაციებით, რომ ბაჩო ახალაია იყო მწამებელი, სადისტი, მოძალადე, მკვლელი და ჯალათი. ამ ფონზე საზოგადოებაში იყო განცდა, რომ ახალაიას უნდა დამტკიცებოდა ბრალი, თუმცა საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც დადიოდა ახალაიას პროცესებზე, ხედავდა ყველაფერს, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა პროკურატურას ახალაიასადმი. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მიღებული ფორმაა, რომ ისეთი ადამიანის მიმართ, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა თავისი ქვეყნისთვის, აწოდებდნენ წვეთ-წვეთად ახალაიას წინააღმდეგ ღვარძლს და ამით ცდილობდნენ ხალხის სიძულვილი მიემართათ მისდამი. რა გასაკვირია თუ ჩვენი საზოგადოება ვერ დააფასებს ბაჩო ახალაიას, — აცხადებს თუთბერიძე. მისივე თქმით, საქართველომ ვერ დააფასა ისეთი საზოგადო მოღვაწეები, როგორიცაა ილია ჭავჭავაძე, სულხან-საბა ორბელიანი და კიდევ ბევრი სხვა.

— მინდა ვისაუბრო იმ ორ საქმეზე, რომელი საქმეებიც ამ ეტაპისთვის არის თბილისის საქალაქო სასამართლოში, ეს არის ე.წ. წამება სპეცნაზის თანამშრომლების, რომლებიც ამ წამებიდან 6 დღის მერე ისვენებდნენ და საკმაოდ კარგ დროს ატარებდნენ ანტალიაში. ეს საქმე არის საერთოდ უპერსპექტივო და წარმოუდგენელია ამ საქმეზე გამართლებული განაჩენის დადგომა. არ არსებობს არც მოწმე და არც ე.წ. დაზარალებულების ჩვენება, რომ მათი წამება მოხდა ბაჩო ახალაიას დავალებით. მეორე საქმე ეს არის ციხის ბუნტის საქმე, მე ვერ მაჩვენებთ ვერც ერთ შემთხვევას, როცა ასეთი ბუნტი ჩაეხშოთ ბუშტებით და ყვავილებით, ბაჩო ახალაია მაშინ დაუპირისპირდა ქურდულ სამყაროს, რომელიც მართავდა სიტუაციას არა მარტო ციხეში, არამედ ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც კი. როდესაც ქურდები მოთავსდნენ იზოლატორებში და სახელმწიფომ აიღო ხელისუფლების სადავეები, მათ გაუჩნდათ რევანშის სურვილი, რაშიც ეხმარებოდნენ ისევ კრიმინალური უფლებადამცველები, ე.წ. პოლიტიკოსები და მათი ოჯახის წევრები. მათი ჩვენებები რომ ნახოთ, დარწმუნდებით, რომ ეს ჩვენებები მოქმედებს ბაჩო ახალაიას სასარგებლოდ, მაგალითად, პლატონ მამარდაშვილი თავის ჩვენებებში წერს, რომ საერთოდ არ აინტერესებდათ საერთო თანხის მითვისება. მათ სურდათ ქურდების წელში გატეხვა და მართვის სადავეების ხელში აღება. სწორედ ამიტომ ეძებდნენ სიებს. ბევრი ასეთი ციტირება შეიძლება მოვიყვანოთ და სწორედ ამიტომაც ეს საქმეც არის აბსოლუტურად უპერსპექტივო. ამ საქმეზე უკვე დამდგარია წინა ხელისუფლების განაჩენი, რომელიც არ გაუქმებულა. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ დაკავებული იქნა მხოლოდ ბაჩო ახალაია, როგორც დამკვეთი და არსად ჩანს შემსრულებელი, რაც აბსურდია. როგორც კი ბაჩო ახალაია დატოვებს საპყრობილეს, მაშინვე მთელი ხალხი გაიგებს, როგორც ჩამოირეცხავს ბაჩო მთელ სიბინძურეს, რაც კი ამ ხელისუფლებამ დაახვია თავს. ამ ხელისუფლებამ პიარი გაუკეთა ბაჩო ახალაიას. მთავრობა ყველას ეუბნება, რომ იგეგმება პრეზიდენტის მიერ ბაჩოს პირადი შეწყალება, მინდა გითხრათ ყველას, ბაჩოს არაფერი სჭირს არავის შესაწყალებელი, ბაჩო არა თუ შეწყალებული, არამედ გამართლებული დატოვებს საპყრობილეს. უფრო მეტიც, ეს ყველაფერი იქნება ქვეყანაში სხვა პოლიტიკური პროცესების დაწყების სათავე, — აცხადებს თუთბერიძე. თუთბერიძე იმედოვნებს, რომ მას შემდეგ, რაც ბაჩო ახალაია გამართლებული დატოვებს ციხეს, ის ისევ დაუბრუნდება ქვეყნის სამსახურს.

— საბოლოოდ მტკიცდება, რომ ახალაიას მისამართით გამოთქმული ბრალდებები აბსურდულია. მე ვიმედოვნებ, მას შემდეგ, რაც ახალაია გამართლებული დატოვებს სასჯელაღსრულების სისტემას, ის აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას დაუბრუნდება და ქვეყნის სამსახურში გააგრძელებს ყოფნას, — აცხადებს თუთბერიძე.

# „სასამართლომ სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა“

შორენა გონგლაძე



— ბაჩო ახალაიას სასჯელისგან გათავისუფლება თეა წულუკიანის არასათანადო განათლების შედეგია, — ამის შესახებ განცხადება მოძრაობა „საქართველოს არწივის“ პრეზიდენტმა გელა მებონიამ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

მებონიას თქმით, საინტერესოა, რას აკეთებს ამ დროს მთავარი პროკურატურა და იუსტიციის სამინისტრო?

— თქვენ იცით, თუ რა სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა გუშინ სასამართლომ. სწორედ ამიტომ, როგორც ხალხის, ისე ჩვენს აღშფოთებას საზღვარი არა აქვს და ვსვამთ კითხვებს: რატომ არ მუშაობს შესაბამისად გენერალური პროკურატურა? რას აკეთებს იუსტიციის მინისტრი? ამიტომ, მე მივმართავ იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს. ქალბატონო იუსტიციის მინისტრო, არაერთხელ მითქვამს, რომ თქვენი ურთიერთობა ხალხთან და პრემიერ-მინისტრ ბატონ ბიძინა ივანიშვილთან არ უნდა იყოს ტყუილზე აგებული. თქვენი განცხადება, რომ გაქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება, არ შეესაბამება სიმართლეს და სწორედ ამიტომ შეცდომაში შეიყვანეთ ქართველი ხალხი, პრემიერი, პარლამენტი და უკანონოდ დაიკავეთ თანამდებობა. აქედან გამომდინარე, მოვითხოვ, წარმოადგინოთ თქვენი განათლების დამადასტურებელი დიპლომი. არ შეიძლება, საქართველოს პარლამენტი, როგორც წინათ, აგებული იყოს ერთი ადამიანის ხუშტურებზე, — აცხადებს მებონია. მისივე განცხადებით, წულუკიანის უკანონოდ დანიშვნას მოჰყვა უმაღლესი რანგის გენერალური შტაბის უფროსის დაკავება, ხოლო გამოძიების შემდგომი პროცესი კანონდარღვევით წარიმართა.

— ამ ყველაფერმა საბოლოოდ გამოიწვია ის, რაც ტელევიზიით მთელმა საქართველომ იხილა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ყოფილი გენერალური შტაბის უფროსი — გენერალი და მინდა ეს სიტყვა ბრჭყალებში მოვიხსენიო, კალანდაძე მიიღო, როგორც გმირი. ჩვენ გვაინტერესებს, მას გენერლის წოდება რომელ ომში მიენიჭა — სამაჩაბლოს, აფხაზეთის თუ რუსეთ-საქართველოს ომში? ჩვენ ძალიან კარგად ვიცით და გაგვაჩნია ინფორმაცია, თუ საიდან და როგორ მიიღო მან ეს წოდება. სამარცხვინოა, რომ ჩვენს ხალხს ჰყავდეს ასეთი გენერლები, ჩვენს ჯარს არ სჭირდება ასეთი „ფსევდოგენერლები, — აცხადებს მებონია და რეაგირებისთვის პრემიერ-მინისტრს მიმართავს.

— გთხოვთ, გააანალიზოთ გუშინ მომხდარი ფაქტები და ამასთან დაკავშირებით მიიღოთ გადამწყვეტი ზომები. ჩვენ თუ ამ პრობლემას წავუყრუეთ, აუცილებლად გაიზრდება ხალხის უკმაყოფილება, რითაც ისარგებლებენ გარკვეული ძალები და მოხდება სამოქალაქო დაპირისპირება. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ასეთი ქმედება საჭიროა სწორი და კარგად გაანალიზებული გადაწყვეტილებების მიღება. ჩემი აზრით, აუცილებელია თქვენი მკაცრი რეაგირება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, — აცხადებს მებონია

# აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნები 9 ოქტომბერს გაიმართება

აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის 9 ოქტომბერს გაიმართება. ამის შესახებ აზერბაიჯანული მედია იუწყება. აზერბაიჯანის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მაზახირ პანახოვის განცხადებით, ის ამომრჩეველი, ვინც ხმის მიცემას ვერ მოასწრებს, საარჩევნო უბნის დახურვის შემდეგაც შეძლებს არჩევანის გაკეთებას.

აზერბაიჯანში საარჩევნო უფლებით ქვეყნის თითქმის 5 მილიონი ამომრჩეველი სარგებლობს.

წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში მმართველი პარტიის „ახალი აზერბაიჯანის“ კანდიდატი ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი იქნება, რომელიც მესამე ვადით იყრის კენჭს.

ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი კი ცნობილი აზერბაიჯანელი მწერალი და სცენარისტი რუსტან იბრაჰიმბეგოვი იქნება.

ილჰამ ალიევის პოლიტიკური მოწინააღმდეგეები თბილისში იკრიბებიან. აზერბაიჯანის ოპოზიციური პარტიის წარმომადგებნლები ერთმანეთს ბაქოს ნაცვლად თბილისში შეხვდნენ. მიზეზი კი ის გარემოებაა, რომ გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატი, რუსეთში მოღვაწე ცნობილი ბიზნესმენი რუსტამ იბრაჰიმბეგოვი აზერბაიჯანში ვერ ჩადის.

„რომ გითხრათ საქართველოში იმტომ ჩამოვედი, რომ თქვენი ქვეყანა ძალიან მიყვარს, ალბათ არ დამიჯერებთ. ჩვენ ქართველ რეჟისორებთან ერთად ვგეგმავთ ფილმის გადაღებას, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ბაქოში ვერ ჩავდივარ. ჩვენ შევთანხმდით, რომ პოლიტიკურ თანამოაზრეებს აქ შევხვდები. მათთვის თბილისში ჩამოსვლა გაცილებით მარტივია, ვიდრე მოსკოვში, ან



სხვაგან“,– განაცხადა „მოამბესთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში რუსტამ იბრაჰიმბეგოვმა.

მისი განცხადებით, ის ბაქოში აუცილებლად ჩავა, მაგრამ როდის, არ აკონკრეტებს.

„მე აუცილებლად ჩავალ ბაქოში. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. უბრალოდ ჯერ ჩემს მოქალაქეობასთან დაკავშირებით გარკვეული იურიდიული პრცედურები უნდა დასრულდეს. მაქვს ისეთი განცდა, რომ აზერბაიჯანელ ხალხს მთავრობის შეცვლა უნდა და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ არჩევნებში გამარჯვება მოვიპოვო“,– განაცხადა მან.

ცნობისთვის, აზერბაიჯანის კოინემატოგრაფიის კავშირს, რომელსაც იბრაჰიმბეგოვი ხელმძღვანელობს, თანხის გაფლანგვაში ადანაშაულებენ, პასუხისმგებლობა კი ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატს ეკისრება.

აზერბაიჯანელი ოპოზიციის წარმომადგენელთა საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით კომენტარი საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტიოს თავმჯდომარე თედო ჯაფარიძემ გააკეთა და შექმნილ სიტუაციას დელიკატური უწოდა.

„ჩვენი ქვეყანა დემოკრატიულია და ნებისმიერი მოქალაქის ამ ტერიტორიაზე შემოსვლა, მისი ნებაა, თუ ეს საქართველოს კონკრეტულ კანონებს არ ეწინააღმდეგება. შექმნილია ძალიან დელიკატური სიტუაცია. დარწმუნებული ვარ, რომ ამას თვალს ყურადღებით ადევნებენ ბაქოში“,– განაცხადა ჯაფარიძემ.

აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულნი არიან აზერბაიჯანში. როგორც აზერბაიჯანელი დეპუტატი ფაზილ მუსტაფა აცხადებს, მათ მთავრობას ესმის, რომ საქართველო მშვიდობიან შეკრებას ხელს არ შეუშლის.

„აზერბაიჯანის მთავრობას ესმის, რომ საქართველო ხელს არ შეუშლის მის ტერიტორიაზე ჩატარებულ მშვიდობიან შეკრებას. არსებობს დემოკრატიული პრინციპები, რომელსაც არ შეიძლება გადააბიჯო. აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის განსაკუთრებული ურთიერთობაა და დარწმუნებული, ვარ, რომ ეს შეკრება არავითარ ნეგატიურ გავლენას არ მოახდენს ჩვენს პოლიტიკურ მეგობრობაზე“,– განაცხადა ფაზილ მუსტაფამ „მოამბესთან“ საუბრისას.

?მ ფონზე, აზერბაიჯანულმა მონიტორინგის ცენტრმა „რიაიმ“ მოახლებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ, 2013 წლის 22-28 ივლისს გამოკითხვა ჩაატარა, სადაც 1500-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, ამ დროისათვის დარეგისტრირებული სამი კანდიდატიდან, 81,2 % მოქმედ პრეზიდენტ ილჰამ ალიევს უჭერს მხარს. 2%-ზე ნაკლები პარტია „მუსავატის“ წარმომადგენელს ისა გამბარს, 1% კი დრამატურგ რუსტამ იბრაჰიმბეგოვს.

იბრაჰიმბეკოვის ოპოზიციის ერთიან კანდიდატად წარდგენის შესახებ გამოკითხულთა 86%-მა არაფერი იცოდა.

**გერა მამულაშვილი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართული ოცნების“ დაშლა დაიწყო

## რატომ დატოვა კობა დავითაშვილმა უმრავლესობა

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ ნაციონალური მოძრაობა ბედნიერი იყო. მათ ბედნიერი დღე კობა დავითაშვილმა აჩუქა. ამ უკანასკნელმა გუშინ კოალიცია „ქართული ოცნება“ დატოვა და დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით აპირებს მოღვაწეობის გაგრძელებას. ძალების მოსინჯვას საპრეზიდენტო არჩევნებშიც აპირებს. აწ უკვე ყოფილ თანამებრძოლებს თავისი გადაწყვეტილების შესახებ ელ.ფოსტით აცნობა. კოალიციიდან წასვლის მთავარ მიზეზად პარლამენტარი ხელისუფლების მცდარ კურსს ასახელებს.

— ახლაიას გამართლების საქმის გამო, სასამართლოს დამოუკიდებლობის და დემოკრატიის გამარჯვებად გამოცხადება ჩემთვის კატეგორიულად მიუღებულია. ახალაიას გამართლება არ არის დემოკრატიის ზეიმი. სასამართლო კანონისგან დამოუკიდებელია და სინდისისგან თავისუფალია. ის იმ დანაშაულებრივ რეჟიმზეა დამოკიდებული, რომელშიც აქამდე იმყოფებოდა და დღემდე იმყოფება. ეს




არ არის მთავარი დაპირება, რომელიც ჩვენ შევასრულეთ და თურმე კიდევ უნდა დავპირდეთ ხალხს, რომ ეს დამოუკიდებლობა შენარჩუნდება. საქართველოში სასამართლო დამოუკიდებელი არ არის. ვთვლი, რომ ეს გადაწყვეტილება არის დაცინვა იმ ხალხისა, რომლებიც დღემდე სამართლიანობის აღდგენას ელიან. ეს არის პირდაპირი შედეგი ხელისუფლების უნიათობისა კოჰაბიტაციაზე და ამ კურსის მცდარობის თვალსაჩინო მაგალითებისა, როგორიცაა ნაფიც მსაჯულთა სავალდებულო ინსტიტუციაზე უარის თქმა და საერთო სასამართლოების კანონში დანაშაულებრივი რეჟიმის მიმართ გაკეთებული გაუმართლებელი დათმობები. ამის შედეგად ჩვენ იუსტიციის საბჭოს სამარცხვინო არჩევნები და ევროპის სახალხო პარტიის შეკრებაზე კუბლაშვილის მოადგილის ვოიაჟი მივიღეთ, რასაც სათანადო შეფასება არ მივეცით. კურსის გადახედვის აუცილებლობაზე არ დავფიქრდით და აი შედეგიც.

დღევანდელ ლოიალურ შეფასებებს ხვალ მერაბიშვილის გათავისუფლება და სხვა ჯალათების უმანკო კრავებად გამოცხადება მოჰყვება.

ჩემთვის ასევე ძალიან მიუღებელია, რომ ჩვენი ხალხის ყველაზე დაუცველი ნაწილის ინტერესებს დამსაქმებლების, სასაკლაოს მეპატრონეთა, სადაზღვევო კომპანიების, მევახშეების და ბანკების ინტერესები ვამჯობინეთ.

ვწუხვარ, მაგრამ არ შემიძლია თავი შევიკავო თქვენი აზრით ზედმეტი, ჩემი აზრით კი აუცილებელი კომენტარებისა და გადაწყვეტილებებისაგან. კერძოდ, ვინაიდან ჩვენს შორის ქართული პოლიტიკის ფუნდამენტურ საკითხებზე სისტემატურ უთანხმოებას ვხედავ, საპარლამენტო უმრავლესობას ვტოვებ და ამ უთანხმოების გადაწყვეტას ქართველ ხალხს უახლოეს საპრეზიდენტო არჩევნებზე ვანდობ, სადაც თქვენს მიერ გატარებული კურსისგან დიამეტრალურად განსხვავებული პროგრამით გამოსვლას ვგეგმავ.

ბატონ ბიძინას და თითოეულ თქვენგან დიდ მადლობას ვუხდი იმ ერთობლვი ბრძოლისთვის, რომელის 1 ოქტომბრის გამარჯვებით დასრულდა. ვიმედვნებ, გვეყოფა პოლიტიკური კულტურა, რომ მნიშვნელოვან საკითხებზე ისე ვიკამათოთ, რომ ერთმანეთის პატივისცემა არ დავკარგოთ, რა პატივისცემასაც გულწრფელად განვიცდი თითოეული თქვენგანის, როგორც დანაშაულებრივ რეჟიმთან თანამებრძოლის მიმართ.

ჩემი ამოცანა არ თქვენი გულისტკენა, არამედ კურსის გადასინჯვის აუცილებლობაში თქვენი დარწმუნებაა, — განაცხადა კობა დავითაშვილმა.

**გაგრძელება მე-4 გვერდზე**

# რატომ ცდილობდნენ რუსები საქართველოსთვის კომანის ეკლესიის წართმევას

შორენა მარსაგიშვილი

**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ფრაქციათა კოალიცია „ქართული ოცნება – ერთიანი, დემოკრატიული, სამართლიანი საქართველოს" თავმჯდომარე რაისა ქარაია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია II-ს აფხაზეთის საზოგადოებრიობის სახელით ანგელოზის დღეს ულოცავს:**

— აფხაზეთის საზოგადოებრიობის და მთელი ერის სახელით უდიდესი სიყვარულით და მოწიწებით ვულოცავ სრულიად საქართველოს სულიერ მამას ანგელოზის დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, სულის სიმხნევესა და დღეგრძელობას. დღეს ქართველ ერს, როგორც არასდროს, სჭირდება უწმინდესის სულიერი თანადგომა, მისი ლოცვა, რწმენა და სიბრძნე. ჩემი თანამემამულეების სახელით მადლობას ვუხდი აფხაზეთის მოსახლეობის ესოდენ დიდი სიყვარულისთვის, იმედის ჩასახვისთვის, რაც მისი ისედაც მძიმე ჯვრის უფრო მეტად დატვირთვას — ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტობის შეთავსებას მოჰყვა. დარწმუნებული ვარ, რომ უფალი შეისმენს მის მუხლჩაუხრელ მხურვალე ლოცვას აფხაზეთის საქართველოსკენ შემობრუნებისთვის. ვიცი, როგორ შესტკივა მას გული აფხაზეთზე, 11 წელი ჩვენი ეპარქიის მღვდელმთავარი იყო. პირადად მე ეკლესიაში მისი წყალობით მოვხვდი და პირველი ზიარებაც მისი ხელით მივიღე ჯერ კიდევ 1967 წელს.... ვიცი, როგორი ძვირფასია მისთვის თითოეული აფხაზი და ქართველი, ამიტომ ევედრება უფალს ქართველთა და აფხაზთა ღირსეული და მშვიდობიანი თანაცხოვრების აღდგენას.... მართალია, ჩვენ, აფხაზეთის მკვიდრნი, ჩვენი ქვეყნისთვის მძიმე ისტორიის მონაწილენი, უფრო სწორად მემატიანენი გავხდით, მაგრამ იმავდროულად, მე ბედნიერი ვარ, რომ იმ ეპოქაში მიწევს ცხოვრება, როდესაც ერის ქომაგად და სულიერ მამად საქართველოს ჰყავს ასეთი უდიდესი პიროვნება, მსოფლიო ავტორიტეტი — უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. იმედია, აფხაზეთში დაბრუნების უდიდეს სიხარულსაც მასთან ერთად გავიზიარებთ.

აფხაზეთში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, არ იყო ადვილი ათეიზმით სულიერად გამოფიტული სამწყსოს მღვდელმთავრობა. ამას დრო და დრო ემატებოდა გარე ძალების მიერ ინსპირირებული პოლიტიკური დაძაბულობა, რომელმაც პიკს 90-იან წლებში მიაღწია. ეროვნული მოძრაობა, „ზვიადისტები“, „გვარდიელები“, „მხედრიონელები“ და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი დამანგრეველი საზოგადოებრივი წარმონაქმნი (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათ შორის მართლაც იყვნენ საქართველოს ღირსეული მოქალაქეები) მესამე ძალამ საქართველოს წინააღმდეგ რა ოსტატურად წარმართა. ძალიან მტკივნეულია იმის გახსენება, თუ როგორ აღმოჩნდნენ რუსულ ხაფანგში ამბიციებს აყოლილი და პოლიტიკურად მოუმზადებელი ქართველები. მზაკვრულმა ჩანაფიქრმა სეპარატისტები ლამის პატრიარქის შეურაცხყოფამდეც მიიყვანეს, მაგრამ ღვთის ნებით ეს სამარცხვინო განზრახვა ვერ განახორციელეს.

***— თქვენ ალბათ პატრიარქზე თავდასხმას გულისხმობთ?***

— დიახ! 1990 წლის 28 ნოემბერი იყო. აფხაზეთს უწმინდესი სტუმრობდა. პატრიარქმა მაშინდელი მიტროპოლიტის მეუფე დავით (ჭკადუა) და რესპუბლიკის სამოქალაქო წარმომადგენლების თანხლებით მოილოცა გალის, ოჩამჩირის, გულრფშის, სოხუმის, გუდაუთის რაიონები, გაგრის ზონა. მოლოცვის გარდა იქ მიმდინარე ეკლესიების მშენებლობების მდგომარეობასაც გაეცნო. როცა გაგრიდან სოხუმში ბრუნდებოდნენ, ცენტრალურ მაგისტრალზე, გუდაუთისა და სოფელ ლიხნის გზის გასაყარზე მათ დახვდა ადგილობრივი ბრბო, რომელმაც სოხუმისკენ მიმავალი გზა გადაკეტა, რათა კორტეჟი იძულებული გამხდარიყო ლიხნისკენ გადაეხვია. მაგრამ მძღოლის მოხერხებულობითა და ღვთის დახმარებით პატრიარქის მანქანა გაუსხლტა და სამშვიდობოს გავიდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მეამბოხეების გეგმაში შედიოდა სოფელ ლიხნში კორტეჟის წევრთა — სასულიერო და საერო პირების შეურაცხყოფა...

***— ქალბატონო რაისა, ამ ამბავს იმ დროს რა რეაგირება მოჰყვა?***

— ძალიან ზედაპირული... იყო მხოლოდ განცხადება საქართველოს ტელემაუწყებლობით, პრესაშიც გამოქვეყნდა, მაგრამ არა ისე, როგორც ამას ვითარების რეალური შეფასება მოითხოვდა.... აფხაზეთის ქართულმა მოსახლეობამ ძალიან მტკივნეულად განიცადა ეს შემთხვევა.... ხომ იცით, ქართველი კაცის ბუნება როგორია — როცა სამშობლოს, რჯულს და პატრიარქს გიგინებენ, ხმალამოღებული იცავ ბოლო ამოსუნთქვამდე .... სხვათა შორის, უწმინდესმა, უკვე დევნილობის პერიოდში, თბილისში, როცა ეს შემთხვევა გავიხსენეთ, ბრძანა: „რას გადავურჩით, მაშინ.... და როგორი დარტყმა იქნებოდა ეს არა მარტო საქართველოს ეკლესიისთვის, საერთოდ ქვეყნისთვის“.

***— ქალბატონო რაისა, პატრიარქი ცნობილია გასაოცარი მშვიდობისმყოფელობით და კაცთმოყვარეობით. როგორ მოხდა, რომ ასეთ პიროვნებას სტუმართმოყვარეობის ტრადიციებით თავმომწონე აფხაზებმა ასეთი დახვედრა მოუწყვეს?***

— სამწუხაროდ, პოლიტიკური ამბიციები უფრო ძლიერი აღმოჩნდა.... ამას დაემატა არასწორი ინტერპრეტაცია პატრიარქის სიტყვებისა, თითქოსდა, ყველა ვინც ქართველის წინააღმდეგ ხელს აღმართავდა, საქართველოს ეკლესიის შავ წიგნი ჩაიწერებოდა. სინამდვილეში პატრიარქი გულისხმობდა ქართველთა შორის შუღლის გამაღვივებლებს და ძმათამკვლელ ქართველებს, რომლებიც მრავლად იყვნენ 90-იანი წლების არეულ დროში (რაზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ) .... რა თქმა უნდა, „ვიღაცას“ აწყობდა დაძაბულობა ნებისმიერ დონეზე, ამიტომაც გარეშე ძალამ არც უმაღლესი სასულიერო იერარქი დაინდო.... 1990 წლის ნოემბერში „კომსომოლსკაია პრავდა“-ში გამოქვეყნდა სტატია, სადაც ქილიკური ტონით იყო მოხსენიებული პატრიარქის სხვაგვარად ინტერპრირებული და დამახინჯებული განცხადება. სტატიის მიხედვით, პატრიარქის სწორედ ეს მოწოდება გახდა მაპროვოცირებელი აფხაზების იმ გაღიაზიანებული ქმედებებისა, რასაც მაშინ ადგილი ჰქონდა უკვე სეპარატისტულად კარგად დაგეშილ გუდაუთში. რუსული გაზეთი ფაქტობრივად აფხაზური სეპარატისტების თავხედობას „არგუმენტირებულად“ ამართლებდა. ჩვენთვის ამის მოთმენა უკვე შეუძლებელი იყო..... საჭირო იყო სიმართლის თქმა იქ, სადაც წყალი იმღვრეოდა....



არასამთავრობო ორგანიზაციის — გულრიფშის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება „წმინდა ნინოს“ სხდომაზე, რომელის თავმჯდომარეც გახლდით, გადაწყდა, რომ ჩავსულიყავით მოსკოვში და რუსეთის პატრიარქისთვის ალექსი II-თვის პირადად გადაგვეცა წერილი და თან აგვეხსნა, რაში მდგომარეობდა საქმის არსი. დეკემბერში მე და ალა ვასილჩენკო გავემგზავრეთ, მაგრამ პატრიარქთან ვერ მოვხვდით. როგორც აგვიხსნეს, მეორე დილით ალექსი II საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა და ვერ მიგვიღებდა... მიგვიღო რუსეთის ამჟამინდელმა პატრიარქმა, მაშინდელმა მიტროპოლიტმა კირილემ, რომელმაც ბოდიში მოგვიხადა ალექსი II სახელით, წუხილი გამოთქვა „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებული წერილის გამო. დაგვპირდა, რომ რუსეთის პატრიარქი ღრმა გულისყურით მოეკიდებოდა და განიხილავდა ჩვენს წერილს. ორივენი ბიბლიით დაგვასაჩუქრა და ჩვენც დამშვიდებული დავბრუნდით საქართველოში.

1991 წლის 5 თებერვალს „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნდა რუსეთის პატრიარქის ალექსი II სტატია „ეშე რაზ ო სილე სლოვ“, სადაც ის წერდა: — „მივიღე წერილი აფხაზეთიდან, გულრიფშის რაიონის ქალთა საზოგადოება „წმინდა ნინოს“ -ს ქალებისგან და ვეთანხმები მათ სულისკვეთებას, რადგან პირადად ვიცნობ საქართველოს პატრიარქს, როგორც ბრძენკაცს და ქრისტიანული სიყვარულით აღსავსე სულის პიროვნებას. მე მიმაჩნია, რომ პატრიაქრის ეს განცხადება ჩაფიქრებული იყო, როგორც საშუალება სამოქალაქო ომის ჭაობში ჩაფლობის შესაჩერებლად. აკი, უკვე გასაგები იყო, რომ როგორც კი საქართველოში დაიღვრება სისხლი, იქ შემოღებული იქნება სამხედრო მდგომარეობა ძნელად გასათვალისწინებელი შედეგებით სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესში მყოფი რესპუბლიკისათვის. იყო პერიოდი, როცა პატრიარქის ვალდებულება იყო მთავრობისათვის მწარე სიტყვების თქმა პირში. ახლა მეჩვენება, მოდის დროება, როცა კიდევ უფრო მწარე სიტყვები უნდა უთხრა პირში შენს ხალხს. პატივისცემით, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრქიარქი ალექსი II. მოსკოვი“.

***— თუმცა ვერც რუსეთის პატრიარქის წერილმა შეძლო აფხაზეთში სეპარატიზმის შეჩერება, რამაც საბოლოოდ მაინც ომამდე მიგვიყვანა...***

— მე არ ვიცი, რუსეთის საპატრიარქოს მაშინ რა განზრახვა ჰქონდა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან უკვე ნათლად ჩანს, რომ სეპარატიზმის მანქანა ყველა დონეზე მუშაობდა. აფხაზეთში დღესდღეობით არსებული პრობლემაც ე.წ. აფხაზეთის ეკლესიის „ავტოკეფალიასთან“ დაკავშირებით სათავეს სწორედ 1989-90 წლებიდან იღებს და გეტყვით, რატომ. იმ საღამოს, როცა მოსკოვში ჩავფრინდით, ალა ვასილჩენკო, როგორც რუსეთის რელიგიური ორგანიზაციის „ბრატსტვოს“ საპატიო წევრი და მე, როგორც „წმინდა ნინოს“ დამფუძნებელი, მიგვიწვიეს სიწმინდეების მოლოცვების ამსახველი ფილმის სანახავად. ქალბატონ ალას იქ მისცეს წერილი, რომელშიც „ბრატსტვო“ აფხაზეთის კომანის ეკლესიის კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში გადაცემას ითხოვდა და ხელმოწერებს აგროვებდა. ცხადია, მასაც მიაწოდეს ხელის მოსაწერად. ალამ ეს რომ წაიკითხა, ემოციებისგან თავი ვერ შეიკავა, ამ წერილს შეთქმულება უწოდა, რომელშიც მონაწილების მიღებას არავითარ შემთხვევაში არ აპირებდა. მართალია, ის მოსკოველი რუსი იყო, მაგრამ ძალიან მორწმუნე და მართალი ადამიანი. მიმართვას ხელს აწერდნენ ძირითადად რუსები, მაგრამ მათ შორის მე აფხაზური გვარებიც ვნახე, რომლებიც არგუმენტად იმას ასახელებდნენ, თითქოსდა ქართველი სამღვდელოება ზღუდავდა აფხაზი ეროვნების ღვთისმსახურების სულიერ მოღვაწეობას.

***— ქალბატონო რაისა, რატომ შეადგინა რუსეთის საზოგადოებრივ-რელიგიურმა ორგანიზაციამ ისეთი წერილი, რომლის მიხედვით კომანის ეკლესია უნდა გადასულიყო არა რუსეთის, არამედ კონსტანტინოპოლის დაქვემდებარებაში?***

— იმიტომ, რომ იმ ეტაპზე მთავარი იყო, როგორმე საქართველოსთვის მოეწყვიტათ ეს ეკლესია, და მერე, როგორც ეს რუსებს სჩვევიათ, გარიგება შედგებოდა.....

***— და რატომ მაინც და მაინც კომანის ეკლესია და არა მაგალითად, ლიხნის?***

— იმიტომ, რომ კომანის ეკლესიას სხვა დატვირთვა ჰქონდა.... აფხაზეთის მიწამ უდიდესი მსოფლიო მნიშვნელობის სიწმინდეები მიიბარა: კომანში აღესრულა იმპერატორ მაქსიმიანეს ბრძანებით გადასახლებული კაპადოკიელი დიდმოწამე ვასილისკო, აქვე გარდაიცვალა ბიჭვინთაში გადასახლებული კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსი იოანე ოქროპირი, რომელმაც ბიჭვინთამდე ველარ ჩააღწია... კომანის მთებშია მესამედ ნაპოვნი წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავი, სადაც ეროვნებით აფხაზმა, მოგვიანებით სეპარატისტების მიერ მოკლულმა იური ანუამ 1500 საფეხურიანი კიბე ალმართა გზის გასაადვილებლად.... ცხადია, ამ სიწმინდეების მირთმევაზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქო უარს ვერ იტყოდა, ამიტომაც ყველაზე ადვილი წასაგლეჯი ეს ადგილი იყო... დღეს ნათლად ჩანს, თუ რა შორსგამიზნულად მოქმედებდა რუსეთი.... როცა აფხაზეთის ირგვლივ არასასურველი მოვლენები ვითარდება, თავს ყოველთვის პატრიარქის სიტყვებით ვიმშვიდებ: „აფხაზეთი დაკარგული არ არის, ჩვენ დროებით ვერ ვაკონტროლებთ ამ ადგილებს“. მე ძალიან განვიცდი, რომ ისედაც ხანდაზმულ პატრიარქს დიდი ძალისხმევა სჭირდება მშვიდობის და მეგობრობის აღსადგენად აფხაზურ და რუსულ მხარეებთან, თავის ჯანმრთელობასაც არ ზოგავს, მტერთანაც კი მისთვის დამახასიათებელი სითბოთი და მიმტევებლობით ურთიერთობს, ოღონდაც საქართველომ თავისი კუთვნილი ტერიტორიები დაიბრუნოს და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მიტოვებულ ქართულ ეკლესიებში კვლავ ისმოდეს ღვთის დიდება ქართულ ენაზეც.

# ნინო ბურჯანაძე: „ნაციონალურ მოძრაობას რებრენდინგში ხელს „ქართული ოცნება“ უწყობს“



პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერისა და საპრეზიდენტო კანდიდატის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ რებრენდინგში ხელს „ქართული ოცნება“ უწყობს.

ამის შესახებ ნინო ბურჯანაძემ გუშინ, ადვოკატებთან შეხვედრის შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

„შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას,“ რებრენდინგში, ანუ განახლებაში, გარეცხვაში და გათეთრებაში, სამწუხაროდ ძალიან აქტიურად უწყობს ხელს „ქართული ოცნება“ — განაცხადა ბურჯანაძემ.

მანვე ჟვანიას მკვლელობის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებითაც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ამ საქმის გამოძიება მალე უნდა დასრულდეს, რომ საზოგადოებამ ბოლოს და ბოლოს სიმართლე შეიტყოს.

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე გუშინ ადვოკატებს შეხვდა.

მისი თქმით, საგანგაშო იყო ის ფაქტი, რომ სააკაშვილის მმართველობის დროს 157 ადვოკატი იყო დაკავებული და დღეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ადვოკატთა უფლებები აღარ შეილახოს.

„ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია დღეს ადვოკატებთან შეხვედრა. მინდა ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტს და ყველა იმ ადვოკატს, ვინც ამ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა, მადლობა გადავუხადო და რაც მთავარია, მადლობა გადავუხადო ადვოკატებს იმ საქმიანობისთვის, რომელსაც ისინი ახორციელებდნენ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, როდესაც საერთაშორისო ადვოკატთა ორგანიზაციამ ადვოკატთა საქმიანობა საქართველოში რისკ–ფაქტორად შეაფასა.

იმ პერიოდში, უკანონოდ დაკავებული ადამიანებისათვის ერთადერთი შველა იყო ადვოკატებთან საუბარი, მათთან ურთიერთობა და ხშირ შემთხვევებში ადვოკატები იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ, რომ ისინი ლამის ფსიქოთერაპევტის ფუნქციას ასრულებდნენ ხოლმე. შეზღუდული იყო ადვოკატთა უფლებები, მაგრამ ადვოკატები ბრძოლას აგრძელებდნენ. საგანგაშო იყო ის ფაქტი, რომ 157 ადვოკატი იყო დაკავებული და დღეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს საქართველოში იმისთვის, რათა ადვოკატთა უფლებები აღარ შეილახოს. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის მიმართვა, რომელიც ბატონმა ზაზა ხატიაშვილმა გააკეთა პრეზიდენტობის ყველა კანდიდატთან, რადგან ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ადამიანებს უნდა იცავდეს კანონი და არა რომელიმე კონკრეტული თანამდებობის პირი. კანონმა კი ადვოკატებს უნდა შეუქმნას აბსოლუტურად ისეთივე პირობები და უფლებები, როგორიც ბრალდების მხარეს აქვს“ - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**ნიუსპრესი**

# პოლიციის შენობის დაზიანებისა და პოლიციის თანამშრომლის დაჭრის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს 1-ლი განყოფილების თანამშრომლებმა, ამავე განყოფილების შენობის დაზიანების და პოლიციის თანამშრომლის დაჭრის ბრალდებით, 1993 წელს დაბადებული უშანგი თ., დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე წუთში დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 2 აგვისტოს, ღამის საათებში, ხელყუმბარით შეიარაღებული ახალგაზრდა მამაკაცი გლდანის მასივში მდებარე 1-ლი განყოფილების შენობაში შევიდა. მის მიერ ხელყუმბარის ამოქმედების შედეგად ფეხის არეში მსუბუქად დაიჭრა პოლიციის თანამშრომელი და დაზიანდა პოლიციის შენობა.

დაჭრილ პოლიციელს პირველადი სამედიცინო დახმარება საავადმყოფოში გაუწიეს. ამჟამად ის სამკურნალო დაწესებულებიდან უკვე გაწერილია.

წინასწარი მონაცემებით, უშანგი თ. ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. დადგინდა, რომ ბრალდებული წარსულში ქურდობისთვისაა ნასამართლევი.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის მცდელობის და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა– შენახვა-ტარების ფაქტზე, სსსკ-ის 19-109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

# „მარგველაშვილს პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული ერთი პედაგოგიც კი არ აღუდგენია“



„ლეიბორისტული პარტიის“ წევრმა თემურ წიკლაურმა გუშინ განცხადება გაავრცელა და აღნიშნა, რომ გიორგი მარგველაშვილმა წლების მანძილზე პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლებული პედაგოგების სკოლაში დასაბრუნებლად არაფერი გააკეთა და ბიძინა ივანიშვილის გარემოცვა ჯერ-ჯერობით ახლობლების დასაქმებითა და ბიზნესწილების გადანაწილებით არის დაკავებული.

„ლეიბორისტები“ პირობას დებენ, რომ შალვა ნათელაშვილის გაპრეზიდენტების შემთხვევაში ყველა პედაგოგი სკოლას დაუბრუნდება.

„წლები მანძილზე სკოლებიდან პოლიტიკური ნიშნის გამო ათასობით პედაგოგი გაათავისუფლეს, რომელთაც ახალი ხელისუფლების პირობებში იმედი ჰქონდათ, რომ სამართლიანობა აღდგებოდა და პედაგოგიურ საქმიანობას დაუბრუნდებოდნენ. თუმცა, დღემდე, პრეზიდენტობის კანდიდატ მარგველაშვილს, ერთი მასწავლებელიც არ დაუბრუნებია სკოლაში, მაშინ, როდესაც ივანიშვილის გარემოცვა დღემდე საკუთარი ოჯახის წევრების, ნათესავების, ახლობლების დასაქმებითა და ბიზნესწილების გადანაწილებით არის დაკავებული.

შალვა ნათელაშვილის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, უკანონოდ გათავისუფლებული ყველა პედაგოგი დაუყოვნებლივ დაუბრუნდება სკოლას“ — ნათქვამია თემურ წიკლაურის განცხადებაში.

**ნიუსპრესი**

# რა ხდება კომაროვის სკოლაში

*მერი ნამორაძე*

კომაროვის სახელობის სკოლაში მოხვედრა ერთობ დიდი წარმატებაა ნებისმიერი მოსწავლისათვის. კონკურსის წესით შერჩევის შემდეგ ფიზიკა-მათემატიკის ღრმად დაუფლების მსურველები მე-7 კლასიდან ირიცხებიან საჯარო სკოლაში. გაძლიერებული სწავლების კურსის დასრულების შემდეგ ტექნიკური საგნების ჩაბარება ეროვნულ გამოცდებზე კომაროვგამოვლილთათვის სირთულეს აღარ წარმოადგენს. გაგრძელდება თუ არა ეს ტრადიცია და რამდენად ობიექტურია მისაღები გამოცდები კომაროვის სკოლაში? ხმები გავრცელდა, კომაროვის დირექტორი ნაციონალების გულშემატკივარია და ნაციონალების გულშემატკივარ მშობლების შვილებს უფრო სწყალობს, თან წელს ისეთი ბავშვები ჩაირიცხნენ, რომლებსაც სწორი პასუხები მხოლოდ საგამოცდო ბილეთებზე ჰქონდათ მიწერილიო.

„ახალი თაობა“ კომაროვის სახელობის 199-ე საჯარო სკოლის დირექტორ ვანო კვიტაშვილს დაუკავშირდა.

**ვანო კვიტაშვილი:**

— სკოლაში ჩარიცხვა გამოცდის საფუძველზე ხდება. დგინდება გარკვეული ზღვარი, რომლის ზემოთაც მიღებული ქულების შემთხვევაში ჩაირიცხებიან მოსწავლეები კომაროვის სკოლაში მე-7 კლასიდან. ეს არის უფასო, მძლავრი საგანმანათლებლო კერა და ჩვენი მიზანია, მოვიძიოთ საქართველოს ყველა რეგიონიდან ნიჭიერი ბავშვები.

***— რამდენ ბავშვს ეძლევა სკოლაში ჩარიცხვის შანსი ყოველწლიურად?***

— ჩვენ ვიღებთ 7 კლასს. თუ არის შემთხვევა, რომ მეტი ბავშვი აჩვენებს სტანდარტს, შესაძლებელია, კლასი დაემატოს. წელს გაიხსნება 7 კლასი, სადაც 175 ბავშვი ჩაირიცხება.

***— ყოველთვის დიდი კონკურსია, ბატონო ვანო, ნიჭიერი ბავშვი ბევრი გვყავს?***

— ბევრი გვყავს. მათემატიკაში არის ასეთი ცნება — აუცილებელი და საკმარისი პირობა. მოსწავლე, რომელიც აბარებს კომაროვის სკოლაში, ეს მისთვის დიდი წარმატებაა. ზოგიერთ მოსწავლეს, რომელიც ვერ აბარებს, ვერ იღებს შესაბამის ქულას, მშობელთან ერთად უჩნდება წარუმატებლობის განცდა. ეს არასწორი მიდგომაა. ბავშვს მოტივაციას უკარგავს. ვერჩაბარება არ არის წარუმატებლობა. ე.ი. ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, რომელიც მრავლად ექნება ცხოვრებაში, შედეგისთვის შრომა დააკლო ბავშვმა, განა ნიჭი არ აქვს! ყოველთვის აქვს შესაძლებლობა, მომავალში ჩააბაროს ანუ კარი არასდროს არის დაკეტილი.

***— წელს გაჩნდა პრეტენზია გამოცდების ხარვეზებთან დაკავშირებით. კერძოდ, ბავშვების ნაწილს ჩაეთვალათ ის პასუხები, რომლებიც რატომღაც ბილეთებზე მიაწერეს და არ გადაიტანეს საგამოცდო ფურცელზე. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?***

— ერთს გეტყვით და ნებისმიერი ექსპერტი ამას ადასტურებს — ისეთ სუფთა, გამჭვირვალე და კვალიფიციურ გამოცდას, ჩვენ რომ ვატარებთ, მხოლოდ გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს. იმავე დღესვე იტვირთება მოსწავლეთა ნაშრომები, იმავე დღესვე ხედავს მშობელი შვილის ბილეთს, ნაწერს, შეგიძლიათ, სხვისი ნაწერიც ნახოთ, ოღონდ გვარ-სახელის გარეშე. შედეგებიც ქვეყნდება იმ ნაწერების მიხედვით. აბსოლუტურად არანაირი ხარვეზი არ ყოფილა.

მოსწავლეს ურიგდება ბილეთი, სადაც წერია ამოცანები 30-ს პლუს სამი. ტესტი შედგება ორი ნაწილისგან. ეს არის 30 დახურული დავალება, მაგალითად, პირველ ამოცანას პასუხის ვარიანტები აქვს, უნდა ამოირჩიოს და შემოხაზოს. ამას უყურებს მშობელი. ანუ მშობელს შეუძლია იმავე დღესვე გაასწოროს ნაწერი. ეს სხვაგან სადმე თუ ხდება, მითხარით. ეს უკვე გადასატან ფურცელზე გადადის. ოთხ მოსწავლეს, იმ გადასატან ფურცელზე, რომელიც იყო ატვირთული, არ ჰქონდათ დაწერილი. მაინც პატარები არიან და ბავშვებმა დაწერეს იმ ბილეთზე ანუ ტესტზე, რომელიც ჰქონდათ დარიგებული და ჩვენთან დარჩა. ჩვენ რადგანაც ვეძებთ ამ ნიჭიერ ბავშვებს და მათ შედეგი ჰქონდათ, იმიტომ ვთქვით ღიად ყველაფერი. მათ საკითხს განვიხილავთ დამატებით.

***— ამბობენ, რომ ნაციონალების გულშემატკივარი ხართ და ბავშვების ჩარიცხვაც მათ მშობელთა ნაციონალებისადმი განწყობის მიხედვით ხდება.***

— ეს შეკითხვა შეურაცხმყოფელია ჩვენთვისაც და სკოლისთვისაც. აბსოლუტურად შორს ვართ ამისგან. ასეთი რამ არ ყოფილა და არც იქნება.

# 3 გვირაბს და 30 ხიდს რეაბილიტაცია უტარდება

*მერი ნამორაძე*

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მედიას 2013 წლის პირველი ექვსი თვის სტატისტიკური ანგარიში წარუდგინა. უახლოეს მომავალში ქვეყანას 3 რეაბილიტირებული საავტომობილო გვირაბი და 30 რეაბილიტირებული საავტომობილო ხიდი ექნება. სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება ასევე 250-კილომეტრიან საავტომობილო გზას. ინტენსიურად გრძელდება ავტომაგისტრალის მშენებლობა — მიმდინარე წელს დაგეგმილია 111 კმიანი მოცულობის ავტომაგისტრალის მშენებლობა ერთდროულად რამდენიმე მონაკვეთზე.

რაც შეეხება საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით გაწეულ საკასო შესრულებას, 2013 წლის 6 თვეში საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით გაწეული საკასო შესრულება შეადგენს 154 მილიონ ლარს, მაშინ, როცა 2012 წლის ამავე პერიოდში შეადგენდა 113 მილიონ ლარს. შესაბამისად, 2013 წლის პირველ 6 თვეში დაფიქსირებული საკასო შესრულება 40 მილიონი ლარით ანუ 36%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდში დაფიქსირებულ მონაცემებს. 2013 წლის იანვარ-ივნისში დაფიქსირებული საკასო ხარჯი შესრულებული სამუშაოების ნაწილში 32 მილიონი ლარით აღემატება 2012 წლის იმავე პერიოდში დაფიქსირებულ მონაცემებს.

როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტში ამბობენ, 2013 წლის I-II კვარტლებში დაფიქსირებული საზედამხედველო მომსახურების საერთო ხარჯი 1,6 მილიონი ლარით, ხოლო პროექტირებაში გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება 2,16 მილიონი ლარით აღემატება 2012 წლის შესაბამის პერიოდში დაფიქსირებულ მონაცემებს.

2013 წლის პირველ 6 თვეში ტენდერის საშუალებით განხორციელებული შესყიდვები 21 ერთეულით აღემატება, ხოლო გამარტივებული წესით შესრულებული შესყიდვების რაოდენობა 28 ერთეულით ნაკლებია 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში დაფიქსირებულ მონაცემებზე. მნიშვნელოვანია, რომ გამარტივებულ შესყიდვებზე გვაქვს მკვეთრი კლება, ვინაიდან საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უარი თქვა ამ მანკიერ პრაქტიკაზე.

რაც შეეხება ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობას, 2013 წლის I-II კვარტლებში სამშენებლო აქტივობა ჩქაროსნული ავტომაგისტრალის 111 კილომეტრზე მიმდინარეობს, რაც 34 კილომეტრით აღემატება 2012 წლის იმავე პერიოდის მონაცემებს. ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე მოძრაობა შარშან თუ მხოლოდ გზის კილომეტრნახევრიან მონაკვეთზე გაიხსნა, წელს დაგეგმილია მოძრაობის გახსნა 52 კილომეტრზე. დონორი ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის საშუალებით, 2013 წლის პირველ 6 თვეში, 2012 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, რეაბილიტირებულ იქნა 24 კილომეტრით მეტი საავტომობილო გზა და ათვისებულ იქნა 14,5 მილიონი ლარით მეტი ფულადი სახსრები.

# „ქართული ოცნების“ დაშლა დაიწყო

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ოცნების მიმტოვებელი დავითაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში გეგმავს მონაწილეობის მიღებას.

მის გადაწყვეტილებას ნაცმოძი დიდი სიხარულით შეხვდა. პარტიამ საგანგებო განცხადებაც კი გაავრცელა. სადაც იმედოვნებენ, რომ კოალიციის დაშლა დაიწყო და დავითაშვილი პირველი მერცხალია.

ნაცმოძს შეფასებები პარლამენტის სპიკერმა დაუწუნა. დავით უსუფაშვილმა გახარებულ ნაციონალებს დაუბარა, „მერცხლებს და ბელურებს ყველამ თავისას მიხედოს, ვის რამდენი მერცხალი გაუფრინდა თუ ბელურა მიუფრინდა“-ო.

პარლამენტის თავმჯდომარე კობა დავითაშვილს ქართულ პოლიტიკაში მოსიარულე ფორვარდსაც უწოდებს, რომელიც საზოგადოებას საინტერესო ფინტებს სთავაზობს. უსუფაშვილის აზრით, კობა დავითაშვილი კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატისთვის კონკურენტი არ არის.

— კობა დავითაშვილი უკვე 25 წელია ჩემი უახლოესი მეგობარია. ყველას ჩვენი ხასიათები და პოლიტიკური გზა გვაქვს. სიახლე ამაში არაფერია, რომ კობა ქართულ პოლიტიკაში იყო და რჩება „მოხეტიალე ფორვარდად“. ვისაც ფეხბურთი გიყვართ, გეცოდინებათ, რომ ეს გუნდში საინტერესო ამპლუაა და მას ხშირად მას ლამაზი ფინტებიც გამოსდის ხოლმე.

დარწმუნებული ვარ, რომ მას ქვეყნისთვის სამსახური უნდა. ასეთ დროს შესაძლოა განსხვავებული გზით და ფორმით ვხედავდეთ ხოლმე იმის გაკეთების საშუალებას, რაც გვსურს.

ის, რომ უმრავლესობის შიგნით კობა დავითაშვილი განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდა არც ეს არის თქვენთვის სიახლე. ბატონმა ბიძინამ მას მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა და ამიტომაც ვამბობ რომ ის „მოხატიალე ფორვარდის“ ამპლუაში იყო. ახლა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა,— საპრეზიდენტო არჩევნები მოახლოვდა და ასეთ დროს ყველა პოლიტიკური ლიდერი იწყებს ფიქრს, ხომ არ არის რაიმე ახალი ნაბიჯის დრო. კობამ ახალი ნაბიჯის გადადმა გადაწყვიტა და მე ვისურვებდი, რომ მან ქვეყნის ცხოვრებაში კონსტრუქციული და სასარგებლო როლი შეასრულოს.

მე არ ვფიქრობ, რომ კობა დავითაშვილი უმრავლესობის კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილი კონკურენტია. მე მგონი ის უფრო სხვა კანდიდატების კონკურენტია და მათ ამაზე თავად იზრუნონ, — განაცხადა დაით უსუფაშვილმა.

„ქართული ოცნება“ კობა დავითაშვილისთვის რიგით მესამე უმრავლესობაა, რომელიც მან მიატოვა. ის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც თავის დროზე მოქკავშირი დაგმო, მერე ნაციონალების უმრავლესობა მიატოვა, ახლა კი ოცნებას გაუფუჭა იმიჯი. მეოცნებეები კი ამბობენ, კობას წასვლა ვერაფერს დაგვაკლებსო მაგრამ არც ასე მარტივად არის საქმე. წინა 2 უმრავლესობიდან წასულმა კობამ სხებიც გაიყოლა, ვნახოთ რა იქნება ახლა.

## ქართველები „მსოფლიო პოლიციისა და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადაში“ მონაწილეობენ

„მსოფლიო პოლიციისა და სახანძრო სამსახურის სპორტული ოლიმპიადა“ ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქ ბელფასტში ოფიციალურად გაიხსნა.ოლიმპიადაში, წელს პირველად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები მონაწილეობენ.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, ღონისძიებაში რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება, მსოფლიოს 80 ქვეყნიდან ათასობით პოლიციელი სპორტის 70-მდე სახეობაში ასპარეზობს. წელს ქართული დელეგაცია ოლიმპიადაზე 16 სპორტსმენით წარსდგება. ქართველი სპორტსმენი პოლიციელები იმედოვნებენ, რომ ოლიმპიადაზე არაერთ საპრიზო ადგილს დაიკავებენ. ისინი სპორტის 7 სახეობაში: ძიუდოში, თავისუფალ ჭიდაობაში, ძალოსნობაში, მკლავჭიდში, კრივში, სროლასა და ცურვაში მიიღებენ მონაწილეობას.

„მსოფლიო პოლიციისა და სახანძრო სამსახურის სპორტული ოლიმპიადა“ 12 აგვისტოს დაიხურება.

**ნიუსპრესი**

## დავით უსუფაშვილი: „ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიებას რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაესვას წერტილი“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საკითხს რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაესვას წერტილი.



როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას უსუფაშვილმა განაცხადა, თუ სიმართლე არ გაირკვა, ეს იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში დამაზარალებელი ყველასთვის და ყველაფრისთვის.

„ზოგადად, სახელმწიფოს პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები ის პირები არიან, რომელთა მიმართაც დამოკიდებულება — გადაყენება, პასუხისმგებლობაში მიცემა და მით უმეტეს, მკვლელობა, თუ მასთან გვაქვს საქმე, ქვეყნისთვის არის უკიდურესად დამაზარალებელი. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ სიმართლე არ გაირკვა, ეს იქნება კიდევ უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში დამაზარალებელი ყველასთვის და ყველაფრისთვის. ამიტომ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაესვას ამ საკითხს წერტილი. თუ ოთხი წელი გამოძიებას მოვანდომეთ ე.ი ჩვენშიც არის პრობლემა, კვალიფიკაციის ან სხვა რამის. ამიტომ, ასეთი ტიპის საკითხებზე სიცხადის შესატანად ცოტა დრო დაგვრჩა. ცოტაში მე არ ვგულისხმობ ორ და სამ დღეს, მაგრამ არც ორ და სამ წელს“, — აღნიშნა უსუფაშვილმა

**მედიანიუსი**

# თინა ხიდაშელი: „დავითაშვილი ელოდა მომენტს, რომ კოალიციიდან წასულიყო“

**ნათია ხურცილავა**

**„ქართული ოცნებიდან“ კობა დავითაშვილის წასვლის ფაქტი დიდი მოულოდნელობა არც საპარლამენტო უმრავლესობისთვის ყოფილა და, როგორც ჩანს, არც საზოგადოებისთვის. დავითაშვილი უმრავლესობას ტოვებს და როგორც დამოუკიდებელი დეპუტატი, ისე გააგრძელებს მუშაობას. თუმცა, უფრო მეტი ამბიციებით, ის მზად არის საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი იყაროს. დავითაშვილის გადაწყვეტილება უკვე შეაფასეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა.**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, თინა ხიდაშელის განცხადებით, კობა დავითაშვილი ელოდა მომენტს, რომ წასულიყო, იმიტომ, რომ ის ყოველთვის ასე იქცევა.

— მე მხოლოდ წარმატებები მინდა ვუსურვო კობას. ნამდვილად არ ვაპირებ ახლა რაიმე კომენტარები გავაკეთო მის კომენტარებზე „რესპუბლიკურ პარტიასთან“ დაკავშირებით. ეს არ მიკვირს, ასეთი სტილი დამკვიდრდა საქართველოში, რომ ვისაც არ ეზარება და რაიმე პრობლემაა და სათქმელი არაფერი აქვს, მერე უნდა თქვას, რომ „რესპუბლიკურ პარტიასთან“ აქვს პრობლემა. არა უშავს, უარესებისთვის გაგვიძლია. მინდა, წარმატება ვუსურვო კობა დავითაშვილს, თუმცა გამიჭირდება დავინახო მარტო დარჩენილი დეპუტატის წარმატება, მაგრამ შეიძლება, დამოუკიდებელმა დეპუტატმა პარლამენტის საქმიანობას მეტი ხიბლი შესძინოს, — ასეთი შეფასება გააკეთა თინა ხიდაშელმა.

მისივე თქმით, ის დიდი ხანია, ელოდა და დარწმუნებული იყო, რომ კობა დავითაშვილი ასეთ ნაბიჯს გადადგამდა.

— კობა ელოდა მომენტს იმისთვის, რომ წასულიყო, იმიტომ, რომ ყოველთვის ასე იქცევა, ასეთი ფენომენია და მისგან არ მიკვირს. — აღნიშნა ხიდაშელმა.

გუშინ თინა ხიდაშელმა შეფასებები პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებებზეც გააკეთა.

ხიდაშელის განცხადებით, მიშა სააკაშვილი კიდევ ორი თვე სახელმწიფოებრიობანას გვეთამაშება.

ასე გამოეხმაურა ხიდაშელი პრეზიდენტის გადაწყვეტილებას თენგიზ გუნავას შეწყალებისა და სამეგრელო–ზემო სვანეთის გუბერნატორის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ.

— მიშა სააკაშვილი კიდევ ორი თვე სახელმწიფოებრიობანას გვეთამაშება, არა უშავს, 9 წელი ვითმენდით და ორი თვეც მოვითმენთ, — განაცხადა ხიდაშელმა.

რაც შეეხება ბაჩო ახალაიასთან დაკავშირებით სასამართლოს განაჩენს, თინა ხიდაშელი აცხადებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება იყო დასტური იმის, რომ დღევანდელი სასამართლო ყოველგვარი ზეწოლისგან თავისუფალია.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის განცხადებით, პროკურატურამ ვერ მოახერხა, ბაჩო ახალაიასთვის ბრალი დაემტკიცებინა, თუმცა, ამის გამო მთავარი პროკურორის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება უპასუხისმგებლობაა.

თინა ხიდაშელი ბრალდების მხარის სისუსტეს ახალაიას სასამართლო პროცესზე იმ ფაქტს უკავშირებს, რომ პროკურორები 9 წლის განმავლობაში მიჩვეულნი იყვნენ ისეთ სისტემაში მუშაობას, როდესაც მტკიცებულებების მოძიება არც სჭირდებოდათ და ყველა მათი სიტყვა სასამართლოზე ისედაც გაზიარებული იყო.

— ეს გადაწყვეტილება იყო იმის დასტური, რომ დღევანდელი ხელისუფლება სასამართლოზე ზეწოლას არანაირად არ ახორციელებს. 2-3 წლის წინ, წარმოგიდგენიათ, რომ სასამართლო გაბედავდა ასეთს კი არა, ოდნავ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღებას იმისგან, რასაც პროკურატურა ითხოვდა. გუშინ წინ ეს შესაძლებელი გახდა. ვიმეორებ, ეს არის დასტური, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება არც ერთი ფორმით, არანაირად, სასამართლოზე ზეწოლას არ ახორციელებს, ვინაიდან ბაჩო ახალაიას პროცესზე უფრო მნიშვნელოვანი პროცესი ცოტა შეიძლება შედგეს საქართველოში მომავალი წლების განმავლობაში. ეს არის ცალსახა და ამის არდანახვა არ შეიძლება. ჩემთვის გუშინდელის შემდეგ ბაჩო ახალაია უდანაშაულო არ გამხდარა, უბრალოდ, ჩემთვის დადასტურდა ის, რომ პროკურატურამ ვერ მოახერხა მისთვის ბრალი დაემტკიცებინა. ეს არის ძალიან სამწუხარო, მაგრამ რეალობაა, იმიტომ, რომ იქ მუშაობენ ისევ დიდი ნაწილი პროკურორებისა, ვინც ადეიშვილის დროს იცოდა, რომ მტკიცებულებების მოგროვება არ სჭირდებოდათ, რასაც იტყოდნენ სასამართლოში, მაინც ჭეშმარიტებად იყო აღიარებული. დღეს სხვა საქართველოა და სასამართლოში უფრო მომზადებულები უნდა მივიდნენ, — განაცხადა ხიდაშელმა.

ხიდაშელის განცხადებით, არც ერთი წამით არ შეუძლია ამ საკითხში მთავარი პროკურორის პრობლემა დაინახოს, ვინაიდან, არჩილ კბილაშვილს არ უჭირავს ჯადოსნური ჯოხი, რომ უცებ ყველა ეს ადამიანი პროფესიონალებად აქციოს.

აღნიშნული განცხადებები საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა თინა ხიდაშელმა ჟურნალისტებთან საგარეო საქმეთა სამინისტროში გააკეთა, სადაც საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან გამართეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეხვედრები.

..

მთელი მსოფლიო დაინტერესებულია მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებით

შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანი, თამარ ბერუჩაშვილი, თეა წულუკიანი, თინა ხიდაშელი და თამარ ჩუგოშვილი ესწრებოდნენ.

საგარეო საქმეთა სამინისტროში მიწვეული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, ხელისუფლებამ საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მიმდინარე სამზადისი გააცნეს.

საგარეო უწყებაში გამართულ შეხვედრას ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რიჩარდ ნორლანდი, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ლუის ნავარო ესწრებოდნენ.

დიპლომატებს სათანადო ინფორმაციას საგარეო მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი თინათინ ხიდაშელი აცნობდნენ.

როგორც შეხვედრის დაწყებამდე ჟურნალისტებს დავით ზალკალიანმა განუცხადა, დიპლომატები გაეცნობიან იმას, თუ როგორ ემზადებიან საპრეზიდენტო არჩევნებისათვის საგარეო უწყება, მთავრობის კანცელარია, პარლამენტი, იუსტიციის სამინისტრო.

— დიპლომატებს ჩვენს საქმიანობას დეტალურად გავაცნობთ. მომავალი არჩევნები საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში საუკეთესო უნდა იყოს. ის დემოკრატიულად და გამჭვირვალედ უნდა ჩატარდეს. აქედან გამომდინარე, ძირითადი ყურადღება სწორედ იმაზე გამახვილდება, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები ჩაატაროს, — აღნიშნა დავით ზალკალიანმა.

მისი თქმით, მთავრობა საერთაშორისო თანამეგობრობასთან დიდი ხანია თანამშრომლობს. საარჩევნო სამზადისი საგარეო უწყებამ ჯერ კიდევ დეკემბრიდან დაიწყო. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა საპრეზიდენტო არჩევნების კონკრეტული თარიღი გამოაცხადა, საერთაშორისო ორგანიზაციებს მიწვევები უკვე ამ თარიღის მითითებით დაეგზავნათ.




როგორც ზალკალიანი აცხადებს, კონტაქტი დამყარებულია ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: ეუთო, ადამიანის უფლებათა დაცვის ვარშავის ბიურო და სხვები.

— ასე რომ, საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან სრული თანხმობა გვაქვს. თანამშრომლობის არანაირი პრობლემა არ გვაქვს, — დასძინა დავით ზალკალიანმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის ინფორმაციით, უცხოეთში მცხოვრები ქართველებისთვის საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა და საპრეზიდენტო არჩევნებში ხმის მიცემა, წელს გაცილებით მარტივი იქნება, ვიდრე გასული წლის საპარლამენტო არჩევნებზე იყო.

ზალკალიანმა აღნიშნული განცხადება ჟურნალისტებთან საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

— ვფიქრობ, ძალიან წარმატებული შეხვედრა იყო, გამომდინარე იქიდან, რომ შეხვედრას ესწრებოდნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები. ჩვენ დეტალურად ავუხსენით დიპლომატიურ კორპუსს, თუ როგორ ემზადება ახალი ხელისუფლება მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. გაგზავნილია მოწვევა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან და საგარეო საქმეთა სამინისტრო ხელს შეუწყობს მათ მუშაობას როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე არჩევნების დღეს. შეხვედრაზე შედარებები იყო გაკეთებული იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი არჩევნები იყო 2012 წელს და როგორი მუშაობა მიდის 2013 წლის არჩევნებისთვის. ასევე განვიხილეთ ძალიან მნიშვნელოვანი თემა, ესაა ჩვენი თანამოქალაქეების რეგისტრაციის საკითხი უცხოეთში. გასული წლის საპარლამენტო არჩევნებზე მათ ჰქონდათ ძალიან სერიოზული პრობლემები საკონსულო აღრიცხვაზე დადგომასთან და ასევე არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ჩვენ ძალიან ბევრი ნაბიჯი გადავდგით ამ პრობლემის მოსაგვარებლად. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააუქმა ის წესი, რომელიც საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის გართულებულ პროცედურებს ითვალისწინებდა და ახლა ეს პროცედურა ძალიან გამარტივებულია, — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებით, მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები საუკეთესო უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში.

— საუბარი გვქონდა, თუ როგორ ემზადება საქართველოს ხელისუფლება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. როგორ იცით, უწყებათაშორისი კომისია გადადის იუსტიციის სამინისტროსთან და დიპლომატებს დეტალურად გავაცნობთ ჩვენს საქმიანობას. მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები საუკეთესო უნდა იყოს საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში. შესაბამისად, ძირითადი ყურადღება შეხვედრაზე სწორედ საქართველოს მთავრობის მზაობაზე გამახვილდება, რომ დემოკრატიული და გამჭვირვალე არჩევნები ჩაატაროს, — განაცხადა ზალკალიანმა.

მისივე თქმით, მთავრობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პრობლემა არ აქვს და არჩევნებამდე 9 თვით ადრე გაუგზავნა მოწვევა, რომლებიც მთავარი დამკვირვებლები იქნებიან.

საგარეო უწყებაში გუშინ მაკკეინის მიერ გაკეთებული განცხადებაც შეაფასეს. დავით ზალკანიანის განცხადებით, ძალიან კარგია, რომ სენატორი ჯონ მაკკეინი კვლავ ადასტურებს მხარდაჭერას საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი.

— მაკკეინი საქართველოს მეგობარია, მას არაერთხელ გაუკეთებია საქართველოს მხარდამჭერი განცხადება, კერძოდ, ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით. ძალიან კარგია, რომ ის კვლავ ადასტურებს ამ მხარდაჭერას. ჩვენ ამას მივესალმებით, რაც მეტი იქნება ასეთი მხარდამჭერი განცხადებები ამერიკელი კანონმდებლების, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან, ჩვენ ამას მხოლოდ და მხოლოდ მივესალმებით, — განაცხადა ზალკანიანმა.

როგორც ცნობილია, ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა განაცხადა, რომ დროა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფუნდამენტურად გადახედოს ურთიერთობებს პუტინის რუსეთთან. მისივე თქმით, რაც შეიძლება, ოპერატიულად უნდა გადავიდეთ ნატოს შემდგომ გაფართოებაზე და ეს საქართველოსაც ეხება.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, არ უნდა მოხდეს ზუგდიდის ინციდენტის მსგავსი ძალადობის ფაქტები, როცა ხალხი ქვებსა და ბოთლებს ისროდა.

როგორც აღვნიშნეთ, დიპლომატებთან გამართულ შეხვედრას ესწრებოდა ნორლანდი. საგარეო საქმეთა სამინისტროში წინასაარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით დიპლომატიურ კორპუსთან გამართული შეხვედრის შემდეგ ელჩმა განაცხადა, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

— მთელი მსოფლიო დაინტერესებულია მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნებით. შესაძლებლობა მოგვეცა, დღეს მოგვესმინა, თუ რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს მთავრობა, რომ უზრუნველყოფილი იყოს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება. ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ არ მოხდეს ძალადობის ფაქტები, იმ ინციდენტის მსგავსი შემთხვევები, რომელიც ზუგდიდში ვნახეთ, სადაც ხალხი ქვებსა და ბოთლებს ისროდა, ეს აღარ უნდა მოხდეს. დღეს მთავრობამ განაცხადა, რომ იმოქმედებს მკაცრად და დასჯის ყველას, ვინც ასეთ ქმედებას ჩაიდენს. ასევე ითქვა, რომ უსაფრთხოების დასაცავად საკმარის რესურსს გამოყოფს. ასევე ვისაუბრეთ პატარა პოლიტიკური პარტიების როლზე, რომელთაც სურთ, რომ ჰქონდეთ სხვა პარტიების მსგავსი დაფინანსება და თანაბარი გაშუქება მედიით, — განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

# გოგა ხაინდრავა: „საქართველოში სასამართლო დაპყრობილია“

## სააკაშვილმა ქვეყანაში სინდისი გააუქმა

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ გოგა ხაინდრავასთან

***— ხალხი აღშფოთებულია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. როგორც ცნობილია, საქალაქო სასამართლომ ბაჩო ახალაია ბრალდების სამ ეპიზოდში უდანაშაულოდ ცნო...***

— ქვეყანაში, სადაც მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტია და გიგა ბოკერია უშიშროების საბჭოს მდივანი, არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს. ვერ ხვდებიან, რომ ამით დანაშაულზე დანაშაულს იმატებენ. მესმის, რომ ხალხი აღშფოთებულია, თუმცა საზოგადოებამ ამ ყველაფერს ასე რთულად არ უნდა შეხედოს, მერწმუნეთ, მოვა დრო და ყველაფერი დალაგდება. სასამართლო ისევ ნაციონალების ხელშია და აბა, სხვას რას ელოდით?

***— საუბარია იმაზე, რომ ივანიშვილს საკუთარ გუნდში ჰყავს მტრები და ეს პოლიტიკა მიზანმიმართულად მიმდინარეობს, რათა ქვეყანაში სიტუაცია დაიძაბოს. ეს რამდენად შეესაბამება სინამდვილეს?***

— არა, მე ამის არ მჯერა. მტრების რა მოგახსენოთ, როგორი უნიჭო უნდა იყო ადამიანი, რომ ბიძინა ივანიშვილის მტერი გახდე, მით უმეტეს მისი გუნდის წევრი. არ მგონია, რომ ასე იყოს საქმე. არც სპეციალურად აკეთებენ, უბრალოდ საერთაშორისო ზეწოლაა ძალიან დიდი. გასაგებია, რომ გარშემო ძალიან ბევრი საკითხია ისეთი, რომელიც საზოგადოებას აღელვებს და აწუხებს, მაგრამ მოთმინებითა შენითა მოიპოვე სასუფეველი შენი, არის ნათქვამი და, მგონი, ცოტაც რომ მოვითმინოთ, ყველაფერი დალაგდება.

***— სასამართლო დამოუკიდებელიაო, მოვისმინეთ ხელისუფლებისგან და როდესაც ბაჩო ახალაიასა და სასულიერო პირებს ასამართლებენ, ეს დამოუკიდებლობის ნიშანია თუ უსამართლობის?***

— რომელ დამოუკიდებლობაზე მელაპარაკებით, სასამართლო დამოუკიდებელი კი არა, დაპყრობილია. სამწუხაროდ, დღემდე ნაციონალების ინტერესების გამტარებელია. სანამ ეს კრიმინალი კუბლაშვილი სასამართლო ხელისუფლების სათავეში იქნება, მანმადე, რა თქმა უნდა, იქ არავითარ სამართალს ადგილი არ ექნება. ეს არის საზოგადოების თემაც დ არა მარტო ხელისუფლების. მე მგონი, ამ უმსგავსობას საზოგადოება უნდა აღუდგეს წინ პირველ რიგში და მან უნდა აჩვენოს თავისი უნარი. ის, რაც დღეს სასამართლოში ხდება, არც პირველი შემთხვევაა არც მეორე.

***— ბევრი თვლის, რომ არჩილ კბილაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი უნდა დადგეს, რადგან ის სუსტი პროკურორია...***

— მე არა მგონია, რომ არჩილ კბილაშვილი უნდა გადადგეს. მე ვერანაირად ვერ ვიტყვი, რომ ის ცუდი პროკურორია. არჩილ კბილაშვილი არის უაღრესად პატიოსანი კაცი, რომლისთვისაც დემოკრატია მხოლოდ სიტყვები არ არის, დემოკრატია გარკვეულ პროცედურებს გულისხმობს და აუცილებლად საჭირო პროცედურებს. სხვა საქმეა, რომ მოსამართლეები არიან სულგაყიდულები და ძალიან ხშირად პროკურატურის შემადგენლობა ისევ ძველი გუნდით არის წარმოდგენილი. იმათ იმდენი ბოროტმოქმედება და იმდენი უკანონობა აქვთ ჩადენილი, რომ გარკვეულწილად თავს იცავენ ამ ქმედებით. პირიქით მე ვფიქრობ, რომ კბილაშვილი ძალიან დადებითი და პატიოსანი კაცია და ძალიან კარგია, როდესაც საქართველოს ასეთი პროკურორი ჰყავს. პროკურორი დამსჯელი არ უნდა იყოს, პროკურორი უნდა იყოს სამართლის მძებნელი და ბატონი კბილაშვილი ზუსტად ასეთია.

***— საუბარია იმის თაობაზე, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად კიდევ უფრო მეტ პროვოკაციას უნდა ველოდეთ სააკაშვილისგან და ნაციონალების მხრიდან...***

— სასაცილოა, რომ სააკაშვილს კიდევ რაიმე პროვოკაციის თავი ჰქონდეს. მისი პროვოკაცია არის ის, რასაც ყოველდღიურად ვუსმენთ და ვხედავთ, მაგალითად, ის, რომ გუნავა გამოუშვა. ის სერიოზული პროვოკაციის მომწყობი ნამდვილად არ არის, მაგრამ ასეთი წვრილწვრილი უმსგავსობები და, რაც მთავარია, დაბეზღება საზღვარგარეთ საკუთარი ქვეყნის, საკუთარი მომავლის ლანძღვა-გინება მისი ხელწერაა. მთელი ამ ათი წლის განმავლობაში ის ყოველთვის ემსახურებოდა არა ქვეყნის, არამედ საკუთარ ინტერესებს. ამიტომ მისგან არაფერი არ უნდა იყოს გასაკვირი. რასაც მთელი 9 წელიწადი აკეთებდა, იმავეს აკეთებს. დღეს, უბრალოდ, საცეცები მოვაჭერით, 9 თავიდან რვა მოვჭერით და ერთი დარჩა გარეთ და ამ ერთი თავით ბევრს ვერაფერს დაუშავებს ქვეყანას. მალე მეცხრე თავსაც მოვჭრით.

***— როგორ ფიქრობთ, ცოტა ზედმეტიც ხომ არ მოუვიდა ახალ ხელისუფლებას კოჰაბიტაცია ამ რეჟიმთან და შედეგიც სახეზეა?***

— ვერ ვიტყვი, რომ ზედმეტი მოსდით, უბრალოდ, გვინდა თუ არ გვინდა, მსოფლიო პოლიტიკური კონიუნქტურა უნდა გავითვალისწინოთ. ასე მარტივად არ არის საქმე, ხომ ვხედავთ, რაც ხდება. მე, მაგალითად, ძალიან ცოტა მინახავს, ფაქტი ვიცი, სამხრეთ კორეაში, მაგალითად, სამი პრეზიდენტი ზის, რუმინეთშიც... უამრავი ადგილია, სადაც წინა ხელისუფლების წევრები, მი გამო რომ სხვადასხვა კანონდარღვევები აქვს ჩადენილი სასჯელს იხდიან და ძიებაში არიან. ერთადერთი ქვეყანა, სადაც აიხიეს ლაყუჩები ევროპელმა ე.წ. ლიბერალებმა, საქართველოა და, მე დარწმუნებული ვარ, რომ ესეც მალე გაივლის და ესეც დალაგდება.

***— თქვენ გჯერათ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შეიცვლება ქვეყანაში ვითარება?***

— რა თქმა უნდა. როდესაც ამ სიბინძურის სათავე, მიხეილ სააკაშვილი, დაემშვიდობება თავის უზურპირებულ ხელისუფლებას, ნელ-ნელა ყველაფერი დალაგებას დაიწყებს.

***— მაგრამ იმ ფონზე, როდესაც პრემიერი მიდის?***

— მერე რა, რომ მიდის? მე არა მგონია, რომ ამან რაიმე რყევები გამოიწვიოს ქვეყანაში. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ყველაფერი იქნება კარგად. შეიძლება, ეს ვილაცებში უკმაყოფილებას იწვევს, მაგრამ არც ეს არის კატასტროფა ამ 9-წლიანი კოშმარის შემდეგ.

***— თქვენი აზრით, ეს განწყობები, იმედგაცრუებული საზოგადოება საპრეზიდენტო არჩევნებზე როგორ ასახვას ჰპოვებს?***

— ვნახოთ, მე ვერაფერს გეტყვით წინასწარ. მე არანაირ გართულებებს არ ველოდები საპრეზიდენტო არჩევნებში, ყველაფერი კარგად ჩაივლის, მაგრამ, დღეს რომ უკმაყოფილებაა, კარგად მესმის, გასაგებიც არის, მაგრამ, მერწმუნეთ, ყველაფერი იმაზე კარგად იქნება, ვიდრე ჩვენ გვგონია.

***— სააკაშვილს რაც შეეხება, რამდენად არის იმის შანსი, რომ ის განსასჯელის სკამზე ვიხილოთ?***

— ამაში ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი. ის აუცილებლად წარდგება მართლმსაჯულების წინაშე. უბრალოდ, დროის საკითხია, იმუნიტეტი მოეხსნება და, მე ვფიქრობ, სისხლის სამართლის საქმის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე იქნება. თევზი თავიდან ყარსო, ნათქვამია. ეს ნაციონალური მოძრაობაც სააკაშვილიდან ყარდა და სააკაშვილი ძალიან მძიმე დანაშაულებშია ეჭვმიტანილი მერაბიშვილთან და ადეიშვილთან ერთად. ისინი ერთი ორგანიზაციის სათავეებთან იდგნენ, ორგანიზაციის, რომელმაც უამრავი ბოროტება და უამრავი უკანონობა ჩაიდინა. რაც მთავარია, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები, რომელიც ჯერ გამოძიების სტადიაშია, დამერწმუნეთ, ყველაფერს მალე აეხდება ფარდა.

***— დღეს ბევრს საუბრობენ იმის შესახებაც, რომ ბაჩო ახალაიამ გამოძიებასთან ითანამშრომლა, სერიოზული ინფორმაციები მიაწოდა იგივე სააკაშვილზე და მერაბიშვილზე და ამიტომ სასჯელიც შეუმსუბუქეს... თქვენ თუ იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

— დარწმუნებული ვარ, ეს ასე არ არის. ბაჩო ახალაიას თანამშრომლობა მე არ გამიგია და არ მინახავს არაფერში. ეს არის, უბრალოდ, კიდევ ერთი რეციდივი იმ უმსგავსობის, რომელსაც ამკვიდრებდა სააკაშვილი კუბლაშვილის ხელით სასამართლოში. ამ ადამიანებს დღეს პრეტენზია აქვთ სასამართლოსა და მოსამართლეობაზე, ესენი ყველანი დაისჯებიან. ამ ხელისუფლების ხელში დაისჯებიან თუ სხვა ხელისუფლების ხელში, ეს არის საკითხავი, თორემ, რომ დაისჯებიან, ამას ლაპარაკი არ უნდა.

***— თუ ამ ლოგიკით გავყვებით, მაშინ შესაძლოა გამოუშვან მერაბიშვილიც... ბაჩო ახალაიას ორი ეპიზოდი დარჩა და ალბათ იმაშიც გაამართლებენ, თუ არ გაამართლებენ და არც ეგაა პრობლემა, პრეზიდენტი შეიწყალებს...***

— ეს არ არის ლოგიკა, ლოგიკით თუ მივდივართ, მაშინ, არათუ უნდა გამოუშვან რომელიმე მათგანი, არამედ ბრალიც უნდა დაუმძიმდეთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება. ახლა ის დროა, როდესაც საზოგადოება ძალიან ფხიზლად უნდა იყოს და დააფიქსიროს თავისი მკვეთრი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი და შეახსენოს დანაპირები, როგორც აღმასრულებელ ისე სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებას. მე მაინც ვფიქრობ, რომ ლომის წილი ნაციონალების რეანიმაციაში და იმ ვითარების შექმნაში, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ ხალხი ასე ფიქრობს... ხალხი ასე არ ფიქრობს, ასე ფიქრობს ქართული პრესა, ჩვენი ტელევიზიები. ჩემდა გასაკვირად, დღევანდელი მედია იბრძვის იმისათვის, რომ ნაციონალური მოძრაობა გადარჩეს, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია. მე არ ვიცი, ნებსით თუ უნებლიეთ, მაგრამ ეს რომ ასეა, ცხადია. ერთადერთი, რითიც სულდგმულობს დღეს ნაციონალური მოძრაობა, ეს არის საერთაშორისო თაღლითებისა და ქართული პრესის,



ტელევიზიების მხარდაჭერა. ქართულმა პრესამ რომ სამი-ოთხი დღით შეწყვიტოს არსებობა, მერწმუნეთ, მეხუთე დღეს ნაციონალური მოძრაობა არავის ემახსოვრება. ეს არის ქართული მედიის დამსახურება და, ჩემი აზრით, დანაშაულიც კი ქართველი საზოგადოების წინაშე. სწორედ ტელევიზიები ასულდგმულებენ ნაციონალურ მოძრაობას. ეს მხარდაჭერა რომ არ იყოს, მათი კვალიც აღარ იქნებოდა. ახლა კი ყოველდღე ტელევიზორებშია არიან, პრაიმერებს პირდაპირ ეთერში გადმოსცემენ, სააკაშვილის ყველა სიგიჟე დღეში ცხრაჯერ გადმოიცემა... რეალურად ნაციონალური მოძრაობის პროპაგანდაშია აქტიურად ჩართული ქართული ე.წ. დამოუკიდებელი მედია. მე კი ძალიან დიდი ეჭვები მიჩნდება ამ მედიის დამოუკიდებლობაში. მესმის, რომ მნიშვნელოვანია ამა თუ იმ გადაცემის რეიტინგი, ამა თუ იმ გაზეთის ტირაჟი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი სამშობლოა, ყველაფერი ფულზე არ იყიდება! როდესაც ხედავენ, რომ ასე წურბელებივით არიან შენი სამშობლოს ტანზე, ამაში მხარი არ უნდა დაუჭირო. დღეს ყველაზე კოჰაბიტირებული ნაციონალურ მოძრაობასთან ჩვენი მედია. მე მესმის, რომ ნაციონალები ბევრ ფულს იხდიან, იმიტომ რომ ძალიან ბევრი ფული აქვთ მოპარული. მაგრამ, ვიმეორებ, ყველაფერი ფულზე არ იყიდება.

***— ბატონო გოგა, როდესაც ყოფილ ნაციონალს ხმების უმრავლესობით თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ ირჩევენ, ესეც მედიის ბრალია?***

— ნაციონალს ისევ ნაციონალები ირჩევენ. მე თუ მეხსიერება არ მღალატობს, დიდი უმრავლესობა თბილისის საკრებულოში ნაციონალები არიან. უბრალოდ, გადასხვაფერება ხდება, 7 ფრაქციად დაიყვნენ და იგივე ხალხი ტრიალებს. ნაციონალები ისევ ნაციონალებს აირჩევენ, აბა, რას იზამენ?! ამიტომ არის საქართველოში სასწრაფოდ ჩასატარებელი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები და ძალიან მალე მოვა ადგილობრივი არჩევნებიც, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და, მე ვფიქრობ, უკანასკნელმა მოვლენებმა დაარწმუნა ქართველი საზოგადოება, რომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ არჩევნებს, იმიტომ რომ ადგილობრივი არჩევნები არის საფუძველი ჩვენი ყოფა-ცხოვრების, ჩვენი ქალაქების, რეგიონების და ქვეყნის. იმედია, რომ უფრო სერიოზულად და უფრო დაკვირვებულად მიუდგებიან ამ საკითხს. მე დარწმუნებული ვარ, რომ სადღაც ერთ წელიწადში, წელიწად-ნახევარში, ნაციონალების აჩრდილიც აღარ იქნება საქართველოს ხელისუფლების რომელიმე შტოში.

***— თქვენ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ახსენეთ, საზოგადოებაში ეს საკითხი აქტიურად განიხილება და ყველა მომხრეა ვადამდელი არჩევნების, თუმცა თავად კოალიციაში არ ჰყავს ამ იდეას მხარდამჭერები...***

— „ქართული ოცნება“ ხალხის ნება-სურვილით არის ხელისუფლებაში მოსული, თუ არ განახორციელებენ იმ საქმიანობას, რომელსაც ითხოვს ქართველი საზოგადოება, მაშინ შეიცვლება ეს ხალხი და სხვა ხალხი მოვა. ეს პრობლემა აღარ უნდა იყოს საქართველოში და აღარც იქნება, ღრმად ვარ დარწმუნებული. ოცნებაში ზოგი ისე ფიქრობს, ზოგი ასე. მე, მაგალითად, მიხარია, რომ ოცნებაში აზრთა სხვადასხვაობაა, ყველას შეუძლია, გამოხატოს საკუთარი პოზიცია. ისე აღარ არის, მთელი 9 წლის მანძილზე რომ იყო, ყველა ერთი კაცის თითის აქნევას რომ ემორჩილებოდა და მის ნება-სურვილზე დადიოდა. მთავრობას თავისი აზრი აქვს, დეპუტატებს თავისი აზრი აქვს და მთავარ პროკურორს — თავისი. ეს სულაც არ გამორიცხავს ერთიან გადაწყვეტილებებს, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა კარგია. ეს არის დემოკრატია, რატომ უწუნებენ ამას „ქართულ ოცნებას“, ჩემთვის გაუგებარია. მე რომ მკითხოთ, მთელი ეს წლები ამას გაყვიროდა ქართველი საზოგადოება და ამისთვის გამოდიოდნენ ასიათასობით ქუჩაში, რომ ასეთი ვითარება ყოფილიყო, რომ არ ყოფილიყო ერთი დიქტატორის ხელის აწევა. ყველას თავისი აზრი აქვს, თავისი დამოკიდებულება, მე ეს მომწონს ძალიან და ვფიქრობ, რომ სწორედ ასეთი უნდა იყოს საზოგადოება. თუ რას ნიშნავს ერთი კაცის ჭკუაზე სიარული, 9 წელი ვიწვნიეთ. მანამდეც ვიწვნიეთ და იმის წინ კიდევ 70 წელი ვიწვნიეთ და ვისაც ნოსტალგია აქვს იმ ვითარებაზე იმან იდარდოს თორემ ეს ვითარება რაც დღეს არის, ეს არის ჯანსაღი. შეიძლება ეს აჭიანურებს რაღაც გადაწყვეტილებების მიღებას და ისე არ არის, როგორც ხალხს უნდა. მე ვფიქრობ, რომ ცოტა სულსწრაფები ვართ, ერთი წელი არ გასულა ჯერ და ეს დრო არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სახელმწიფო დამნაშავეების საქმეები იყოს გამოძიებული და განაჩენი გამოტანილი. ამას ცოტა მეტი დრო სჭირდება. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც დასტაბილურდება მდგომარეობა და ნათელი იქნება, რომ ხელისუფლების სათავეში არ არის ის დაჯგუფება, რომელიც ბოროტებას ჩადის და პირდაპირ ებრძვის საკუთარ ქვეყანად, როცა ესენი მოსცილდებიან ძალაუფლებას და ასე თუ ისე მშვიდი და გაწონასწორებული ხალხი მოვა მათ ადგილებზე, მე ვგულისხმობ საპრეზიდენტო მმართველობაში, მე ვგულისხმობ უშიშროების საბჭოში, მე ვგულისხმობ სასამართლო ხელისუფლებაში, მაშინ, ბუნებრივია, რომ შედეგიც უფრო სწრაფად მოვა, განსაკუთრებით კი ეკონომიკური შედეგები. სანამ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტია, არც ერთი ჭკუათმყოფელი ბიზნესმენი და არცერთი ინვესტორ კაპიტალს ამ ქვეყანაში არ ჩადებს. ისეთი სახიფათო კაცი, რომელიც აბეზრებს თავის სტრატეგიულ პარტნიორებს, რომელიც საბოტაჟს ეწევა, რომელიც მათ შანტაჟს ეწევა. მაგალითად განცხადება ეფბიაის მონაწილეობის 26 მაისის მოვლენებში, ეს წმინდა წყლის შანტაჟია. ეს არის ტყუილი რაც მთავარია. უბრალოდ სააკაშვილმა მიანიშნა ამერიკის ადმინისტრაციას, რომ თუ ჩემს მხარდაჭერას არ განახორციელებთ და თუ არ დამიცავთ, მე ძალიან ბევრ უსიამოვნებას შეგყრით, ბევრ უსიამოვნებას გამოვამზეურებ, რომელსაც პატიოსანი კაცი და მით უმეტეს ხელისუფლების სათავეში მყოფი არ უნდა ახმოვანებდეს. სახელმწიფო ურთიერთობები მოიცავს ისეთ სეგმენტსაც, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასაჯაროვდეს. თუმცა სააკაშვილისგან სხვას რას ველოდებით, საერთოდ გააუქმა სინდისი ქვეყანაში.

***— იმედია, რომ არჩევნების შემდეგ დალაგდება სიტუაცია...***

— ასე ადვილად არ ლაგდება. დალაგებას დრო სჭირდება, ქვეყნის ფეხზე დაყენებას დრო სჭირდება, ეს პროცესები ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა მის მერე ვლაგდებით დ ავერ დავლაგდით. ჩვენ ისევ ის საზოგადოება დავრჩით, ამ საზოგადოებას მოემატა მხოლოდ ერთი კაცი ბიძინა ივანიშვილი. დანარჩენები ყველგან იგივე დავრჩით, ის ხალხი ვინც ითმენდა, ვინც ტაშს უკრავდა და აღფრთოვანებისგან ღმუოდა სააკაშვილის დანახვაზე, ვინც ითმენდა ამ ყველაფერს, ვინც ცოცხებით ხალხს აუპატიურებდა, ვინც იცოდა ამის შესახებ და არაფერს არ ლაპარაკობდა, ისევ ის საზოგადოება და ისევ ის ხალხი დავრჩით და რატომ გვიკვირს, ვერ გავიგე. ასე უცებ როგორ გადავკეთდებით? ამ ერთმა ბიძინა ივანიშვილმა რა უნდა ქნას?!

***— ეს ერთი ბიძინაც რომ მალე მიდის...***

— ამ კაცმა თავისი საქმე გააკეთა. საშვილიშვილოდ დარჩება მისი ოჯახის ლოცვა თითოეული ჩვენგანისთვის. რატომ გვიკვირს? მიდის კაცი და ღმერთმა გაუმარჯოს. ამ წასვლით არანაკლებ სარგებლობას მოუტანს თავის ქვეყანას, ვიდრე დღეს. გაცილებით მეტსაც კი. ის, რომ ქართველებს ვერ წარმოუდგენიათ, რომ ადამიანი ნებაყოფლობით თანამდებობას ტოვებს, ეს უკვე ჩვენი მენტალობის პრობლემაა. გაუგებარია ქართველებისთვის, როგორ შეიძლება, პირველი კაცი იყო ქვეყანაში და ნებაყოფლობით წახვიდე. ამ ყველაფერს ისტორია თავის სახელს დაარქმევს.

# რა მდგომარეობაა ხელოვნების მუზეუმში?

ეკა ირემაშვილი

სახელმწიფო აუდიტი აქვეყნებს მოკვლევას შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რომელშიც ვკითხულობთ:

„ხელოვნების მუზეუმში წლების მანძილზე ინახება ისეთი ნივთები, რომლებიც არ წარმოადგენს სამუზეუმო ექსპონატებს და არც მუზეუმის კუთვნილებაა. კერძოდ, 1988 წლის 7 აპრილს მოქალაქე ვ. გარაყანიძემ საექსპერტო-შემსყიდველ კომისიას ჩააბარა 4 ხატი, რომლებიც წარმოადგენს გვიან შესრულებულ რუსული ხატწერის ნიმუშებს. დღემდე იგი მუზეუმში აღარ გამოჩენილა და 24 წელიწადზე მეტი ეს ხატები ისე ინახება მუზეუმში, რომ არ დასმულა საკითხი მათი შემდგომი კუთვნილების დასადგენად.

1993 წლის პირველი დეკემბრის №10/5-192 წერილით საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ბიურომ მიმართა მუზეუმს, შეენახა 49 ერთეული ხატი „№53 სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე“. აღნიშნული ხატებიც დღემდე ინახება მუზეუმში.

2000 წლის 11 აგვისტოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო სამსახურის ვაკე-საბურთალოს რაიონული სააღსრულებო ბიუროს №323/5-07 წერილითა და შესაბამისი აქტით, ხელოვნების მუზეუმს შეფასებისა და დროებით შენახვისთვის ჩაბარდა მსჯავრდებულ ჯ. იოსელიანის დაყადაღებული სხვადასხვა დასახელების ნივთები, სულ 40 ერთეული (ძირითადად ხატები, ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი). როგორც წერილიდან ირკვევა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 2/09 განაჩენით მსჯავრდებულების ჯ. იოსელიანის და სხვათა დაყადაღებული ქონება უნდა მიქცეულიყო დანაშაულით მიყენებული ზარალის 319.2 ათასი ლარის გადახდაზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სწორედ ამ მიზნით იქნა აღნიშნული ქონება ამოღებული ჯ. იოსელიანისგან. ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელთა მიერ ჩატარდა შესაბამისი სამუშაო და პასუხი ეცნობა სააღსრულებო სამსახურს. აღნიშნული ნივთების ჩაბარებიდან 12 წელიწადზე მეტია გასული და ისინი კვლავ ხელოვნების მუზეუმში ინახება. ამრიგად, არ სრულდება უზენაესი სასამართლოს 1998 წლის 2/09 განაჩენი და სახელმწიფო ბიუჯეტშიც არ იქნა შესაბამისი თანხები შეტანილი.

საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის 2001 წლის 8 ივლისის წერილით ხელოვნების მუზეუმს და თბილისის ექსპერტიზისა და სერთიფიკაციის გაერთიანება „თბილექსპერტიზას“ გაეგზავნა დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე (№7401154) კომპლექსური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. ექსპერტიზაზე წარდგენილ იქნა მოქალაქე ლ. ბუზუკაშვილისაგან ამოღებული 45 ცალი საეკლესიო ხატი და 2 ჯვარი. დადგენილებით, ექსპერტიზის წინაშე დაისვა შემდეგი საკითხები: წარმოადგენდა თუ არა ეს ნივთები საქართველოს ან უცხო ქვეყნის ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული ღირებულების მქონე ხელოვნების ნიმუშებს; რას შეადგენდა თითოეული ნივთის ღირებულება და რას შეადგენდა ამ ნივთების საბაჟო ღირებულება. ხელოვნების მუზეუმის პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ხელოვნების მუზეუმის სპეციალისტების მიერ შეფასება მიეცა თითოეულ ექსპონატს და გაკეთდა საექსპერტო დასკვნა, რომელიც გადაეგზავნა საგამოძიებო დეპარტამენტს, თუმცა ეს დასკვნა და შესაბამისი წერილი ვერ წარმოგვიდგინეს. აღნიშნული ნივთების ჩაბარებიდან 11 წელიწადზე მეტია გასული და ისინი კვლავ ხელოვნების მუზეუმშია მიტოვებული.

„მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 ივლისის №3/121 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-14 პუნქტის მიხედვით, სამუზეუმო ექსპონატი საბუღალტრო აღრიცხვას არ ექვემდებარება. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი, ანგარიშზე სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი (2122) – აღრიცხვა საბაზრო და არასაბაზრო წესით მომსახურების გაწევისათვის სახელმწიფო მუზეუმების მფლობელობაში არსებული ნახატები, ქანდაკებები, ხელოვნების სხვა ნიმუშები და ანტიკვარიატი, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე კოლექციები და სხვა. ამრიგად, ეს ჩანაწერი ეწინააღმდეგება „მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოხსენებულ მოთხოვნებს და შესაბამის დარეგულირებას მოითხოვს.

დღეის მდგომარეობით, მუზეუმში საკუთარი და საბიუჯეტო სახსრებით შესყიდული ექსპონატების აღრიცხვა, სხვადასხვა ტექნიკასა და ინვენტართან ერთად ხორციელდება ამ ანგარიშზე. 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუზეუმების ბალანსზე ირიცხება 1 449.7 ათასი ლარის ღირებულების შესყიდული ექსპონატები, თუმცა აქედან, მხოლოდ 2005-2011 წლებში შესყიდული 18.9 ათასი ლარის ღირებულების (1.3%) ექსპონატებია გაშიფრული ანალიზური აღრიცხვის მეშვეობით. დანარჩენი თანხა გაერთიანებაში შემავალი 5 მუზეუმის წინა წლების საბალანსო მონაცემების მექანიკური ნაერთია და მათი რეალობა აუდიტით ვერ დადგინდა, რადგან საბუღალტრო სამსახურში არ არსებობს იმ ექსპონატების ანალიზური აღრიცხვა. კერძოდ, ვერ დგინდება თუ რა სახის ოდენობისა და ღირებულების ექსპონატები ირიცხება მუზეუმის ბალანსზე, ჯამში — 1 430.8 ათასი ლარის ღირებულებით. ამრიგად, მუზეუმის ბალანსზე რიცხული 42 889.0 ათასი ლარის აქტივებიდან არ იშიფრება 1 430.8 ათასი ლარის აქტივები, ანუ 3.3%. აქედან გამომდინარე, ვერ ხერხდება ანალიზური აღრიცხვის მონაცემების შესაბამისობის დადგენა. ყოველივე ეს, ფინანსურ აღრიცხვაში დაშვებულ სხვა შეცდომებთან ერთად, წარმოადგენს აუდიტის მასშტაბის არსებით შეზღუდვას.

აუდიტის ჯგუფის მიერ რამდენიმე ფონდში შერჩევით შემოწმდა შესაბამის საინვენტარო წიგნებში შეტანილი ექსპონატების ძალიან მცირე ნაწილის რეალურად არსებობის მდგომარეობა. შედეგად დანაკლისი არ გამოვლენილა, თუმცა ექსპონატების ავთენტურობის შესახებ დასკვნის გამოტანა სცილდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორთა კომპეტენციას.

აუდიტით დადგინდა, რომ არქეოლოგიის განყოფილების ძვირფასი ლითონების სეიფში ინახება 1992 წელს მოსახლეობის მიერ შემოწირული ძვირფასეულობა, რომელიც არ არის მიჩნეული სამუზეუმო ექსპონატებად და არც შესაბამის საინვენტარო წიგნებშია აღრიცხული. საკითხის შესწავლით გაირკვა, რომ 1992 წელს საზოგადოება „თბილისელის“ ქალთა საკრებულოს თაოსნობით დაფუძნდა „საზოგადოებრივი ოქროს ფონდი“, რომლის ფორმირების წყარო იყო მოსახლეობის მიერ შემოწირული ძვირფასეულობა. 1992 წლის 15 ოქტომბერს საზოგადოება „თბილისელმა“ საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართა თხოვნით (წერილი №123) გამოეყო საექსპერტო კომისია, რადგან მოსახლეობის მიერ შემოწირულ ძვირფას საგნებს შორის შეიძლება ყოფილიყო სამუზეუმო ექსპონატებიც. წერილი განსახილველად გადაეცა სიმონ ჯანაშიასა და ხელოვნების მუზეუმების დირექტორებს, რათა მათ მიეღოთ მონაწილეობა ამ საქმიანობაში. საქართველოს მთავრობის 1992 წლის 16 ოქტომბრის №996 დადგენილებით შეიქმნა „შემოწირულ ფასეულობათა სპეციალური ფონდი“. დადგენილებით განისაზღვრა, რომ ეს შემოწირულობები უნდა ჩაბარებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდს, რომელსაც ევალებოდა ამ ფასეულობათა ხარისხის დადგენა, ცალკე ანგარიშზე მათი აღრიცხვა, შენახვა და დაცვა, თუმცა ამ ფონდის მუზეუმში შენახვის შესახებ არსად არაფერია დაფიქსირებული. 2005 წლის 4 აპრილის №86 ბრძანებით ირკვევა, რომ ზემოხსენებული ძვირფასეულობა განთავსებული იყო ჯანაშიას მუზეუმში, ამიტომ მუზეუმის 8 თანამშრომლისგან შეიქმნა „განძთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია“. ამავე ბრძანებით მუზეუმის დირექტორის ორ მოადგილეს დაევალა ამ საკითხთან დაკავშირებული მასალების შეგროვება და კომისიისთვის გაცნობა, აგრეთვე, დასკვნის გაკეთება განძის მდგომარეობაზე. კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია განძის განთავსება არქეოლოგიის განყოფილების ძვირფასი ლითონების სეიფში, რის გამოც 2006 წლის 12 ივლისს გაფორმდა დროებითი ჩაბარების აქტი, სადაც მითითებულია, რომ კომისიამ აღწერა მთელი ფასეულობა, სულ 3 821 ერთეული და 3 780 საინვენტარო ნომრით, რომელიც განთავსდა 10 მუყაოს ყუთში და დაილუქა მცველის ბეჭდით. ჩაბარების აქტში დაფიქსირებულია, რომ ფონდ „ქალთა საკრებულო „თბილისელის“



თავმჯდომარემ ნ. კილურაძემ და წევრმა ნ. ალექსანდრიამ ჩააბარეს აღნიშნული განძი მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების გამგეს ც. დავლიანიძეს (კომისიის თავმჯდომარე) და ძვირფასი ლითონების ფონდის მცველს მ. ჯალაბაძეს დროებით დასაცავად“. ამრიგად, უკვე 20 წელია გასული მას შემდეგ, რაც მოსახლეობის მიერ შემოწირულ ძვირფასეულობას არ მინიჭებია სტატუსი და არ გადაწყვეტილა მისი კუთვნილების საკითხი. „საქართველოს სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 ივლისის №3/121 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-12 მუხლის მიხედვით დასაშვებია ექსპონატების დროებით ან მუდმივად სარგებლობისათვის გადაცემა, თუმცა ამას არ გააჩნია შესაბამისი წესები, რომლებიც ათწლეულების მანძილზე სისტემატურად და უხეშად ირღვეოდა, რამაც სამუზეუმო ექსპონატების დაკარგვა-განადგურების სერიოზული წინაპირობები შექმნა. წლების მანძილზე მუზეუმიდან დიდი ოდენობით ექსპონატებია გადაცემული სხვადასხვა ორგანიზაციებზე სხვადასხვა ვადითა და მიზნით, საიდანაც დიდი ნაწილი არ დაბრუნებულა და ზოგ შემთხვევაში აშკარად საეჭვოა მათი დაბრუნების შესაძლებლობა. რამდენიმე შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ექსპონატების განადგურების, დაკარგვის ან გაყიდვის ფაქტებთან. მიუხედავად ამისა, ეს ექსპონატები კვლავ ირიცხება სახელმწიფო ქონებად და არ მომხდარა მათი ამორიცხვა საინვენტარო წიგნებიდან. აუდიტის მიმდინარეობისას წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია მუზეუმებიდან დროებით გაცემული და დაუბრუნებელი ექსპონატების შესახებ, თუმცა პირველადი დოკუმენტების შერჩევითი შედარებით გაირკვა, რომ ეს ინფორმაცია შეიცავდა მნიშვნელოვან ცდომილებებს, რის გამოც საჭირო გახდა მათი კორექტირება. კორექტირებული ინფორმაციით, მარტო სამი მუზეუმიდან დროებით გაცემულია 700-ზე მეტი ექსპონატი, რომლებიც წლების წინ უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ დღემდე არ დაბრუნებულა შესაბამის მუზეუმებში. წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ ექსპონატების ნაწილი გადაცემულია ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში და მათი პოვნისა და დაბრუნების ალბათობა თითქმის აღარ არსებობს, მაგრამ ზოგიერთი ექსპონატის მოძიება და დაბრუნება ჯერ კიდევ შესაძლებელია, რასაც შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გატარება ესაჭიროება, რაც ეროვნული მუზეუმის შექმნიდან არ განხორციელებულა. მაგალითად, გალერეის 27 ექსპონატი (10 ფერწერული, 7 გრაფიკული, 5 ჭედურობის და 5 გობელენი) 1994 წლის 22 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემულია „ექსიმბანკის“ თანამშრომელ სოსო კივილაძეზე, ექსიმბანკის შენობაში ქართველ მხატვართა ნამუშევართა დროებითი გამოფენის მოწყობის მიზნით. აქედან ხუთივე გობელენი და 3 ფერწერული ნამუშევარი 1999 წლის 31 მარტის მიღება-ჩაბარების აქტით უკან არის დაბრუნებული, დანარჩენი (7 ფერწერული, 7 გრაფიკული, 5 ჭედურობა) ნამუშევრების მოსაძიებლად და დასაბრუნებლად არაფერი გაკეთებულა, რაც დაუშვებელია, რადგან დღეის მდგომარეობით ამ სახელწოდების ბანკი ქვეყანაში უკვე აღარ არსებობს, ამიტომ დიდია ამ ნამუშევრების დაკარგვის რისკი.

ახალგორის რაიონის ქსნის ხეობის ისტორიის, არქეოლოგიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალში 2003 წლის 15 სექტემბრის მიღება-ჩაბარების აქტით გაცემულია 41 ფერწერული ნამუშევარი. გარდა ამისა, ჯერ კიდევ 1996 წლიდან მათზე გადაცემული იყო გამოყენებითი ხელოვნების 9 ნიმუში. ეს 50 ექსპონატი დარჩენილია რაიონში, რომელიც დღეის მდგომარეობით რუსეთის მიერ არის ოკუპირებული და სადაც ამჟამად უმართავი პროცესები მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, საჭიროა ამ ნამუშევრების მდგომარეობის გარკვევა და შესაბამისი ზომების მიღება მათ დასაბრუნებლად.

კინემატოგრაფისტთა კავშირს გადაცემული აქვს 10 ნამუშევარი (6 ფერწერული და 4 გამოყენებითი ხელოვნების), რასაც ადასტურებს კავშირის (გადაცემის აქტი ვერ წარმოგვიდგინეს) 1999 წლის 14 სექტემბრის №01-74 წერილი, რომლითაც იგი ითხოვს ამ ნამუშევრებით სარგებლობის ვადის გაგრძელებას 11 თვით, თუმცა ისინი 13 წლის შემდეგაც არ დაუბრუნებიათ. ფონდების მცველების განმარტებით, ხანდახან ისინი ამოწმებდნენ დროებით გადაცემული ექსპონატების არსებობას შესაბამის მისამართებზე, თუმცა ყველგან მისვლას ვერ ახერხებდნენ, თანაც ამას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი. ზოგ შემთხვევაში (მაგალითად, „ექსიმბანკი“) შენობაშიც კი არ უშვებდნენ, ზოგიერთი ორგანიზაციის მისამართი კი საერთოდ არც იციან. აქედან გამომდინარე, მათ მხოლოდ ზოგიერთი ექსპონატის შესახებ გააჩნიათ მეტ-ნაკლებად სარწმუნო ინფორმაცია. მაგალითად, წარმოდგენილი ინფორმაციით, ხელოვნების მუშაკთა სახლისთვის გადაცემულად ნაჩვენებია 43 ნამუშევარი. 1999 წლის 1 აპრილისა და 1 ოქტომბრის აქტებით ხელოვნების მუშაკთა სახლს გადაეცა 49 ნამუშევარი, საიდაანც ორი დაუბრუნდა მუზეუმს. გადაცემის აქტში მითითებულია გ. თოთიბაძის 7 ნამუშევრიდან, ფონდების მცველის განმარტებით, შემდგომში ორი ნახატი სამხატვრო აკადემიაშია გადაცემული, ერთი („ენუქიძის პორტრეტი“) საერთოდ არ ეკუთვნოდა გალერეას, სამი კი ადგილზე უნდა იყოს. მისივე განმარტებით, ხელოვნების მუშაკთა სახლში ამჟამად გ. თოთიბაძის მხოლოდ ერთი („კახელი მევენახეები“) სურათია, დანარჩენების ადგილსამყოფელი კი არ იცის, თუმცა ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით სამხატვრო აკადემიაში არ გადაუმოწმებია.

1998 წლის 5 სექტემბრის უნომრო აქტით 10 ფერწერული ნამუშევარი ჩაბარდა ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მარკეტინგის, რეკლამირების, ინფორმაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსს ნიკო კვარაცხელიას. დღემდე ამ ნამუშევრების ადგილსამყოფელი უცნობია.

1995 წლის 28 ივლისის უნომრო აქტით 18 ფერწერული ტილო ჩაბარდა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს უფროსს გ. მერაბიშვილს. აქედან, ერთი ადრევე დაუბრუნდა მუზეუმს. აუდიტის მიმდინარეობისას, კერძოდ, 2012 წლის 22 ივნისს კიდევ 14 ექსპონატი იქნა დაბრუნებული, დანარჩენი სამი კი ვერ მოიძებნა. ექსპონატების დაბრუნების აქტში დაფიქსირებულია, რომ პროკურატურა ადასტურებს მათ მიერ ზემოხსენებული ექსპონატების მიღების ფაქტს და დარჩენილი ნამუშევრები დაუბრუნდება მუზეუმს მოძიებისთანავე, თუმცა 2012 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით, ჯერ კიდევ არ იყო დაბრუნებული. ასევე სხვადასხვა სახის ნამუშევრებია გადაცემული საქართველოს საელჩოებზე, სამინისტროებზე და ა.შ.

აუდიტის მიმდინარეობისას საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიგზავნა წერილი, თხოვნით მოეწოდებინათ ინფორმაცია მათ დაქვემდებარებაში არსებულ ორგანიზაცია-დაწესებულებებში დაცული იმ სამუზეუმო ექსპონატების შესახებ, რომლებიც მიღებული აქვთ დროებით სარგებლობაში. შედეგად დადგინდა, რომ ეს ორგანიზაცია-დაწესებულებები იმ სამუზეუმო ექსპონატებიდან, რომლებიც ეროვნულ მუზეუმს მათთვის გადაცემულად აქვთ დაფიქსირებული 69 ექსპონატის მათთან არსებობას არ ადასტურებენ. აღნიშნული საკითხი შემდგომ მოკვლევას საჭიროებს.

როგორც აღინიშნა, 1991 წელს ეროვნულ გალერეაში ხანძარმა ექსპონატებთან ერთად გაანადგურა დოკუმენტაციაც. შესაბამისად ინფორმაცია, ხანძრამდე სხვადასხვა ორგანიზაციებზე დროებით გადაცემული ექსპონატების შესახებ, გალერეის თანამშრომლებს არ გააჩნიათ. აუდიტის მიმდინარეობისას გამოვლინდა გალერეიდან სამინისტროში დროებით გადაცემული და საინვენტარო წიგნში დაურეგისტრირებელი ექსპონატი, კერძოდ, კუპრეიშვილის ნახატი „გვიმრა“, რომელსაც აუდიტის ჯგუფის მითითების შემდეგ მიენიჭა შესაბამისი ნომერი და გატარდა საინვენტარო წიგნში.

1979 წელს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმიდან ი. აივაზოვსკის ნამუშევარი „ბაირონის ჩასვლა წმიდა ლაზარეს კუნძულზე“ გაიგზავნა გამოფენაზე ერევანში, საიდანაც გამოგზავნილ იქნა ი. აივაზოვსკის სურათი „პეიზაჟი“ და წერილი თხოვნით, მუზეუმებს გაეცვალათ ეს სურათები. ხელოვნების მუზეუმის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა ამ გაცვლაზე, თუმცა სომხეთის მხარეს სამი წლის ვადით გაუგრძელა ნამუშევრის დაბრუნების ვადა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგაც სომხეთიდან სურათი არ დაბრუნებულა, ხოლო ქართულ მხარეს ადეკვატური რეაგირება არ განუხორციელებია ამ ნამუშევრის უკან დასაბრუნებლად. სომხეთის მიერ გამოგზავნილი სურათი ინახება ხელოვნების მუზეუმის ფერწერის ფონდში, მაგრამ არ არის რეგისტრირებული საინვენტარო დავთარში.

1982 წლის 23 დეკემბერს სამხატვრო აკადემიის პედაგოგმა მ. ბაქრაძემ, დროებითი სარგებლობისთვის ერთი თვის ვადით წაიღო მის მიერვე შესრულებული 7 ნამუშევარი. სურათები ავტორმა არ დააბრუნა. მიზეზები უცნობია.

1981 წლის 20 ოქტომბერს, მხატვარმა მ. ბობოხიძემ ასევე დროებითი სარგებლობისთვის, ერთი თვის ვადით წაიღო მის მიერვე შესრულებული ორი ნამუშევარი და აღარ დააბრუნა ისინი. მან უარი განაცხადა ამ ნამუშევრების დაბრუნებაზე, თუმცა ქმედითი ზომები აღნიშნული ნამუშევრების დასაბრუნებლად არ გატარებულა.

უმეტეს შემთხვევაში ექსპონატების დროებით გადაცემის აქტებში მითითებული იყო ვადებით, მაგრამ თითქმის არასოდეს ხდებოდა ამ ვადების დაცვა, რის გამოც ზოგიერთი ექსპონატი განადგურდა, ზოგი კი შეიძლება უკვე დაკარგულად ჩაითვალოს. მაგალითად, 80-იან წლებში ხელოვნების მუზეუმიდან ეროვნული გალერეისთვის გამოფენების მოსაწყობად დროებით გადაცემული ნამუშევრებიდან 5 ერთეული (მ. ხვიტიას „შემოდგომა“, ო. სულავას „ქალიშვილის პორტრეტი“, ნ. იანქოშვილის „უფლისციხე“ და ა.შ.) დროულად არ დაბრუნდა მუზეუმში და გალერეის მიერ გაცემული ცნობების თანახმად, დაიწვა 1991-1992 წლების ცნობილი მოვლენების დროს.

1987 წლის 23 ივლისს ხელოვნების მუზეუმიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში დროებით გამოსაფენად წლის ბოლომდე ვადით, გადაეცა გ. გაბაშვილის სურათი „ხევსურები დღეობაში“, რომელიც მუზეუმში არ

**გაგრძელება მე-11 გვერდზე**

# „დილას“ ნათელი საღამო

**„ჰაიდუკი“ (ხორვატია) – „დილა“ (საქართველო) 0:1**

**სპლიტი. პოლიუდ არენა**

0:1 ილურიძე (24)

**ჰაიდუკი:** კალინიჩი, მიკანოვიჩი, მილოვიჩი, ვრშაიევიჩი, იოზინოვიჩი, მალოჩა, პაშალიჩი (ბენცუნი 87), ანდრიაშევიჩი (კიში 46), ჩაკტაში, სუშიჩი (მუიანი 87), მაგლიცა.

**დილა:** რევიშვილი, თემურ ღონღაძე, თომაშვილი, ხიზანეიშვილი, გიორგი გურული, მამუკა კობახიძე, დავით ბოლქვაძე (აბურჯანია 88), გვალია, ალადაშვილი (გორელიშვილი 62), დოლიძე (მოდებაძე 66), ილურიძე

**გაძევება:** იოზინოვიჩი (65), ხიზანეიშვილი (72)

ამ წყვილის დასახელების შემდეგ გორელებს ფავორიტებად არავინ მიიჩნევდა, თუმცა არც „ჰაიდუკი“ იყო უპირობო ლიდერი. აკი აღნიშნა კიდეც მატჩის წინა პრესკონფერენციაზე, ხორვატთა ახალგაზრდა მთავარმა მწვრთნელმა იგორ ტუდორმა, რომ მისი გუნდი ფავორიტად არ მიაჩნდა. ტუდორი ერთადერთი არ იყო, ვინც ასე ფიქრობდა — ხორვატ სპეციალისტთა უმეტესობას იგივე აზრი გააჩნდა, რადგან „ჰაიდუკი“ მიმდინარე სეზონიდან გაახალგაზრდავების გზას დაადგა.

გიორგი დევდარიანი კი პირველი მატჩისგან ფრეთიც დაკმაყოფილებას აპირებდა, მაგრამ ამ გამარჯვებამ „დილას“ საგრძნობი უპირატესობა მისცა.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ „პოლიუდ არენას“ საშინელ საფარზე, ის ფეხბურთი, რომელიც გუნდებმა აჩვენეს, ნამდვილად ქების სიტყვებს იმსახურებს. საფეხბურთო მოედანი ალბათ ყველაზე ნაკლებად შეესაბამებოდა იმ მინდორს, რაც „ჰაიდუკის“ ცნობილ სტადიონს „ამშვენებდა“.

ამ გამარჯვების მთავარი შემოქმედი სწორედ დევდარიანი გახლდათ. „დილას“ მეტოქესთან სათამაშო უპირატესობა არ ჰქონია, მაგრამ ეტყობოდა მწვრთნელის ხელი, სათამაშო დისციპლინა, დაზღვევები, შეტევიდან დაცვაში სწრაფად ჩამოსვლა და პირიქით. ფეხბურთელებმა კი ყველაფერი გაიღეს მწვრთნელის დავალებების შესასრულებლად. იყო იღბალიც, თუმცა ის თავგანწირვა, რაც ფეხბურთელებმა დადეს, ამ იღბლის საპირქონედ უნდა ჩავთვალოთ.



რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, საწყისი წუთები გუნდებმა პასიურად, უფრო ურთიერთდაზვერვით დაიწყეს და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მეოცე წუთამდე არც ერთი გუნდის საჯარიმოში საინტერესო არაფერი მომხდარა.

მე-20 წუთზე ჩაწოდების შემდეგ ანდრიაშევიჩი ცდილობდა თავით კარისკენ ბურთის გადაგზავნას, თუმცა არაზუსტად. ერთ წუთში, ისევ მას მიეცა კარგი შანსი, როდესაც საჯარიმოში გამჭოლი გადაცემის კარში გადაგზავნას აპირებდა, თუმცა ხიზანეიშვილმა მას ამის საშუალება არ მისცა.

24-ე წუთზე კი გორელებმა თაანთი პირველივე შანსი გოლად აქციეს — ალადაშვილმა ღონღაძე ჩართო ფლანგიდან, ამ უკანასკნელმა მინდვრის საფარის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მოახერხა საჯარიმოში პასის გაკეთება, აქ კი მცველებს ილურიძემ აჯობა და ვარდნაში ბურთი კალინიჩის კარში გადაგზავნა — 0:1.

გოლმა ხორვატები დააბნია. „დილას“ მორიგი ფლანგური შეტევა ღონღაძის ჩაწოდებით დასრულდა, თუმცა დოლიძე ბურთს ვერ შესწვდა.

უქმად არც „ჰაიდუკის“ ფეხბურთელები ყოფილან, მაგრამ სუშიჩისა და ვრშაჯევიჩის დარტყმები უზუსტო აღმოჩნდა, გაცილებით სახიფათო ამ უკანასკნელის მახვილი კუთხიდან დარტყმული აღმოჩნდა.

გოლის გატანის რეალური შანსი ალადაშვილს ჰქონდა. ილურიძემ მეტოქის ნახევარზე სამ მცველს მოუგო ორთაბრძოლა და „დილას“ 7 ნომერი ლამაზი გადაცემით ფაქტიურად პირისპირ დატოვა მეკარესთან, თუმცა ალადაშვილმა კარში დარტყმას პასის გაკეთება ამჯობინა რისი საშუალებაც მცველმა არ მისცა და მომენტიც განიმუხტა.

ტაიმის დასასრულს „ჰაიდუკის“ ფეხბურთელებმა მცირე უპირატესობა იგდეს ხელთ. 43-ე წუთზე ოთარ ხიზანეიშვილმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა და თავისი გუნდი გაშვებულ გოლს გადაარჩინა. რევიშვილის კარი ტაიმის დამატებული წუთების ბოლო წამებზეც გადარჩა, როდესაც ცაკტაშის დარტყმა ხარიხამ აისხლიტა.

მატჩის მეორე ნახევარი კი მასპინძლების სრული უპირატესობით წარიმართა, თუმცა ხან „ჰაიდუკის“ შემეტევბი სცოდავდნენ, ხანაც „დილას“ დაცვა და მეკარე იყო საიმედო. განსაკუთრებით კი ნუკრი რევიშვილი უნდა გამოვყოთ, რომელმაც რიგ ეპიზოდებში მართლაც რომ იხსნა „დილა“ აშკარა გოლისგან. პირველად ეს 61-ე წუთზე მოხდა, როდესაც ეროვნული ნაკრების კიპერმა პაშალიჩის შორეული დარტყმული მოიგერია.

ამის შემდეგ უხეშად მოთამაშე მასპინძლები კაცნაკლული დარჩნენ. გორელიშვილის წინააღმდეგ მოედნის ცენტრში უხეშობისთვის, მეორე ყვითელი ბარათი მიიღო იოზინოვიჩმა და მოედანი ნაადრევად დატოვა. ამან თითქოს გორელთა ამოცანა უფრო გაამარტივა, თუმცა რაოდენობრივი სტატუსკვო 7 წუთში აღდგა — „დილას“ ყველაზე გამოცდილმა ფეხბურთელმა, ოთარ ხიზანეიშვილმა სრულიად უწყინარ სიტუაციაში მეორედ გააფრთხილებინა მსაჯს თავი და ისიც გასახდელის გზას დაადგა.

ამ მომენტის შემდეგ, ტუდორის გუნდი აქტიურად წავიდა შეტევებში, თუმცა უშედეგოდ. სამწუხაროდ, „დილას“ მხოლოდ თავის დაცვა უწევდა, კონტრშეტევები კი სახიფათო არ გამოდიოდა.

85-ე წუთზე რევიშვილმა თავისი სათამაშო კლასი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როდესაც ახლო მანძილიდან კიშის თავურ დარტყმაზე სასწაულებრივი რეაქცია გამოავლინა.

მიუხედავად ხორვატთა მცდელობისა, ანგარიში არ შეცვლილა. დილას ფეხბურთელები კი ნამდვილად ქების სიტყვებს იმსახურებენ. არც თუ იოლ მეტოქესთან, რომელიც წყვილის ფავორიტად მოიაზრებოდა, სტუმრად მოპოვებული გამარჯვება ნამდვილად სერიოზული განაცხადია, რაც დევდარიანის გუნდის მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსებს საკმაოდ რეალურს ხდის.

**მატჩის შემდეგ:**

**იგორ ტუდორი, ჰაიდუკის მთავარი მწვრთნელი:**

— ქართველები პირველი მატჩის მოგებას არ იმსახურებდნენ. ჩემს ბიჭებს, რომლებიც ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან, ვუთხარი, რომ წინ ბევრი ასეთი თამაში ელით, როდესაც უპირატესობა ექნებათ, მაგრამ წააგებენ. ეს ფეხბურთია და სწორედ იმიტომ გვიყვარს, რომ არაპროგნოზირებადია. გორის „დილა“ ორგანიზებული გუნდია, რომელსაც კვალიფიციური მოთამაშეები ჰყავს. თუმცა, ამ გუნდის თამაში როგორ დავახასიათო, არ ვიცი. მე ასეთი თამაში არ მიყვარს, რადგან მის გამო ხალხი სტადიონიდან მიდის. თუმცა, მან ამ შემთხვევაში მეტოქეს წარმატება მოუტანა. შეუძლებელია, რომ სამი მატჩის განმავლობაში გოლი არ გაუშვა და ასე ითამაშო. ძალიან უჩვეულოა. ვერ გეტყვით ეს იღბალია, კარმაა თუ კიდევ სხვა რამ. დიდი იმედი მაქვს, რომ „დილა“ გოლს საპასუხო მატჩში მიიღებს. ჩვენ კარში 19-ჯერ დავარტყით და ბურთის ფლობის 67 პროცენტი გვქონდა. ამ დროს „დილამ“ ჩვენი კარის მიმართულებით მხოლოდ ორჯერ დაარტყა. მეტოქეს ერთი შანსი ჰქონდა და გოლი გაიტანა, ხოლო ჩვენ 5 შანსი გვქონდა და ვერ გავიტანეთ.

**გიორგი დევდარიანი:**

— წარმატება მინდა ვუსურვო ჩვენს მოწინააღმდეგეს. საკმაოდ ახალგაზრდული გუნდია, რომლებსაც კარგი მომავალი აქვთ. ჩვენს შორის ჯერ ყველაფერი არ გარკვეულა და თბილისში ველით ძალიან რთულ თამაშს. ჩვენ ვიცოდით, რომ ასეთი გულშემატკივრის წინაშე „ჰაიდუკი“ შეგვიტევდა და ყოველი წუთი ჩვენთვის იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. მე ვუთხარი ჩემს ფეხბურთელებს, რომ ჯერ მხოლოდ ნახევარი ნაბიჯი გადავდგით წინ და ყველაფერი საპასუხო მატჩში გაირკვევა, სადაც ჩვენი მოწინააღმდეგე კვლავ აგრესიულ ფეხბურთს ითამაშებს და ამიტომ დიდი ყურადღება გვმართებს.

შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების განმეორებითი დაპირისპირება 8 აგვისტოს „მიხეილ მესხზე“ გაიმართება.

# 7 საუკეთესო ფორვარდი იუვენტუსის ისტორიაში

ტურინის „იუვენტუსი“ ზედიზედ მეორე წელია იტალიის ჩემპიონი ხდება. სწორედ ამიტომ არის, რომ ეს გუნდი ახლა იტალიაში ყველაზე დიდ ყურადღებას იქცევს და იქაურმა ექსპერტებმა გამოაქვეყნეს კლუბის ისტორიაში 7 საუკეთესო ფორვარდი, რომელსაც აქვე შემოგთავაზებთ.

**7. რობერტო ბეტეგა, 490 მატჩი, 179 გოლი**

**ციტატა:** „იუვენტუსი“ იყო ერთ-ერთი მიზეზი ჩემი ცხოვრებისა. მიყვარს ეს კლუბი, ეს გუნდი და ეს ფერები.

„ბიანკონერის“ მესამე ბომბარდირი რობერტო ბეტეგა ტურინში დაიბადა და ადრეული ასაკიდან მჭიდროდ იყო დაკავშირებული „იუვენტუსთან“. ერკოლე რაბიტის თავიდან სურდა, ბეტეგა ნახევარმცველის პოზიციაზე ეთამაშებინა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ფეხბურთელი შეტევაში უფრო სასარგებლო იქნებოდა. რობერტო სერია ბ-ში მოასპარეზე „ვარეზეში“ არენდით გადავიდა, სადაც მთავარი მწვრთნელი ნილს ლიდჰოლმი იყო. შვედის ხელმძღვანელობით ბეტეგამ შესანიშნავი შედეგი აჩვენა 13 გოლი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მოთამაშემ მწვრთნელისგან შემდეგი შეფასება დაიმსახურა:

— მას აქვს ძალა და ტექნიკა. ის კარგად თამაშობს თავით და ორივე ფეხს ერთნაირად იყენებს. მას მხოლოდ გამოცდილება აკლია.

ძალიან მალე ბეტეგა „იუვეს“ ძირითადი თავდამსხმელი გახდა. ის თავის გემოზე მოეწყო გუნდში და ბევრი მნიშვნელოვანი საქმეც ჰქონდა. მის ცხოვრებაში უსიამოვნო პერიოდებიც იყო. 1971-72 წლებში ფილტვში საშიში ინფექცია შეეყარა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელი ფილტვი დაკარგა და დიაგნოზიც ცუდი დაუსვეს, არასდროს დაუკარგავს გოლიადორობის უნარი. ბეტეგა „ბებერ ქალბატონს“ სკუდეტოს 7-ჯერ მოგებაში დაეხმარა.

**6. დავიდ ტრეზეგე, 320 მატჩი, 171 გოლი**

**ციტატა:** 10 წელი „იუვენტუსში“ — ეს არის სიყვარულის დიდი ისტორია. მე, დავიდ ტრეზეგე, ყოველთვის დავრჩები „იუვეს“ ფანატად.

ფრანგი ტრეზეგე — საუკეთესო უცხოელი ბომბარდირი „ბებერი ქალბატონის“ ისტორიაში. 1999 წელს ტურინული კლუბის ხელმძღვანელებმა იმ დროისთვის საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა ფრანგ ფეხბურთელ ტიერი ანრიში, მაგრამ მათი თანამშრომლობა წარუმატებელი აღმოჩნდა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ერთი წლის შემდეგ იტალიურ კლუბს კვლავ მიეკითხა საფრანგეთისთვის, ამჯერად მეორე დიდებული ფეხბურთელის დავიდ ტრეზეგეს გადასაბირებლად. ტრანსფერი შედგა.



და ამ თავდამსხმელმა მალევე შეძლო დაემტკიცებინა, რომ შეუცვლელია. მას ბევრი გოლი გაჰქონდა. მას იდეალური პლასტიკა ჰქონდა, გასაოცარი, ფენომენალური დარტყმის ნიჭი. შესანიშნავად თამაშობდა თავით. მის ანგარიშზე დაახლოებით 200-მდე საგოლე პასია.

თავისი ცივსისხლიანობის გამო ზედმეტსახელიც კი შეარქვეს — კობრა. მისი სახით „იუვემ“ არა მარტო უმაღლესი რანგის თავდამსხმელი შეიძინა, არამედ ადამიანიც. ტრეზეგე ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომელმაც სერია ბ-ში დაქვეითების დროს არ მიუტოვებია გუნდი.

**5. რობერტო ბაჯო, 200 მატჩი, 115 გოლი**



**ციტატა:** შესაძლოა, გულშემატკივარმა ბევრი კუმირი გაიხადოს და შეიყვაროს, რომლებიც ჩემზე უფრო კარგები არიან, მაგრამ მეორე ბაჯო არ იქნება, ისევე, როგორც არასდროს გამეორდებიან მარადონა და ვან ბასტენი.

როდესაც ბაჯო „ფიორენტინადან“ „იუვეში“ ოფიციალურად გადავიდა, სრულიად ფლორენცია შოკში ჩავარდა. „იების“ გულშემატკივრები გონს ვერ მოდიოდნენ, რადგან მათი საყვარელი ფეხბურთელი მტრის ბანაკში გადავიდა და მათთვის უნდა მოეტანა წარმატება. ბაჯო ყოველთვის სინანულით აღნიშნავდა, რომ „ფიორენტინაში“ საბოლოოდ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და ის „იუვეს“ ღირსებასაც იცავდა. „ბებერ ქალბატონში“ მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ადგილობრივი პუბლიკის სიყვარული დაემსახურებინა. მესამე სეზონი „იუვეში“ ბაჯომ უკვე კაპიტნის სამკლაურით დაიწყო.

„ბიანკონერისთან“ ერთად ბაჯომ სკუდეტო, იტალიის თასი და უეფას თასი მოიგო, ასევე 1993 წელს ფიფას ვერსიით საუკეთესო ფეხბურთელი გახდა და „ოქროს ბურთი“ მოიპოვა. რობერტომ ძალიან ბევრი გააკეთა გუნდისთვის. გარდა იმისა, რომ მას ხშირად გაჰქონდა გოლები პარტნიორებსაც ეხმარებოდა მათაც გაეტანათ. რობერტო ბაჯო — იტალიის ეროვნული საგანძური.

**4. ჯონ ჩარლზი, 186 მატჩი, 109 გოლი**

**ციტატა:** ჩემს პირველ დერბიში მოედნის ცენტრში მივიღე ბურთი და მეტოქის კარისკენ წავედი, როგორ მოხდა არ ვიცი, მაგრამ მოწინააღმდეგე ფეხბურთელს ცხვირში ჩემი იდაყვი მოხვდა და ნოკაუტში ჩავარდა. მიუხედავად იმისა, რომ მეკარესთან ერთი-ერთზე დავრჩი ბურთი აუტზე გადავაგდე და ბიჭთან დასახმარებლად მივვარდი.

ჩარლზი ამ ფაქტის შემდეგ „იუვეს“ გულშემატკივარმა საუკეთესო უცხოელ მოთამაშედ აღიარეს კლუბის ისტორიაში. „კეთილ გიგანტი“ არ იყო უხეში და არასდროს მიუღია გაფრთხილება (მით უმეტეს არასდროს გაუძევებიათ მოედნიდან). არასდროს მიუტოვებია „იუვე“ რთულ დროსაც კი. მას გაჰქონდა გოლები სუფთად და იქცეოდა ისე, როგორც ჭეშმარიტი ადამიანი. ჩარლზი იმ „მაგიური ტრიოს“ ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო, რომელშიც სივორი და ბონიპერტი შედიოდნენ.

ჩარლზი იყო ხასიათის ათლეტი და საფეხბურთო ბომბარდირი — ჯონის ნებისმიერი კარისკენ დარტყმული ბურთი აუცილებლად გოლად იქცეოდა. „იუვესთან“ ერთად უელსელმა სამი სკუდეტო, ორი ქვეყნის თასი და ასევე იტალიის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიგო 1958 წელს.

**3. ომარ სივორი, 259 მატჩი, 174 გოლი**

**ციტატა:** ჩვენ ყოველთვის უნდა ვიბრძოლოთ, მაგრამ, როდესაც დავინახავთ, რომ არაფერი გამოგვდის, მაშინაც უნდა გვჯეროდეს საკუთარი თავის — ასე ყველაფრის მიღწევა შეგვიძლია. „იუვე“ არასდროს არაფერს დათმობს.

ის „მაგიური ტრიოს“ ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო. ის გამაშებისა და სხვა დამცავი საშუალებების გარეშე თამაშობდა, რასაც იმით ხსნიდა, რომ მეტოქის დარტყმების არ ეშინოდა. მცველები სივორის ფინტებს ხშირად ეგებოდნენ და იბნეოდნენ. ფეხბურთელს კი შესანიშნავი გოლები გაჰქონდა.

დღეს, როდესაც ბევრი სუპერვარსკვლავია, სივორი ყოველთვის მოიხსენიება მათ შორის, ის „60-იანების მარადონაა“. ის საფეხბურთო მოედანზე ანგელოზივით სულაც არ იქცეოდა. ხშირად ხვდებოდა არბიტრების გაფრთხილების საგანი. მან ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგაც არ დათმო თავისი ჯიუტი ხასიათი და ხშირად ეხვეოდა სკანდალებში, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმაში, რომ „იუვეს“ ლეგენდა გამხდარიყო. მიუხედავად მისი ზოგჯერ „არამზადული“ საქციელებისა, ყველამ კარგად იცის, რომ საფეხბურთო გენია, ხშირად იყო გაბრაზებული, მაგრამ ეს სრულიად ნორმალურია.

**2. ჯანპიერო ბონიპერტი, 465მატჩი, 182 გოლი**

**ციტატა:** „იუვენტუსი“ — ეს რწმენაა, რომელიც ჩემშია. როდესაც ვუყურებ სხვა ფერის მაისურებიან ფეხბურთელს სინანული მეუფლება, რადგან მათ საუკუნო ტაჯვა აირჩიეს.

„იუვეს“ ცოცხალი ლეგენდა, რომელსაც არასდროს მიუტოვებია კლუბი. მთელი მისი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში „ბებერი ქალბატონის“ ღირსებას იცავდა. ბონიპერტიმ „იუვეში“ დაიწყო საფეხბურთო მოღვაწეობა და მასთან ერთად 5-ჯერ მოიგო სკუდეტო, 2-ჯერ იტალიის თასი, მილიონი გულშემატკივრის სათაყვანებელი ფეხბურთელი გახდა, შემდეგ კი კლუბის ადმინისტრაციაში ძალიან მაღალი თანამდებობაც დაიკავა.

182 გოლით ბონიპერტიმ საკმაოდ დიდი ხნით შეინარჩუნა კლუბის ერთპიროვნული რეკორდსმენის სახელი. ბედის ირონიით თავად შეუწყო ხელი სხვა ჩანაცვლებოდა რეკორდსმენობაში. ბონიპარტიმ კლუბში მიიყვანა ის ადამიანი რომელმაც „ბებერი ქალბატონის“ ისტორია შეცვალა.

**1. ალესანდრო დელ პიერო, 705 მატჩი, 289 გოლი**



**ციტატა:** ვამაყობ, რომ მე „იუვენტინო“, „ბანდერა“ ვარ, როგორც თქვენ ამბობთ. საერთოდ კი მე მხოლოდ მცირე ნაწილი ვარ დიდი „შავ თეთრი ბანდერის“ ისტორიაში.

ალესანდრო დელ პიერო „იუვეს“ ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა. დღეს ფეხბურთის მოყვარულებს შეუძლიათ იამაყონ, რომ მის თამაშს თვალყურს ადევნებდნენ. ალესანდრომ ყველაზე მეტი მატჩი ჩაატარა „ბებერი ქალბატონის“ ისტორიაში და ყველაზე მეტი გოლიც გაიტანა. ის კლუბის ღირსეული კაპიტანი და შეტევის ლიდერი იყო.

ის შეუდარებელი ფეხბურთელი იყო. ჰქონდა დიდებული ტექნიკა, ბურთის დამუშავების უნარი. თავდაჯერებულობა და ამ თავდაჯერებულობით გავლენას ახდენდა მოწინააღმდეგეზე. შესანიშნავად ასრულებდა სტანდარტულებსა და პენალტებს. ჰქონდა გოლის ალღო და ყველა ის თვისება, რაც ჭეშმარიტ ლიდერს ახასიათებს. დელ პიერო „იუვეს“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია.

სამწუხაროა, რომ ალექსმა „იუვენტუსი“ დატოვა — მის ანგარიშზე კი საკმაოდ ბევრი გოლია, მან ბოლომდე შეძლო თავისი შესაძლებლობების დამტკიცება, მაგრამ ბედის ირონიით ის სხვა კლუბში აღმოჩნდა.

2006 წელს, როდესაც „იუვე“ სერია ბ-ში დაქვეითდა, ალექსმა შემდეგი განაცხადა:

— ნამდვილი კავალერი არასდროს ტოვებს საკუთარ ქალბატონს.

ასე რომ, ისინი აუცილებლად შეხვდებიან ერთმანეთს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# როგორ ცხოვრობენ დევნილი ახალგაზრდები უცხოეთში

გულიკო ბალაძე

როგორ ახერხებენ დევნილი ახალგაზრდები, რომლებიც დევნილობაში უცხოეთში აღმოჩნდნენ, საკუთარი თავის რეალიზაციას? ისინი განათლებასაც უცხოეთში იღებენ, მაგალითად, რუსეთში. როგორი ახალგაზრდები გვიბრუნდებიან უცხოეთიდან? პოულობენ თუ არა ისინი სამუშაოს საქართველოში? რა პრობლემები და რა წარმატებები აქვთ ჩვენს ქვეყანაში მათ? ბოლო წლების განმავლობაში არაერთმა ახალგაზრდამ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი უცხოეთში, მათ შორის, რუსეთში, თუმცა, საქართველოში მათთვის სამუშაოს შოვნა შეუძლებელია. ლევან პაპასკუა დევნილია და რუსეთში ბედის უკუღმართობის გამო აღმოჩნდა. აფხაზეთის ომმა ის განდევნა საქართველოდან, თუმცა ჩვენს ქვეყანას დაუბრუნდა განსწავლული. ცოტა ხნის წინ ლევან პაპასკუა აკადემია „ქალდეას" წევრად აირჩიეს. აკადემია „ქალდეას" პრეზიდენტი პოეტი ვაჟა ეგრისელი ამბობს, რომ ეს ახალგაზრდა კაცი არის მოვლენა.

– ქალდეველები ვართ ჩვენ, პირველი ქართველები. დიდი მწერალი გრიგოლ რობაქიძე წერდა, ჩვენ ვართ კარდუს შთამომავლები. კარდუ, ქორთუ, კირთუ – ეს ყველაფერი ყოფილა ქალდე. ქალდეველები ცხოვრობდნენ შუამდინარეთში, ტივრისა და ევფრატის აუზში. თვითონ ბაბილონის გოდოლიც თურმე ქალდეველების აშენებულია და ქალდეველების პროვინცია მერე გადაიჭიმა მთელ აღდგომის კუნძულებამდე. აკადემია „ქალდეა" 5 წელია არსებობს და სულ 45 წევრი ჰყავს, განსხვავებით სხვა აკადემიებისაგან. 50 და 60 წელზე ნაკლები არავინ გვყავს, მაგრამ ცოტა ხნის წინ გამონაკლისი დავუშვით და წევრად ახალგაზრდა პოეტი და იურისტი, 26 წლის ლევან პაპასკუა ავირჩიეთ. ეს ახალგაზრდა კაცი არის მოვლენა. ლევანი დევნილია აფხაზეთიდან, 5 წლის იყო, რუსეთში რომ წავიდა. იქ დაამთავრა უნივერსიტეტი წარჩინებით. ისეთი დიპლომი მიიღო (იუნესკოს მიერ რომ არის გაცემული), რომელიც, მგონი, საქართველოში არავის აქვს. ერთადერთი ქართველი კაცი იყო, რომელმაც წითელი დიპლომი მიიღო. მან გამოსცა ლექსების კრებული „პლანეტარული სისტემა" ორ ენაზე. ამ წიგნშია მოქცეული მთელი სამყარო – ზესკნელი, ქვესკნელი, შუასკნელი, გარესკნელი. ეს წიგნი სავსეა მეტაფორებითა და ეპითეტებით. ჩვენი აკადემია შემთხვევით არავის იღებს, არც წევრად და არც აკადემიკოსად, თურამე განსაკუთრებული არ არის. „პლანეტარული სისტემა" ყველამ მოვლენად ჩათვალა. ეს შემთხვევითი არ არის. ის გახლავთ შვილიშვილი მწერლის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ვანო მეგრელის, რომელიც 20-მდე წიგნის ავტორია, მათ შორის, „აფხაზეთი საქართველოა" და „რელიგიის ფილოსოფია". რელიგიაზე წიგნის დაწერა რომ გაბედო, ჭკვიანი კაცი უნდა იყო. ასეთი კაცია ვანო მეგრელი და ამიტომაა მისი შვილიშვილი ასეთი კარგი პიროვნება, – ამბობს ვაჟა ეგრისელი ლევან პაპასკუას შესახებ.

ჩვენ ლევან პაპასკუას შევხვდით. ის საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა.

– ლტოლვილი ვარ. ბავშვობა რუსეთში გავატარე. აქ ჩამოვედი უკვე სხვა მენტალიტეტით, მაგრამ, როცა ვნახე, რანაირი ხალხი ცხოვრობს საქართველოში, ჩემში გაიღვიძა იმან, რასაც რუსეთში ეძინა. ამიტომაც ჩემში ორივე მენტალიტეტი არის. იმის შემდეგ ჩემ თავში დავიწყე ისეთი მომენტების პოვნა, რაც მომწონს და რაც არა ორივე ქვეყანაში, ორივე კულტურაში, – გვეუბნება ლევან პაპასკუა.

***– ბატონო ლევან, როგორი მენტალიტეტი აქვთ რუსებს და რა მთავარი განსხვავება დაინახეთ ამ ორ – ქართულ და რუსულ მენტალიტეტებს შორის?***

– არის ერთი ყველაზე განმასხვავებელი მომენტი – რუსებში უფრო განვითარებულია შიშველი ენთუზიაზმი, ჩვენთან კი ხალხი უფრო პრაგმატულია ანუ იმისათვის, რომ რაღაც საქმე დაიწყონ, სჭირდებათ რაღაც გარანტიები, რაღაც გეგმა, თითქმის სრულყოფილი, მაგრამ რუსეთში ამ მხრივ ცოტა სხვანაირადაა საქმე.

***–რუსების შიშველი ენთუზიაზმი ამართლებს?***

– სხვათა შორის, ამართლებს და გეტყვით, რატომ – ექსპერიმენტი მაქვს ჩატარებული. რუსეთში იყო ერთი ჯგუფი ახალგაზრდების და ჩვენ დავიწყეთ იაპონური მულტიპლიკაციის თარგმნა და გახმოვანება. ერთი წლის განმავლობაში მე, როგორც ტექნიკოსი, ვმუშაობდი ამაზე და ეს საქმე შევისწავლე. სხვათა შორის, ამის შემდეგ გავიგე, რამდენად დაბალია ჩვენთან, ჩვენს კინოთეატრებში გახმოვანების დონე. იმის შემდეგ თვითონ დავიწყე ფილმების გახმოვანება. რამდენიმე სერიალი არის გამოსული, სადაც როლი მქონდა. რუსეთში ეს საქმე კარგად წავიდა. აქაც მყავს უამრავი ნაცნობი ნიჭიერი ახალგაზრდა. არაფერს აკეთებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მეტი გარანტიები უნდათ. მე მეგონა, რომ არ აქვთ რაღაც გეგმა და აზრი რაიმე საქმის დასაწყებად. მათ ვუთხარი, ტექნიკურ მხარეს მე გავაკეთებ, თქვენ მხოლოდ გაახმოვანეთ და ყველაფერი გამომიგზავნეთ. სახლში იყავით, არსად გასვლა საჭირო არ არის. ჯერ ვცადოთ და გავაკეთოთ ერთი სერია. სამი კვირა ველოდი, სანამ ამას გააკეთებდნენ. ერთს დრო არ ჰქონდა, მეორეს რაღაც პრობლემა შეექმნა და ა.შ. რუსეთში როცა მიდის ჩვენი ადამიანი და რაღაცის იმედი აქვს, თითქმის ყველაფრის გაკეთება შეუძლია.

***–იქნებ დიდი ქვეყანაა, შესაძლებლობებიც მეტია და იმიტომაა მეტის გაკეთება შესაძლებელი?***

– არც ისე. რომ შევადარე საქართველო და რუსეთი, ყველაფერი ძალიან ჰგავს ერთმანეთს კულტურასთან დაკავშირებით. რჯულიც ერთი გვაქვს. განსხვავება ცოტა სხვა რაღაცაშია. თუ მათ მოეწონებათ რომელიმე იდეა, შეუძლიათ, ფულის გარეშე დაიწყონ ამ საქმის გაკეთება და თავიანთი ბოლო ფულიც ჩადონ. ჩვენთან ასეთი რაღაც არ არის, რადგან არ იციან, რომ მთავარია სახელის მოპოვება. ეს არის ყველაზე მთავარი ამერიკაშიც, ევროპაშიც და რუსეთშიც. თუ გექნება ნორმალური სახელი, საქმე კარგად წავა. უნდა გაყიდო არა პროდუქცია, არამედ შენი სახელი, „ბრენდი". ჩვენთან ეს არ არის განვითარებული. როცა მე ვაბარებდი უნივერსიტეტში, თითქმის არავის ესმოდა, მენეჯმენტი რა არის სინამდვილეში. ზუსტად ეს არის მენეჯმენტი – სახელის მოპოვება. თუ სახელი გაქვს, ყველას მოუნდება შენთან მუშაობა. საქართველოში ეს არ იციან. აქ მთავარია, ფული გადაიხადო და ეგ არის. ჩვენი ხალხისთვის მთავარია, 5 ლარი დღეს აიღოს, ვიდრე 100 და 200 ათასი ლარი მომავალში. ამიტომაც ასე ვცხოვრობთ, სამწუხაროდ. პოტენციალი არის, მაგრამ ცოდნა, როგორ გამოვიყენოთ ეს პოტენციალი, არ აქვთ. ეს ყველაფერი კიდევ ომის ბრალია. რომელიმე ქვეყანაში ომი რომ დაიწყება, მისთვის 50 წელი დაკარგულია. კიდევ რაც არ მომწონს, ეს არის ჩვენი ტესტირების სისტემა. მაგალითად, მე რატომ არ ვმუშაობ? მე არ ვმუშაობ იმიტომ, რომ ადრე არსად არ ვმუშაობდი და არავინ მიცნობს, როგორც პროფესიონალს. საიდან უნდა გაიგოს ადამიანმა ადამიანზე რაიმე, როცა სამუშაოზე მოწყობა შეუძლებელია? გამოუგონებიათ ტესტები და უნარები. დიდი ბოდიში, 50 საგანი ჩავაბარე, სახელმწიფო გამოცდა ჩავაბარე. როცა უნივერსიტეტში მივდიოდი, უნარებიც ჩავაბარე და ყველაფერი. რისთვის უნდა ჩავაბარო კიდევ ერთხელ? 5 წლის მერე უცოდინარი გავხდი თუ რა?

***–ე.ი. თქვენ არ მოგწონთ, სამუშაოზე მიღების წინ საკვალიფიკაციო გამოცდებს რომ აბარებინებენ.***

– ისევ უნარების ჩაბარება რა საჭიროა. მე დავამთავრე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ინფორმატიკის, სტატისტიკისა და ეკონომიკის ფაკულტეტი, აქ ჩამოვედი და, სამწუხაროდ, მუშაობა ვერ დავიწყე, თუმცა ეს არ არის მხოლოდ ჩემი პრობლემა. ვიცნობ კიდევ რამდენიმე ადამიანს, რომელიც ოცნებობდა საქართველოში დაბრუნებაზე, დაბრუნდნენ და ახლა უსაქმურები სხედან იმიტომ, რომ სამუშაო ადგილი არ არის. ეს სპეციალურადაც კეთდება. აქ სხვადასხვა მომენტია. ამიტომაც ახალგაზრდობას, უბრალოდ, საშუალება არ აქვს, რაიმე აკეთოს, სამუშაო დაიწყოს. საქართველოში 2 წელი ვსწავლობდი. ჩვენს კლასში იყო 7 ბიჭი. ახლა მათგან საქართველოში დარჩენილია ერთი თუ ორი. ყველა დანარჩენი საზღვარგარეთაა წასული. ამიტომაც, ვისაც ტვინი აქვს, სამწუხაროდ, საზღვარგარეთ მიდის, რადგან აქ არანაირი საშუალება არ არის.

***– უცხოეთში რას აკეთებენ?***

– ან თავიანთი საქმე დაიწყეს, ან ჯერ შეისწავლეს რაღაც ხელობა, დაიწყეს საქმე და გახდნენ ბიზნესმენები. ჩვენთან, სამწუხაროდ, საქმის დაწყება ძალიან ძნელია.

***–რამდენადაც ვიცი, თქვენც იპოვეთ გამოსავალი, ლექსებს წერთ, წიგნი გამოეცით...***

– დეპრესიაში ჩავვარდი და ორი



წელი, რაც მქონდა სულსა და გულში, გადავიდა ჯერ ინტერნეტში, შემდეგ კი ბატონი ვაჟასა და მამაჩემის დახმარებით გამოვიდა ეს წიგნი.

***–თქვენ საუბრობთ პრობლემაზე, რომ ახალგაზრდები, რომლებიც სხვადასხვა უნივერსიტეტს ამთავრებენ, საქართველოში სამუშაოს ვერ პოულობენ და თავისი ნიჭისა და პიროვნების რეალიზაციას ვერ ახდენენ.***

–საქართველოში პიროვნების ნიჭის განვითარება საერთოდ არ ხდება.

***– ალბათ, გიფიქრიათ, ნიჭი როგორ უნდა განავითაროს ახალგაზრდამ.***

– მთავარია, ჩვენ გავიგოთ ჩვენი ისტორია. ისტორიაში არის ყველა პასუხი.

***– საქართველოს ისტორიაში?***

– მსოფლიო ისტორიაში. საქართველო კი არის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან არის ერთი ძალიან საინტერესო ჩანაწერი, წინასწარმეტყველება ქალდეველებზე (რომელიც ამის თქმის უფლებას მაძლევს), მაგრამ მსოფლიოში იცნობენ, როგორც შუმერებს. სხვათა შორის, იქ იყო ჩაწერილი, ვინც გახდება აქკადის მეფე, ის გახდება მთელი მსოფლიოს მეფე. სხვათა შორის, ადრე აქკადი ერქვა მთლიანად კავკასიას და იყო ერთი სახელმწიფო. მერე დაშალეს, დაანგრიეს და ყველაფერი დავიწყებას მიეცა. ამიტომაც ვამბობ, სანამ ადამიანი არ გაიგებს ჩვენს ისტორიას, მანამ ვერაფერს გაიგებს, რატომ არის დღევანდელ დღეს ყველაფერი ასე ცუდად. დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ვსწავლობდი ისტორიას, მაგრამ ის კი არ არის ჩაწერილი სკოლის წიგნებში, რასაც მე ახლა ვამბობდი. უამრავი ძალიან საინტერესო წიგნია გამოსული. მაგალითად, ძალიან საინტერესოა აკრძალული არქეოლოგია. იქ არის ისეთი ფაქტები მოხსენიებული, რომელიც დღეს მეცნიერებს არ მოსწონთ, რადგან იქ არის ჭეშმარიტება, რომელიც დღეს არავის სჭირდება.

***– გამოსავალს რაში ხედავთ?***

– ერთი გამოსავალია – ჩვენ გვჭირდება ნამდვილად ახალი თაობა – ისეთი ადამიანები, რომლებმაც იციან, აინტერესებთ და ავითარებენ თავიანთ ცოდნას.

***–ძველ თაობას რა ვუყოთ? მათაც ხომ უნდათ მუშაობა. სააკაშვილმა, ფაქტობრივად, ისე გააკეთა, რომ მთელი თაობები უფუნქციოდ დატოვა.***

– მთავარი პრობლება რამდენიმე თაობისა, რომელიც გაიზარდა ომის დროს და ომის შემდეგ არის ის, რომ მათ ცხოვრებაში არასოდეს არ იყო სილამაზე.

***– აქ ვხედავ კოლექციურ ფიგურებს. კოლექციას აგროვებთ?***

– კოლექციურ ფიგურებს ვყიდულობ და მათზე ვუშვებ მიმოხილვებს ინტერნეტში. ეს ფიგურები არის ძალიან მაღალი ხარისხის. მაგალითად, აქ არის იოსებ სტალინის ფიგურა, რომელიც გაკეთებულია ამერიკაში. იქ არის ერთი პატარა ფირმა, რომელიც აკეთებს მეორე მსოფლიო ომის გმირებს. რუსეთიდან გააკეთეს მხოლოდ სტალინი. თუმცა, საუბარი იყო ბერიას ფიგურის გაკეთებაზეც. უამრავი პერსონა და გმირია ფილმებიდან, თამაშებიდან. ყველას ვაგროვებ. ახლა ეს ფიგურები უფრო ძვირია და უფრო დიდი პოტენციალი აქვს, ვიდრე ოქროს მოგროვებას.

***– რამდენი ექსპონატი გაქვთ?***

– ჯერჯერობით 70-ზე მეტია.

***–სტალინის ფიგურა ამერიკიდან როგორ მიიღეთ?***

– არის ონლაინ თამაში, სადაც შეიძლება მონაწილეობა და ფულის ან რომელიმე საჩუქრის მიღება. მე მივიღე კუპონი და ნებისმიერი ფიგურის აღება შემეძლო, მაგრამ სტალინის ფიგურა ავირჩიე. იმ ბარათზე იყო თანხა, რომელიც საკმარისი იყო ფიგურის საყიდლად. ახლა ამერიკაში ამ ფიგურის (სტალინი ზის სავარძელში. ფიგურას შეუძლია მოძრაობა. კომპლექტში არის რამდენიმე კოსტიუმი, ჩიბუხი, იარაღი) ფასი მინიმუმ 150 დოლარია. დროთა განმავლობაში, რა თქმა უნდა, გაიზრდება. ამ ფიგურების მიღების შემდეგ დავიწყე ფოტოგრაფიის შესწავლა. შემდეგ შევისწავლე ვიდეოს გაკეთება და გაფორმება, მიმოხილვის გამოშვება, გახმოვანება. „იუთუბზე" მაქვს დადებული 27 მიმოხილვა სხვადასხვა ფიგურებზე. ახლა მივდივარ იქამდე, რომ ამ მიმოხილვებზე მივიღო რეალური ფული, რასაც მე ვაკეთებ.

***– ფულს ვინ მოგცემთ?***

– თვითონ „გუგლი", როგორც ორგანიზაცია, რადგან ჩემს მიმოხილვებს ბევრი მნახველი ჰყავს, „იუთუბზე" შეიძლება „მონეტიზაციის" ჩართვა. ამ ვიდეოზე განთავსებული იქნება თვითონ „გუგლის" რეკლამა. სხვადასხვა ტარიფები აქვთ. რამდენიმე მიმოხილვისთვის იხდიან ფიქსირებულ ფასს. ჯერჯერობით რუსეთში არსებული ონლაინ მაღაზიისაგან მაქვს წინადადება. მათ მოეწონათ ჩემი მიმოხილვები. არის კიდევ სხვა საიტები, სადაც განთავსებული აქვთ ჩემი მიმოხილვები. ჩემს მიმოხილვებს ბევრი მნახველი ჰყავს და მაღაზიიდან შემომთავაზეს მონეტიზაციის დაწყება. ამას იმიტომ გიყვებით, რომ ყოველთვის შეიძლება რაღაც საქმის მოფიქრება. ადრე მქონდა სხვა პროექტი, მულტიპლიკაციის გახმოვანება, მაგრამ, სამწუხაროდ, იმისათვის, რომ ბაზარზე გავუშვა, მჭირდება ლიცენზია. იმისათვის, რომ ვიყიდო ლიცენცია, საჭიროა ფული. უფულოდ არაფერი გამოდის. ამიტომ ის ჯგუფი, რომელიც გვქონდა რუსეთში, დროებით დაიშალა. ყველა ცდილობს თავისი საქმის დაწყებას. ჩვენ ერთი ოცნება გვაქვს – ოდესმე შევიკრიბოთ და გავხსნათ ჩვენი სტუდია.

***– სხვათა შორის, ქართული მულტიპლიკაცია ძალიან ცუდ დღეშია.***

– ჩვენთან, ჯერ ერთი, ენთუზიასტები არ არსებობენ. მეორე – ეს ყველაფერი ძალიან ძვირი ჯდება, რადგან ტექნიკაც საჭიროა და დროც, თანაც, არავინ შეუშვებს ახალგაზრდა ანიმატორს კინოში. საჭიროა ნაცნობობა. სხვათა შორის, რუსეთშიც ასეა. ეს არის დიდი მინუსი. ამიტომაც თითოეული ჩვენგანი ვცდილობთ, დავიწყოთ რაღაც საქმე.


## განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩხეიძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# TV პროგრამა

## ორშაბათი 5 აგვისტო

08.00 დ/ფ "ჩერჩილის გამოწვევა" 09.10 საბ. ან/ფ "ლაურას ვარსკვლავი და დრაკონი ნიანი" 11.00 "ეკონომ მენიუ" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "დედა" 15.00 ტ/სერ. "ჭორიკანა" 17.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 18.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" 19.05 ტ/სერ. "მაგდა ემი" 21.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 22.00 მხ/ფ "და ყველაფერი განათდა" 00.00 მხ/ფ "გოგონა წყლიდან"

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "მეხიკო" 09.00 მხ/ფ "მუსიკა და ლირიკა" 10.30 "მსოფლიო ოდისეები" – "დიდებული დუნაი" 11.00 მხ/ფ "ყველანი ციხეში" 13.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" 3 ნაწ. 14.00 "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" 4 ნაწ. 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" – "სამართლიანი საქართველოსთვის" (პ/ე) 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

08.00 ან/ფ "სპანჯბობი" 1-2 სერ. 09.00 კულინარიული დუელი (გ/ჩ) 10.00 სერ. "დაუვიწყარი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "ცივი გული" 3 სერ. 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. "დამალული სიმართლე" 17.50 სერ. "მაგნატები". 18.50 სერ. "აკრძალული სიყვარული 21.00 სერ. "დაბრუნება" 22.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 ქ.სერ. "ცხელი ძაღლი– 4" 3 სერ. 00.15 მხ/ფ. "მინდა გახსოვდე" (ე. დე რეივინი)

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "Open Season" 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "ბაში-აჩუკი" 14.00 სერ "ერთგულების ძალა" 15.30 შერეკილები. 17.00 სერ. "ნამდვილი გრძნობა" 18.50 სერ. "ტიტების დრო" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 00.30 შიშის ფაქტორი 01.30 მხ/ფ

06.00, 08.55 , 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00 , 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.50 მხ/ფ "ოქროს ციებ-ცხელება" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 ერთი წვეთი 09.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 09.10 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "ვედრება" 13.10 ერთი წვეთი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 გუთნისდედა 15.30 სპექტაკლი - "ეს არ უნდა მომხდარიყო" 16.30 კონცერტი -ნიჭიეთა ათწლედი რომში 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.15 ჩვენი ფონდი 19.35 მხ/ფ "ჟუჟუნას მზითევი" 20.40 ძილი ნებისა 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 ჩვენი ფონდი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ოვალური ბურთი" 00.30მხ/ფ "20 ათასი ლიე წყალქვეშ" I ნაწ. 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30, 2.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) 11.00, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.40 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) 14.40, 4.30 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე

tv9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05, 10.05 ახალი დილა 11.05 BBC სერიალი დიდი იმედები 3 გამ 12.30, 17.30 როგორ შევხვდი დედაშენს 13.10, 14.30, 5.00 ცხელი შუადღე 15.30 სტერეოტიპი გამ 16.10 მატრიცა 17.10, 23.30, 7.00 დოკ/ფ 18.00, 1.50 ღია თამაში 20.00 სერიალი-ტკბილი შხამი 22.00, 3.50 მთავარი კითხვა 0.20 მხ/ფ

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## სამშაბათი 6 აგვისტო

08.00 დ/ფ "ჩერჩილის გამოწვევა" 09.10 საბ. ან/ფ "ლაურას ვარსკვლავი და დრაკონი ნიანი" 11.00 "ეკონომ მენიუ" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "დედა" 15.00 ტ/სერ. "ჭორიკანა" 17.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 18.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" 19.05 ტ/სერ. "მაგდა ემი" 21.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 22.00 მხ/ფ "და ყველაფერი განათდა" 00.00 მხ/ფ "გოგონა წყლიდან"

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "მეხიკო" 09.00 მხ/ფ "მუსიკა და ლირიკა" 10.30 "მსოფლიო ოდისეები" – "დიდებული დუნაი" 11.00 მხ/ფ "ყველანი ციხეში" 13.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" 3 ნაწ. 14.00 "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" 4 ნაწ. 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" – "სამართლიანი საქართველოსთვის" (პ/ე) 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

08.00 ან/ფ "სპანჯბობი" 1-2 სერ. 09.00 კულინარიული დუელი (გ/ჩ) 10.00 სერ. "დაუვიწყარი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "ცივი გული" 3 სერ. 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. "დამალული სიმართლე" 17.50 სერ. "მაგნატები". 18.50 სერ. "აკრძალული სიყვარული 21.00 სერ. "დაბრუნება" 22.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 ქ.სერ. "ცხელი ძაღლი – 4" 3 სერ. 00.15 მხ/ფ. "მინდა გახსოვდე" (ე. დე რეივინი)

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "Open Season" 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "ბაში-აჩუკი" 14.00 სერ "ერთგულების ძალა" 15.30 შერეკილები. 17.00 სერ. "ნამდვილი გრძნობა" 18.50 სერ. "ტიტების დრო" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 00.30 შიშის ფაქტორი 01.30 მხ/ფ

06.00, 08.55 , 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00 , 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.50 მხ/ფ "ოქროს ციებ-ცხელება" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 ერთი წვეთი 09.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 09.10 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "ვედრება" 13.10 ერთი წვეთი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 გუთნისდედა 15.30 სპექტაკლი - "ეს არ უნდა მომხდარიყო" 16.30 კონცერტი -ნიჭიეთა ათწლედი რომში 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.15 ჩვენი ფონდი 19.35 მხ/ფ "ჟუჟუნას მზითევი" 20.40 ძილი ნებისა 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 ჩვენი ფონდი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ოვალური ბურთი" 00.30მხ/ფ "20 ათასი ლიე წყალქვეშ" I ნაწ. 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30, 2.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) 11.00, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 12.40 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) 14.40, 4.30 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე

tv9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05, 10.05 ახალი დილა 11.05 BBC სერიალი დიდი იმედები 3 გამ 12.30, 17.30 როგორ შევხვდი დედაშენს 13.10, 14.30, 5.00 ცხელი შუადღე 15.30 სტერეოტიპი გამ 16.10 მატრიცა 17.10, 23.30, 7.00 დოკ/ფ 18.00, 1.50 ღია თამაში 20.00 სერიალი-ტკბილი შხამი 22.00, 3.50 მთავარი კითხვა 0.20 მხ/ფ

## ოთხშაბათი 7 აგვისტო

08.00 დ/ფ " ბრინჯის მფლობელები" 09.10 საბ. ან/ფ "ტომი და ჯერი და შერლოკ ჰოლმსი" 10.00 დ/ფ "ჟოზეფ მალორ უილიამ ტერნერი" 11.00 "ეკონომ მენიუ" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "ვეტერინარი" 15.00 ტ/სერ. "ჭორიკანა" 17.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 18.00 დ/ფ "მეცნიერების ისტორია" 19.05 ტ/სერ. "მაგდა ემი" 21.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 22.00 მხ/ფ "ჰაზარდელი დიუკები" 00.00 მხ/ფ "თოვლის ანგელოზები" (კ.ბეკინსეილი)

08.00, 10.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ) 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

08.00 ან/ფ "სპანჯბობი" 5-6 სერ. 09.00 კულინარიული დუელი (გ/ჩ) 10.00 სერ. "დაუვიწყარი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "ცივი გული" 5 სერ. 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. "დამალული სიმართლე" 17.50 სერ. "მაგნატები". 18.50 სერ. "აკრძალული სიყვარული 21.00 სერ. "დაბრუნება" 22.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 ქ.სერ. "ცხელი ძაღლი – 4" 5 სერ. 00.15 მხ/ფ. "სისხლიანი შოუ" (ვ.კ. ქემბელი)

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "Open Season - 3" 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ "იმერული ესკიზები" 14.00 სერ "ერთგულების ძალა" 15.30 იღბლიანი ბორბალი. 17.00 სერ. "ნამდვილი გრძნობა" 18.50 სერ. "ტიტების დრო" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 23.00 სერ. "სიცრუის თეორია" 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00, 03.30 მხ/ფ.

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.30 მხ/ფ "20 ათასი ლიე წყალქვეშ" II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 ერთი წვეთი 09.05, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 09.10 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 03.10 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 მოკ/ფ "ზზიანეთი" 11.20 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 12.40 ღია აუდიტორია 13.15 ერთი წვეთი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45, 21.55 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 აქტუალური თემა 15.30 ისტორიის გაკვეთილი 16.05 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 16.30 ეთნოგრაფია 16.45 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ, უფალო 18.25 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "ცარიელი ბინა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" 00.35 მხ/ფ "მობიდიკი" I - II ნაწ. 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 9.30, 2.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 12.40, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 14.00 "კვირის აბები" (გამ.) 16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.00, 4.30 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე

tv9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05, 10.05 ახალი დილა 11.05, 20.00 სერიალი "ტკბილი შხამი" 12.30, 17.30 როგორ შევხვდი დედაშენს 13.10, 14.30, 5.00 ცხელი შუადღე 15.30 რაც დარჩა სათქმელი გამ 16.10 გრიფის გარეშე გამ 17.10, 23.30, 7.00 დოკ/ფ 18.00, 1.50 ღია თამაში 22.00, 3.50 მთავარი კითხვა 0.20 მხ/ფ

## ხუთშაბათი 8 აგვისტო

08.00 დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" 09.10 საბ. მხ/ფ "გრიზლის ჩანჩქერი" 11.00 "ეკონომ მენიუ" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "ვეტერინარი" 15.00 ტ/სერ. "ჭორიკანა" 17.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 18.00 დ/ფ "სიცოცხლე" 19.05 ტ/სერ. "მაგდა ემი" 21.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 22.00 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" 23.00 მხ/ფ "საგანგებო ექსტრადიცია" (რ.უიზერსპუნტი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" I ნაწ. 14.00 დ/ფ "ნამდვილი პანამა" 16.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" 2 ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" (პ/ე)

08.00 ან/ფ "სპანჯბობი" 7-8 სერ. 09.00 კულინარიული დუელი (გ/ჩ) 10.00 სერ. "დაუვიწყარი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "ცივი გული" 6 სერ. 12.30, 14.40 ჩვენებური – ფერიანი სიზმრები 15.20 დოკ/ფ "უფლის ჯარისკაცები" 16.00 სერ. "დამალული სიმართლე" 17.50 სერ. "მაგნატები" 18.50 სერ. "აკრძალული სიყვარული" 21.00 სერ."დაბრუნება" 22.00 დოკ/ფ "ადრენალინი– პროფესია რეპორტიორი" 23.00 ქ.სერ. "ცხელი ძაღლი – 4" 6 სერ. 00.15 მხ/ფ. "მხნელი" (ნ.კინსკი)

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ 14.00 სერ "ერთგულების ძალა" 17.00 სერ. "ნამდვილი გრძნობა" 18.50 სერ. "ტიტების დრო" 23.00 სერ. "სიცრუის თეორია" 01.00, 03.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.30 მხ/ფ "მობიდიკი" I - II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 ერთი წვეთი 09.05, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 09.10 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 03.10 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" 11.15 ეთნოგრაფია 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "ცარიელი ბინა" 13.15 ერთი წვეთი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 დოკ/ფ "ლოცვები სამშობლოსათვის" 15.30 დოკ/ფ "მეომრები" 15.55 ეთნოგრაფია 16.10 დოკ/ფ "გზა" 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.15 დოკ/ფ "საქართველო ჩვენია,გაიგე რუსო" 19.35 მხ/ფ "ივანე კოტორაშვილის ამბავი" 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.25 დოკ/ფ "ცარიელია სახლი" 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ქართული მხედრობა პოლონეთში" 00.35 მხ/ფ "მობიდიკი" III - IV ნაწ. 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 9.30, 2.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 გადაცემა "პულსი" (გამ.) 10.30 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 12.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 13.45 "ჩემი ქორწილი" (გამ.) 14.40, 22.00, 4.30 "ყოველდღიური აბები" 15.30 მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) 16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე

tv9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05, 10.05 ახალი დილა 11.05, 20.00 სერიალი "ტკბილი შხამი" 12.30, 17.30 როგორ შევხვდი დედაშენს 13.10, 14.30, 5.00 ცხელი შუადღე 15.30 ჩემიანი 16.10, 17.10, 23.30, 7.00 დოკ/ფ 18.00, 1.50 ღია თამაში 22.00, 3.50 მთავარი კითხვა 0.20 მხ/ფ

## პარასკევი 9 აგვისტო

08.00 დ/ფ "როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაზე დაცურავდნენ" 09.10 საბ. ან/ფ "საოცარი მისტერ ბარნანდერი" 11.00 "ეკონომ მენიუ" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.35 მხ/ფ "ლეონი" (ჟ.რენო) 15.00 ტ/სერ. "ჭორიკანა" 17.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 18.00 დ/ფ "ამერიკის საიდუმლო" 19.05 ტ/სერ. "მაგდა ემი" 21.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 22.00 "წითელი ზონა" 23.00 მხ/ფ "ბალანჩინი" (ტიტ.) (დოკ.ფილმი.)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) 14.00 დ/ფ "პოლვირილიო-სიჩქარის ფილოსოფოსი" 16.00 დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" მე-3 (დასკვნითი) ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

08.00 ან/ფ "სპანჯბობი" 9-10 სერ. 09.00 კულინარიული დუელი (გ/ჩ) 10.00 სერ. "დაუვიწყარი" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 11.20 სერ. "ცივი გული" 7 სერ. 12.30 მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) 14.40 იმედის გმირები (გ/ჩ) 15.15 რომ გადახვალ" გააჩერე (გ/ჩ) 16.00 სერ."დამალული სიმართლე" 17.50 სერ. "მაგნატები" 18.50 სერ. "აკრძალული სიყვარული" 21.00 სერ."დაბრუნება" 22.00 ქ/სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 ქ/სერ. "ცხელი ძაღლი– 4" 7 სერ. 00.15 მხ/ფ. "რეალური სამყარო" (ჰ .დაფი)

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 10.00 სერ. "სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. "ცრემლების გვირგვინი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ 14.00 სერ "ერთგულების ძალა" 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. "ნამდვილი გრძნობა" 18.50 სერ. "ტიტების დრო" 20.50 ეროვნული ლატარეა 23.00 სერ. "სიცრუის თეორია" 01.00 მხ/ფ

ერთსულოვნება 06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.30 მხ/ფ "მობიდიკი" III - IV ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 ერთი წვეთი 09.05, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 09.10 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 03.10 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.35 დოკ/ფ "ცარიელია სახლი" 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "ივანე კოტორაშვილის ამბავი" 13.15 ერთი წვეთი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 ჩვენი ფონდი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.40 კონცერტი - საგალობლების საღამო 17.00 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.25 დოკ/ფ "ზეცის სიმაღლეს ეზიარა" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ/ფ "ამაღლება" 20.20 დოკ/ფ "კაპელანი" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.35 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სათავეებთან 00.25 ისტორიის დღიური 00.35 მხ/ფ "გვირაბი" I ნაწ. 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 9.30, 2.30 მაგთიფანი (გამ.) 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 12.40, 15.30, 17.30, 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 14.40, 22.00, 4.30 "ყოველდღიური აბები" 16.00 სერიალი "შტორმი" 19.00 სერიალი "1001 ღამე" 22.20 "კინო მაესტროზე" 0.30, 5.30 ღია კარის დღე

tv9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05, 10.05 ახალი დილა 11.05, 20.00 სერიალი "ტკბილი შხამი" 12.30, 17.30 როგორ შევხვდი დედაშენს 13.10, 14.30, 5.00 ცხელი შუადღე 15.30 დიდი დრო (გამ) 16.10, 17.10, 7.00 დოკ/ფ 18.00 ღია თამაში 22.00 BBC სერიალი. 23.30 სტერეოტიპი. 0.20, 3.50 მხ/ფ

## შაბათი 10 აგვისტო

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 საბ. მხ/ფ "მარსიანელი ბავშვი" 10.30 საბ. ან/სერ. "ზინგზილები" 11.00 "პეპე და მეგობრები" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 I არხი წარმოგიდგენთ – ბობ მინცერი 14.00 ფილმი ნოსტალგია: "ვინეტუ –2" 15.30 "საფარი" 16.30 ქარ. ტ/ფ. "არასერიოზული კაცი" 18.00 "10I10" 19.00 ტ/სერ. "ოჯახური გამოძიება" 20.40 ქარ. მხ/ფ "ჭრიჭინა" 22.30 მხ/ფ "ოუშენის 11 მეგობარი" (ჯ.კლუნი) 00.00 მხ/ფ "სიცრუის ერთობლიობა" (ლ.დიკაპრიო)

08.00, 10.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 12.00 დ/ფ "კოდის კონცხი" 13.00 მხ/ფ "ჯადოსნური შარვალი – 2" (ა.ფერერა) 15.00 დ/ფ "დაოს გზა" ანუ უკვდავების ხელოვნება" 17.00 მხ/ფ "ვინეტუ – I" 19.00 დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" – ჰედი ლამარი 20.00 მხ/ფ "სასიკვდილო იარაღი-4" (მ.გიბსონი) 22.00 ტ/სერ. "საიდუმლო აგენტები" I სერ. 23.00 მხ/ფ "მოწმობა ქორწინებისთვის" (რ. უილიამსი) (ტიტ.)

08.00 მხ/ფ. "მეფე – პოლარული დათვი" 10.00 მხიარული ოჯახი (გ/ჩ) 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ეკოვიზია 12.00 ქ/სერ. "შუა ქალაქში" 13.00 სერ. "სონის შანსი". 14.20 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 17.50 სერ "მაგნატები" 18.50 სერ. "აკრძალული სიყვარული" 21.00 სერ."დაბრუნება" 22.00 ქ/სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 იუმორინა (გ/ჩ) 00.00 მხ/ფ. "კერკეტი კაკალი" (ბ.უილისი) 02.10 მხ/ფ. "ღვთის გამოგზავნილი" (გ.კინეარი) (ტიტ.)

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.30 შერეკილები 10.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 13.30 ქართ. მხ/ფ 18.50 სერ. "ტიტების დრო" 22.00 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 "Latin Angels" 01.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.35 დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 ერთი წვეთი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.25, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "ამაღლება" 13.30 სატელევიზიო არქივიდან-100 ქართული ხალხური სიმღერა 14.10 სათავეებთან 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.10 ოპერა - "ოტელო" ა. ხომერიკი,ნ.გლუნჩაძე,ე. გეწაძე 17.50 ფოტოგალერეა 18.10 ქრისტიანული ხელოვნება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 თბილისის ტაძრები 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ლექსით ქებათა ქება 21.35 დოკ/ფ "ქართველი ლეგიონერი" 22.25 ერთსულოვანი ოჯახი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 22.15 ქართული ხმები 00.35 მხ/ფ "გვირაბი" II ნაწ. 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30, 0.30, 5.30 ღია კარის დღე 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 10.30 გადაცემა "პულსი" 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "1001 ღამე" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 21.45, 4.30 თოქ-შოუ "პრესპრესი" (გამ.) 23.00 მაგთიფანი (საკონცერტო ნომრები) 1.15, 3.30, 6.30 ფარული კამერა 2.30 მაგთიფანი (საკონცერტო ნომრები)

tv9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 15.00, 18.00, 0.00 ახალი 8.10, 9.10, 10.05 ახალი დილა 11.10 პრეს ზონა 12.30, 17.30 როგორ შევხვდი დედაშენს 13.00 დილის იდილია გამ 13.30 სერიალი "ტკბილი შხამი" 14.30 პროფი 15.30, 22.00 BBC სერიალი. 16.30, 18.30, 19.30, 23.30, 1.30, 2.00, 3.00, 4.30, 5.00, 5.30, 6.30, 7.00 დოკ/ფ 18.30 სხვა კინო 19.00 მედარეა 20.30 ანატომია 21.00 მატრიცა 23.30 რაც დარჩა სათქმელი

## კვირა 11 აგვისტო

09.00 დ/ფ "რომაული ელეგანტურობა" 10.00 საბ. ან/სერ. "სუპერგმირების ლეგიონი" 11.00 "პეპე და მეგობრები" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "სპექტაკლის დრო" – ერთი მსახიობის თეატრის სპექტაკლი: "მარტოობის ბინადარი" 14.00 ფილმი ნოსტალგია: "ბაზზა" 15.30 დ/ფ "რუკების სილამაზე" 16.30 "ვაშინგტონი დღეს" 17.00 I არხი წარმოგიდგენთ – კონცერტი: "სინდიკატი" 18.00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. I ტური. (პ/რ) 20.50 "უცნობი მუსიკა" – იმპროვიზაცია 22.30 მხ/ფ "ტკბილი ნოემბერი" (კ.რივზი) 00.00 მხ/ფ "ინტერვიუ ვამპირთან" (ბ.პიტი)

08.00 დ/ფ "ამფორების გზა" 09.00 "ბრიფინგის დრო" (შაბ. გ/ჩვ.) 10.00 მხ/ფ "ნენსი დრუ" 12.00 საქართველოს პარლამენტის სხდომები (განვლილი კვირის დაიჯესტი) 20.00 მხ/ფ "ძაღლების სიყვარული სავალდებულოა" 22.00 ტ/სერ. "საიდუმლო აგენტები" 2 სერ. 23.00 მხ/ფ "საწვრთნელი დღე" (დ.ვაშინგტონი)

08.00 მხ/ფ. "ოსტინ პაუერსი" 10.00 მხიარული ოჯახი (გ/ჩ) 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ (გ/ჩ) 12.00 ქ/სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 13.00 სერ. "სონის შანსი" 14.20 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 17.40 იმედის გმირები 18.00, 19.05 სერ. "ენჯელ ფილი" 21.00 ღამის შოუ (გ/ჩ) 22.00 ქ.სერ. "შუა ქალაქში" (გ/ჩ) 23.00 იუმორინა (გ/ჩ) 00.00 იმედიატორი 01.30 დოკ/ფ "ურღვევი სამყარო"

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.30 შიშის ფაქტორი 10.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 13.00 ქართ. მხ/ფ 16.30 პროფილი (გ/ჩ) 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 02.00 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ჩვენი ტრაპეზი 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "ლეკი" 13.50 ქრისტიანული ხელოვნება 14.20 ისტორიის გაკვეთილი 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 საღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.00 ღია აუდიტორია 19.45 "ნიქოზი" (განთიადის სიუჟეტი) 20.05 დოკ/ფ "კოდორის გმირები" 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.30 მხ/ფ "საბრინა"

მაესტრო 7.00, 0.30, 2.00, 3.00, 4.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმი 9.30, 20.00, 4.30 "ჩემი ქორწილი" 10.30 გადაცემა "პულსი" 11.00, 12.30, 15.30 სერიალი "1001 ღამე" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 18.45, 22.30 "ღია კარის დღე" 19.30 "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება 21.45, 2.30 კვირის აბები 23.00 "კინო მაესტროზე" 1.15, 3.30, 5.20, 6.30 ფარული კამერა

tv9 8.00, 0.00 მხ/ფ 9.30 დილის იდილია 10.00, 13.30, 20.00, 3.00, 4.30, 5.00, 5.30, 6.30, 7.00 დოკ/ფ 11.30 პროფი 12.00, 15.00, 18.00 ახალი 12.30, 17.30 როგორ შევხვდი დედაშენს 13.00 ჩემიანი გამ 13.30 სხვა კინო გამ 15.30, 22.00 BBC სერიალი. 18.30, 23.00 მედარეა 19.00 სპორტის დრო 21.00 გრიფის გარეშე 23.30 დიდი დრო

# ვენესუელის პრეზიდენტზე თავდასხმა იგეგმებოდა?!

## (ექსპერტები რუსეთის მორიგ პროვოკაციაზე საუბრობენ)

ვენესუელის კონტრდაზვერვამ პრეზიდენტ მადუროზე თავდასხმა აღკვეთა. დაპატიმრებულია ტერაქტში ეჭვმიტანილი რამდენიმე პიროვნება. ყველა მათგანი კოლუმბიის მოქალაქეა, — იტყობინება რია-ნოვოსტი.

ვენესუელის შინაგან საქმეთა მინისტრმა მიგელ როდრიგესმა თავის ტელე-ინტერვიუში განაცხადა: გარკვეული უცხო ძალები პრეზიდენტ მადუროს ლიკვიდაციას გეგმავდნენ. აქციის კოდური სახელწოდებაა „ოპერაცია ბეიბი“. როდრიგესის ცნობით, ის გულუხვად იყო დაფინანსებული.

— ამ მიზნით ვილაც-ვილაცებმა 2,5 მილიონი დოლარი გადაიხადეს, — განაცხადა მინისტრმა.

როდრიგესმა ტერაქტის სპონსორთა ვინაობა არ დააკონკრეტა. სამაგიეროდ განაცხადა, რომ შეთქმულების ორგანიზატორები ცნობილი კუბელი კონტრრევოლუციონერი ლუის პოსადა, კოლუმბიის ყოფილი პრეზიდენტი ურიბე და ჰონდურასის პრეზიდენტობის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი მიჩელეტი იყვნენ, „მათ საქმიანობას ამერიკის დაზვერვის ერთ-ერთი აგენტი ხელმძღვანელობდა,“ — განაცხადა მინისტრმა, თუმცა ამ აგენტის გვარი არ დაუსახელებია. შემდეგ მან დაწვრილებით აღწერა, თუ რა სამუშაო ჩაატარა მისმა უწყებამ ტერაქტის აღსაკვეთად.

— შეთქმულები ერთმანეთს პანამაში, მაიამიში და კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში ხვდებოდნენ, — განაცხადა როდრიგესმა, — ჩვენ ყველაფერზე ამომწურავი ინფორმაცია გვქონდა, ზუსტად ვიცოდით, ვის ხვდებოდნენ, რას ლაპარაკობდნენ, რით სუნთქავდნენ.

მინისტრის მტკიცებით, პრეზიდენტ მადუროს მკვლელობა სნაიპერს უნდა განეხორციელებინა. ამას გარდა დაგეგმილი იყო პარლამენტის თავმჯდომარის ლიკვიდაციაც. შემდეგ მოხდებოდა მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების დაკავება. ყოველივე კი ვენესუელის კანონიერი მთავრობის დამხობით დასრულდებოდა.

— ჩვენ უზარმაზარი სამუშაო ჩავატარეთ, ახლაც შეთქმულების შესაძლო მონაწილეთ ყურადღებით ვუთვალთვალებთ, — განაცხადა როდრიგესმა.

ეჭვმიტანილთა შორის მინისტრმა ვენესუელის ოპოზიციის ლიდერები დაასახელა. ამან ექსპერტებს ფრიად საფუძვლიანი ეჭვები აღუძრა. „ციხე შიგნიდან გატყდებაო“-ო, ნათქვამია. გადატრიალების წარმატებით დაგვირგვინებაც შეუძლებელია, თუკი მმართველ გუნდში გავლენიანი თანამზრახველები არა გყავს. ექსპერტთა უმრავლესობა თვლის, რომ ხელისუფლებამ დადგა სპექტაკლი, რათა პოლიციური რეჟიმი გააძლიეროს და ძალაუფლება შეინარჩუნოს, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მიგელ როდრიგესს თავად გააჩნია პოლიტიკური ამბიციები და საკუთარი თამაშები დაიწყო. ეს კი გარე ძალების მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია. აშშ-ში ამგვარ ქმედებას მუდამ ალმაცერად უყურებდნენ. ასევე არცთუ დადებითად აღიქმება ხელისუფლებაში ძალოვანების მოსვლა, მით უმეტეს, თუკი ისინი ისეთ ოდიოზურ ლიდერს ემსახურებოდნენ, როგორიც უგო ჩავესი იყო. ჩავესის დროს ვენესუელა აშშ-ს წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდა. ბუნებრივია, კრემლი დაინტერესებულია, რათა ეს შენარჩუნდეს, რაც არცთუ იოლია. პოსტჩავესულ ვენესუელაში უდიდესი პრობლემებია. ეკონომიკური კრიზისის დაძლევა აშშ-ს დახმარების გარეშე ვერ მოხერხდება. კრემლიც ცდილობს ვენესუელა—აშშ-ს შორის ურთიერთობების მოგვარებას ხელი შეუშალოს. საამისოდ კი უნდა შეიქმნას ფონი, რაც ვენესუელას ანტიამერიკულ ორბიტაში დარჩენას ხელს შეუწყობს.

— სენიორ როდრიგესის წყალობით კრემლმა ასეთი ფონის შექმნა მოახერხა, — თვლის პოლიტოლოგი ვიდრინი.

ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ ლუის პოსადას პიროვნებაზე, რომელიც როდრიგესმა ტერაქტის ერთ-ერთ ორგანიზატორად დაასახელა. ის მართლაც კუბური ანტიკომუნისტური მოძრაობის ვეტერანია. პოსადა (დაბ. 1928 წელს) აქტიურად მონაწილეობდა 1961 წელს ე.წ. „ღორების ყურეში“ კუბური დესანტის გადმოსხმის ორგანიზებაში, რომელსაც კასტროს წინააღმდეგ პარტიზანული მოძრაობა უნდა გაეჩაღებინა. როგორც ცნობილია, კასტრომ სუკის დახმარებით ამ დესანტის განადგურება შეძლო. ამის შემდეგ პოსადა მიემგზავრება ვენესუელაში, იღებს ამ ქვეყნის მოქალაქეობას და განაგრძობს აქტიურ ბრძოლას კასტროს დიქტატურის წინააღმდეგ. კუბა მას ტერორისტად აცხადებს და მის დეპორტაციას მოითხოვს. ოფიციალური კარაკასი უარზეა. 1976 წელს ვენესუელის დედაქალაქის აეროპორტში კუბის სამგზავრო თვითმფრინავი ფეთქდება. გამოძიებით დასტურდება, რომ ვილაცამ იქ ბომბი ჩადო. კუბა ამაში პოსადას ადანაშაულებს. ვენესუელის ხელისუფლებაც იძულებულია ის დააპატიმროს. მალე გამოძიების ხელთ აღმოჩნდა დოკუმენტები, რაც ტერაქტში პოსადას მონაწილეობას ადასტურებს, თავად დაპატიმრებული პოსადა ამას კატეგორიულად უარყოფს და ამტკიცებს, რომ ყოველივე კასტროს სპეცსამსახურების პროვოკაციაა. მალე პოსადა ციხიდან გარბის. ის მიემგზავრება პანამაში, სადაც პოლიტიკურ თავშესაფარს იღებს და კასტროს რეჟიმთან ბრძოლას განაგრძობს. ცალკეული ცნობით, ის ნიკარაგუელი პარტიზანების (კონტრას) მომზადებაში მონაწილეობს. ოფიციალური კუბა კვლავ ბრალს სდებს ტერორიზმში და მის გადაცემას მოითხოვს.



1991 წელს „ცივი ომი“ დასრულდა. სსრ კავშირი დაინგრა. ანტიკასტროულმა ბრძოლამაც თავისი აქტუალობა დაკარგა. მიუხედავად ამისა, პოსადა ბრძოლას მაინც არ წყვეტს. 2000 წელს მას კვლავ აპატიმრებენ და ბრალს ფიდელ კასტროზე თავდასხმის ორგანიზებაში დებენ. ციხეში პოსადამ ოთხი წელი გაატარა, შემდეგ კი ის მიემგზავრება აშშ-ში, სადაც საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისათვის აპატიმრებენ. ვენესუელის მაშინდელი პრეზიდენტი ჩავესი პოსადას, როგორც ტერორისტის, დეპორტაციას მოითხოვს, აქაოდა ის ჩვენი მოქალაქეა, რომელიც თავის დროზე ტერორიზმისათვის დააპატიმრეს და ციხიდან გაიქცაო. აშშ-ს სასამართლომ კუბელი ანტიკომუნისტი თავდებში გაათავისუფლა.

— არავისთვის საიდუმლო არაა, რომ პოსადა თავის დროზე ამერიკის დაზვერვასთან მჭიდროდ თანამშრომლობდა. შესაბამისად, თუკი ის ტერაქტის ერთ-ერთი ორგანიზატორია, მაშინ ლოგიკურად იბადება აზრი, რომ ყოველივე აშშ-ს ორგანიზებულია, — თვლის ვიდრინი.

ამერიკელი პუბლიცისტი ჯონ ბარონი, ავტორი გახმაურებული წიგნისა „სუკი“, ამტკიცებდა, რომ საბჭოთა უშიშროება თავად ქმნის ე.წ. „იატაკქვეშა ჯგუფებს“, რათა პროვოკაციები განახორციელოს. აღნიშნულ მოსაზრებას სუკის ყოფილი ოფიცერი ოლეგ გორდიევსკიც ეთანხმება.

— კონტრდაზვერვა თავად ქმნის ე.წ. იატაქვეშა ორგანიზაციებს, რომელთა სათავეში თავის ხალხს აყენებს. ეს უკანასკნელნი ორგანიზაციის წევრთაგან შეარჩევენ მამაც, პატიოსან, მაგრამ გულუბრყვილო ადამიანებს, ვისაც სერიოზულად სჯერა, რომ მმართველ რეჟიმს ებრძვის. შემდეგ ასეთ ხალხს ტერაქტებზე აქეზებენ. სუკის ოფიცერი, რომელიც ყველაფერზე ამომწურავადაა ინფორმირებული, სცენაზე საჭირო მომენტში გამოჩნდება, რათა „ტერორისტს“ ქეჩოში ხელი ჩაავლოს, — წერს გორდიევსკი.

საბჭოთა სუკი ასეთ მეთოდებს ხშირად იყენებდა. ჯერ კიდევ 20-იან წლებში ტარდება ცნობილი ოპერაცია „ტრესტი“. შემდგომში მსგავსი პროვოკაციები არაერთხელ განმეორდა. მეთოდებიც დაიხვეწა. მიგელ როდრიგესმაც რუსი პარტნიორების გაკვეთილები კარგად აითვისა. ის ფაქტი, რომ ვენესუელის შინაგან საქმეთა მინისტრს „ყველაფერზე ამომწურავი ინფორმაცია გააჩნდა“, ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ ასეთი ცნობები მას რუსულმა სპეცსამსახურებმა მიაწოდეს. ბატონმა მინისტრმაც საკუთარი თამაში დაიწყო და თავის ქვეყანაში სუკის სტილში სპექტაკლი დადგა, რითაც მოსკოვის ინტერესების გატარებას ხელი შეუწყო.

— ე.წ. ევრაზიული პროექტის მოქმედებაში მოყვანასთან ერთად რუსეთის ძირგამომთხრელი საქმიანობის მასშტაბებიც გაიზარდა, — თვლის ბი-ბი-სი.

უკრაინელი პოლიტიკოსი ოლეგ ტიაგნიბოკი თვლის, რომ რუსეთს ვენესუელა აშშ-სთან ვაჭრობისათვის სჭირდება. ტიაგნიბოკის აზრით, პუტინი ცდილობს ამერიკელებთან არაოფიციალურ გარიგებას მიაღწიოს, აქაოდა, პოსტ-საბჭოური სივრცე ჩვენი გავლენის სფეროა და აქ ნუ აქტიურობთ. ჩვენ კი არც აზიაში, არც ლათინურ ამერიკაში პრობლემებს არ შეგიქმნითო.

— ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღეს, როცა რუსეთმა ე.წ. „ევრაზიული კავშირის“ შეკოწიწება დაიწყო. ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკებს იქ შესვლის სურვილი არ გააჩნიათ. ყველაზე რადიკალური პროდასავლური განწყობილებები კი უკრაინასა და საქართველოშია, --ამბობს ტიაგნიბოკი.

უკრაინელი პოლიტიკოსი მართალს ბრძანებს. ამას გარდა, ბელორუსიასა და ყაზახეთშიც კი სულ უფრო აქტიურდებიან ძალები, რომლებიც ამ კავშირიდან გასვლას მოითხოვენ. ეს პუტინის შეშფოთებას იწვევს. კიევში რუსეთის მონათვლის დღესასწაულზე ჩასულმა პუტინმაც იანუკოვიჩს საუბარი ევრაზიულ კავშირზე ჩამოუგდო, თუმცა სასურველ შედეგს ვერც ახლა მიაღწია.

— პუტინი რუსეთს ავტორიტარული მეთოდებით მართავს. ამიტომ შეუძლია ნებისმიერი მოქალაქე ციხეში ჩასვას, როგორც ეს ხოდორკოვსკის შემთხვევაში მოხდა, ან პირიქით, შეიწყალოს, როგორც ოპოზიციონერი ნავალნი შეიწყალა. მას სულით-გულით სურს, რათა ასე არა მხოლოდ რუსეთი, არამედ მთელი პოსტ-საბჭოური სივრცე მართოს. უკრაინის წინააღმდეგობა ამას შეუძლებელს ხდის. პუტინი ცდილობს თავისი მარცხი გარეშე ძალებს, უწინარეს ყოვლისა აშშ-ს, დააბრალოს, — წერს პოლიტოლოგი ნაბოჟენკო, — აქაოდა, ამერიკელები უკრაინელებს, ქართველებს თუ სხვებს მხარს უჭერენ, მათი გაურჩებაც ამ მხარდაჭერის შედეგიაო.

პუტინი ცდილობს დაარწმუნოს აშშ, რათა პოსტსაბჭოურ სივრცეში რუსეთის ჰეგემონიას შეეგუოს. პუტინი ყოფილი ჩეკისტია, შესაბამისად დარწმუნების ერთადერთი მეთოდი გააჩნია: პროვოკაცია. ვენესუელაშიც პროვოკაცია განხორციელდა. „გაიხსნა“ პრეზიდენტზე თავდასხმის გეგმა, თანაც ისე, რომ კვალი აშშ-საკენ წავიდა. როგორ განვითარდება შემდგომი მოვლენები, რა გავლენას იქონიებს ეს რეგიონში არსებულ ვითარებაზე, რა ცვლილებები მოხდება ვენესუელის პოლიტიკურ ელიტაში, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**ნიკა თევზაძე**

# აშშ სნოუდენის გამო რუსეთის ქმედებით უკიდურესად იმედგაცრუებულია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

განლაგება და სწრაფად გადავიდეთ ნატო-ს გაფართოების მორიგ რაუნდზე, საქართველოს ჩათვლით“, — განაცხადა ჯონ მაკკეინმა.

რუსეთის გადაწყვეტილებას სნოუდენისთვის თავშესაფრის მიცემის თაობაზე რესპუბლიკელმა სენატორმა „ყველა ამერიკელისთვის სილის გააწნა“ და „შეერთებული შტატების დაბნევის მიზანმიმართული მცდელობა“ უწოდა.

„დროა, ფუნდამენტურად გადავხედოთ პუტინის რუსეთთან ურთიერთობას. პუტინის რუსეთის დღევანდელმა გადაწყვეტილებამ ამ ქვეყანასთან დაკავშირებით ყველა ილუზია უნდა გაუქარწყლოს იმ ამერიკელებს, რომლებსაც რუსეთთან დაკავშირებით ბოლო წლებია მცდარი მოლოდინები აქვთ. ჩვენ უკვე დიდი ხანია გვჭირდება უფრო რეალისტურად შევხედოთ რუსეთთან ურთიერთობებს და იმედი მაქვს, დღეს ამას საბოლოოდ დავიწყებთ“, — აღნიშნა ჯონ მაკკეინმა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# რა მდგომარეობაა ხელოვნების მუზეუმში?

დასაწყისი მე-7 გვერდზე

დაბრუნებულა.

1985 წლის 13 დეკემბერს სოხუმის სურათების გალერეას გამოფენისთვის გადაეცა ალ. შერვაშიძის 67 ნამუშევარი, რომლებიც მუზეუმში ასევე აღარ დაბრუნებულა.

2003 წლის 20 მარტის №4-28/230 წერილით, რუსეთის სამხატვრო აკადემიამ სთხოვა საქართველოს კულტურის სამინისტროს მოსკოვში კავკასიის ხალხთა ისტორიისა და კულტურისადმი მიძღვნილი გამოფენის „კავკასიური სამყაროს“ ორგანიზებასთან დაკავშირებით, მათთვის დროებით მფლობელობაში გადაეცათ ახალი და თანამედროვე რუსული ხელოვნების კოლექციის ექვსი ექსპონატი, რომლებიც შესაბამისი აქტით გადაეცა კულტურის სამინისტროს თანამშრომელს და გაიგზავნა მოსკოვში. დღემდე ეს ნამუშევრებიც არ დაბრუნებულა.

წარმოდგენილი ინფორმაციით ხელოვნების მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების კოლექციის ფერწერის ფონდიდან შეჯერების წინასწარი შედეგებით, 62 ექსპონატია დროებით სარგებლობაში გადაცემული, აქედან 57-ზე არსებობს შესაბამისი აქტი, ორი ნამუშევრის (გ. ჯაშის „ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტი“ და ბ. ფოგელის „თელავი“) გადაცემის დამადასტურებლად წარმოდგენილია სამინისტროს (1990 წლის №3/310 და 2003 წლის №3/61) ბრძანებები, ხოლო 3 ექსპონატზე მოძიებულია მხოლოდ სამხატვრო აკადემიის რექტორის წერილი ამ ექსპონატების გადაცემის თხოვნით“.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ივანე (ვანო) ფანცულაიას მოსაგონარი



40 დღე გავიდა, რაც ნაადრევად გადაინაცვლე სამუდამო სასუფეველში. შენი იმქვეყნად წასვლით კიდევ ერთი ღირსეული ქართველი, აუდიტორული კომპანია „კომპაუდის“ დირექტორი და დამფუძნებელი ივანე ფანცულაია დააკლდა ქალაქს.

40 დღეა, შენს თანამშრომლებსა და მეგობრებს აღარ გვესმის შენი მოკითხვითი ფორმის მოსალმება — „ბატონო ჩემო, როგორ ბრძანდებით?“. იშვიათია შენნაირი გულისხმიერების, ერთგულებისა და პატრიოტული გრძნობების მატარებელი პიროვნება. სამაგალითოდ დარჩება შენნაირი შრომისმოყვარეობა და საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულება.

რა სამწუხაროა, რომ შენი ღირსებებისა და გულითადობის საკითხებზე წარსულში გვიწევს საუბარი.

კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებთ შენს ოჯახს, შვილებს, რძალს, შენს საყვარელ პატარა შვილიშვილს, თქვენს მრავალრიცხოვან ნაცნობ-მეგობრებსა და კოლეგებს. ყველა მათგანს შეუძლია, იამაყოს იმით, რომ იყვნენ ისეთი ბრწყინვალე პიროვნების ახლობლები და მეგობრები, როგორიც იყო ჩვენი ვანო ფანცულაია.

*აუდიტორული კომპანია „კომპაუდის“ თანამშრომლები*

სოსო და ვალიკო ნაყოფიები სამძიმარს უცხადებენ მურთაზ ქირიას ძმის

**გონელი ორესტის ძე ქირიას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. კუთხე საქართველოში; 3. რაიმეს ცვლის, განვითარების პროცესი; 4. მზის გარშემო მოძრავი მცირე ზომის ციური სხეული; 5. ვულკანი ისლანდიაში; 6. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 8. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 11. სამწახნაგოვანი პირის მქონე იტალიური ხანჯალი; 14. ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინის კარპატებში; 15. ჩინეთში გამოყვანილი დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 16. პროვინცია ირანში; 17. საბერძნეთის კუნძული ეგეოსის ზღვაში; 19. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო სამხედრო გემი; 21. ალალბედზე მოქმედება; 22. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი.

**თარაზულად:** 1. კინოცენტრი იტალიაში; 5. საკვების საჭმელი იაპონური ხის ჩხირები; 7. მოძღვრება ავიაციის შესახებ; 10. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე გავრცელებული სურნელოვანი ვაზის ჯიში; 12. იტალიური სახლების შიგა დახურული ეზო; 13. ჟანგბადის აღმომჩენი ინგლისელი ქიმიკოსი; 16. მონასტერი თეთრიწყაროს რაიონში; 17. ისტორიული სასტუმრო პარიზში; 18. იაპონური აბანო; 20. ისტორიული მოედანი ლონდონში; 22. პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა; 23. პოლონელი გრაფი, დიპლომატი, კომპოზიტორი; 24. აზერბაიჯანული მაწონი; 25. ცხენის ნაშიერი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ყვირილა; 2. ფლუსი; 3. დინამიტი; 4. ჯიბუტი; 5. ათანელი; 6. რამზესი; 11. შარმი; 13. პატენტი; 14. ტიტესტერი; 15. სატურაცია; 17. ესიენი; 18. პრემია; 19. პესო.

**თარაზულად**: 7. გვარლი; 8. ციცინათელა; 9. არიასი; 10. ყაპუზუნა; 12. ჰაუპტვახტი; 14. ტაიმსი; 16. რეგტაიმი; 18. პიტიუნტი; 20. ლექსი; 21. ზრა; 22. რენტგენი; 23. ფიცი; 24. ცოლიკაური.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 2. რეკორდი; 3. ანეკდოტი; 4. ალარმისტი; 5. მღილი; 6. იადონი; 8. ლენონი; 11. სკიპტრა; 14. იანქოშვილი; 15. ყარაყუმი; 16. შემოქმედი; 17. გილდია; 19. პუდინგი; 21. ტიბრი; 22. კრუზი.

**თარაზულად**: 1. არმატურა; 5. მესა; 7. ვოლანი; 9. აკრედიტაცია; 10. დესანტი; 12. ინდიანა; 13. რუსტიკა; 16. შორაპანი; 17. გიდი; 18. სპარი; 20. ტრომბონი; 22. კრუპი; 23. კილენი; 24. ენგური; 25. რამლი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**3 აგვისტო**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6558

ევრო — 2,1919

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5152

100 რუსული რუბლი — 5,0215

## ამინდის პროგნოზი 3 აგვისტოსთვის




# ავთო ენდელაძე 10 საუკეთესოთა შორის მოხვდა

დასრულდა ევროპის ჩემპიონატი 19-წლამდელთა შორის, სადაც საქართველოს 19- წლამდელთა ნაკრებიც ასპარეზობდა. ჩვენებმა ჯგუფში სამივე მატჩი გამართეს, ორი წააგეს – თურქებთან (2:4) და სერბებთან (0:1), ხოლო ერთი ფრედ დაასრულეს – საფრანგეთთან (0:0).



ფინალში სწორედ ჩვენი ჯგუფის წარმომადგენლები გავიდნენ – საფრანგეთი და სერბეთი, რომელიც ბალკანელთა გამარჯვებით დასრულდა (1:0). სერბეთის 19 წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა.

თუმცა, ჩვენთვის ეს ჩემპიონატი იმით უფრო აღსანიშნავი, რომ უეფას ვებგვერდმა გამოაქვეყნა 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის 10 საუკეთესო ფეხბურთელი, სადაც ქართველი ნახევარმცველი ავთო ენდელაძე მოხვდა მეხუთე პოზიციაზე.

**სრული სია კი ასეთია:**

1. იასინ ბენზია (თავდამსხმელი, საფრანგეთი); 2.ალექსანდრ მიტროვიჩი (თავდამსხმელი, სერბეთი); 3.ადრიენ რაბიოტი (ნახევარმცველი, საფრანგეთი); 4.გრატას სირგედასი (ნახევარმცველი, ლიტვა); 5.ავთო ენდელაძე (ნახევარმცველი, საქართველო); 6.პრედგრად რატკოვიჩი (მეკარე, სერბეთი); 7.ჟოზე როდრიგესი (ნახევარმცველი, ესპანეთი); 8.ბერნარდო სილვა (ნახევარმცველი, პორტუგალია); 9.რეცეფ ნიაზი (ნახევარმცველი, თურქეთი); 10.ლუკას ვუნდერბერგი (მცველი, ჰოლანდია)

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ასანთის ქართული სახელწოდება; 2. სამთო საქმეში ვიწრო ხვრელი ქანებში ასაფეთქებელი ნივთიერების მოსათავსებლად; 3. ტყვიის შემცველი მინერალი; 4. საავტომობილო შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი, მოტოციკლეტის გამომგონებელი; 5. მატყუარა, ყალთაბანდი ადამიანი; 6. მამლების ჩხუბი; 11. ღვინის სასმისი თიხის ჭურჭელი; 13. საყოველთაოდ ცნობილი, გაცვეთილი ჭეშმარიტება; 14. მრავალხმიანობა მუსიკაში; 15. მხატვარი, რომელიც ზღვის ხედებს ხატავს; 17. რაიმეს ზღვრული ნორმა; 18. უკრაინელი მოკრივე, რადას დეპუტატი; 19. იაპონური ხის ქოშები.

**თარაზულად:** 7. პიტნით ან ყინულით შეზავებული ვისკი ან კონიაკი; 8. ლამაზად წერის ხელოვნება; 9. ისტორიული ციხე-სიმაგრე სამცხე-ჯავახეთში; 10. ქართველი მგოსანი; 12. ხის ორი ფირფიტისაგან შემდგარი მუსიკალური ტკაცუნა ესპანური და ლათინოამერიკული ცეკვების აკომპანირებისთვის; 14. გეომეტრიული ფიგურა; 16. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 18. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 20. მდინარის მონაკვეთი ორ მეზობელ კაშხალს შორის; 21. რაიონული ცენტრი რაჭაში; 22. მოსამართლე ძველად საქართველოში; 23. კათოლიკური მღვდელთმსახურება; 24. იაპონური რესტორანი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




# საბავშვო ევროვიზიაზე სექსტეტი წარგვადგენს

*ეკა ირემაშვილი*

საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და წლევანდელი საბავშვო ევროვიზიისთვის 6 ბავშვი შეარჩია. საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფმა ოთხი გოგონასგან და 2 ბიჭისგან დაკომპლექტებული სექსტეტი საუკეთესოდ მიიჩნია. ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ევროვიზიის ფინალურ კონკურსზე საქართველო სექსტეტით წარდგება.

— ოთხი გოგონა და ორი ბიჭი პროდიუსერებმა 22 ბავშვისგან შეარჩიეს. ჯგუფში ყველაზე პატარა წევრი 10 წლის მარიამ შავლაძეა, რომელიც სხვადასხვა მუსიკალურ პროექტში მონაწილეობდა, მათ შორის „ანა ბანაში". 11 წლისები არიან მარიამ სამუშია და თამთა დიასამიძე, ორივეს აქვს კონკურსში მონაწილეობის გამოცდილება. თამთა მღერის ანსამბლ „პატარა ქართველებში", რომლის ხელმძღვანელიც არის მეკო ქავთარაძე. 12 წლის ანა კვანტალიანს კი მაყურებელი პირველად სწორედ საბავშვო ევროვიზიაზე შეაფასებს. 13 წლის საბა ჩაჩუა არის ვოკალურ ანსამბლ „იმედის" სოლისტი. ის 2006 წელს მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ ფესტივალზე „უტრენნაია ზვეზდა", სადაც პირველი ადგილის მფლობელი გახდა. იმავე წელს მოსკოვში ფესტივალზე „მირ დეტსტვა" გრან-პრი მოიპოვა. ის ასევე მონაწილეობდა პროექტში „ანა-ბანა", გახდა „ანა-ბანას" სახე და ფავორიტი. ორი წლის წინ ანაკლიაში გამართულ ფესტივალზე „გოლდენ შელ" აიღო მესამე საპრიზო ადგილი, ხოლო შარშან კი ყაზახეთის ქალაქ ალმა-ატაში გამართულ ევრაზიის საბავშვო ფესტივალზე გრან-პრი დაიმსახურა და მოიპოვა რამდენიმე ქვეყნის საბავშვო ფესტივალის საგზურიც. ჯგუფის მეექვსე წევრი 14 წლის ლუკა გოგიბერიძეა, რომელიც უკრავს გიტარაზე და მონაწილეობდა პროექტში „ახალი საბავშვო ხმა", — განაცხადა საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფის წარმომადგენელმა ნათია უზნაძემ.




საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფთან ერთად ტრადიციულად ბავშვებთან ერთად იმუშავებს გიგა კუხიანიძე. ჯერჯერობით უცნობია, რა დაერქმევა ჯგუფს და რა სიმღერას შეასრულებენ ისინი კიევში საბავშვო ევროვიზიაზე.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2013 წლის საბავშვო ევროვიზიის შიდაშესარჩევი კონკურსი ივნისში გამოაცხადა.

— საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2013 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველოს წარმომადგენლის გამოსავლენად შიდაშესარჩევი კონკურსი ივნისის დასაწყისში გამოაცხადა. საზოგადოებრივი მაუწყებელი წარმატებულ პროექტში მონაწილეობის მისაღებად იწვევდა 10-დან 15 წლამდე ასაკის ნიჭიერ ბავშვებს მთელი საქართველოდან. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს უნდა წარმოედგინათ სიმღერა საკუთარი რეპერტუარიდან — აუდიოჩანაწერი, ფოტოსურათი და ბიოგრაფია. განაცხადების მიღება 10 ივნისიდან 10 ივლისამდე ვივარაუდეთ, მაგრამ საბოლოოდ ეს თარიღი 20 ივლისამდე გავაგრძელეთ, — განმარტა ნათია უზნაძემ.

კონკურსის დასრულებიდან რამდენიმე დღეში საზოგადოებრივ მაუწყებელში შიდაშესარჩევი მოსმენა გაიმართა. ნათია უზნაძის თქმით, კონკურსზე 100-მდე განაცხადი შემოვიდა. მეორე ეტაპისთვის კი 22 ბავშვი შეირჩა. საუკეთესოები საუკეთესოთა შორის საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფმა შეარჩია.

— ევროპის მაუწყებელთა კავშირმა გაახმოვანა, რომ 2013 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსს უკრაინის მაუწყებელი 30 ნოემბერს შაბათს უმასპინძლებს. ევროვიზიის სიმღერის კონკურსისგან განსხვავებით, საბავშვო ევროფესტივალის შემთხვევაში მომდევნო კონკურსი ავტომატურად გასული წლის გამარჯვებულ ქვეყანაში არ იმართება. ქვეყანამ, რომელსაც სურს კონკურსს უმასპინძლოს, ევროპის მაუწყებელთა კავშირში განაცხადი უნდა შეიტანოს. საბოლოო გადაწყვეტილებას კი საინიციატივო ჯგუფი იღებს. საბავშვო ევროვიზია 2012-ის გამარჯვებული უკრაინელი ანასტასია პეტრიკი გახდა. ჩვენს მიერ წარგზავნილმა ჯგუფმა „ზი ფანქიდს" მეორე ადგილი დაიკავა. შარშან საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსს ნიდერლანდები მასპინძლობდა. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის „ევროვიზია ჯუნიორი" წარმატების მომტანი აღმოჩნდა. საქართველო საბავშვო ევროფესტივალის გამარჯვებული ორჯერ გახდა. ჩვენმა პირველმა მერცხალმა ამ კონკურსზე მარიამ რომელაშვილმა მეოთხე ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს კვიპროსზე საქართველოს წარგზავნილმა ჯგუფმა „ბზიკებმა" გამარჯვება მოიპოვა, კიევში ჯგუფმა „პრინცესები" მეექვსე ადგილი დაიკავა, მინსკში მარიამ კახელიშვილმა სიმღერით „მარი-დარი" მეოთხე ადგილი დაიმსახურა, პირველი ადგილი დაიმსახურა ჯგუფმა „ქენდიმ", შარშან კი ჯგუფმა „ზი ფანქიდს" მეორე ადგილი დაიმსახურა. წელს საქართველო თავის წარმომადგენელს საბავშვო ევროვიზიაზე უკვე მერვედ გააგზავნის, — განაცხადა ნათია უზნაძემ.

# აშშ სნოუდენის გამო რუსეთის ქმედებით უკიდურესად იმედგაცრუებულია

აშშ „უკიდურესად იმედგაცრუებულია" რუსეთის გადაწყვეტილებით სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლის, ედვარდ სნოუდენისთვის თავშესაფრის მიცემის გამო, — განაცხადა თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯეი კარნიმ.

აღნიშნულიდან გამომდინარე თეთრ სახლში მიმდინარეობს იმ შეთანხმების გადახედვა, რომლის მიხედვითაც სექტემბრის ჯი 20-ის სამიტის დაწყებამდე ბარაკ ობამას და ვლადიმერ პუტინს სანკტ-პეტერბურგში ორმხრივი შეხვედრა უნდა გაემართათ.

თეთრი სახლის განცხადებით, რუსეთის გადაწყვეტილება ხელს არ უწყობს ორი ქვეყნის ურთიერთობების პოზიტიურ განვითარებას.

„სნოუდენის აშშ-ში ექსტრადაციის თაობაზე მკაფიო და სამართლიანი, ოფიციალური განაცხადებისა და თხოვნის მიუხედავად, ჩვენ უკიდურესად იმედგაცრუებულები ვართ რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით", — განაცხადა პრესმდივანმა.

მისვე თქმით, მოსკოვმა წინასწარ არ მიაწოდა ინფორმაცია ამერიკულ მხარეს სნოუდენისთვის თავშესაფრის მინიჭების თაობაზე.

კერნიმ არაფერი განაცხადა იმის შესახებ, გადადგამს თუ არა აშშ რაიმე სახის საპასუხო ნაბიჯებს ობამა პოტინის ორმხრივი შეხვედრის გადახედვის გარდა.

მისივე თქმით, აშშ რუსეთის ურთიერთობები მრავალმხრივია და ის საკითხების ფართო სპექტს ეხება, რომლის გადასახედად სნოუდენის გამო აშშ მზად არ არის.

გუშინ სნოუდნმა შერემეტევოს აეროპორტის სატრანზიტო ზონა დატოვა, სადაც 23 ივნისიდან იმყოფებოდა. მან რუსეთის ხელისუფლებისგან ქვეყანაში დროებით ყოფნის ერთწლიანი უფლება მიიღო.




სნოუდენის ადვოკატის ანატოლი კუჩერენის განცხადებით, ინფორმაცია იმის შესახებ თუ სად იმყოფება სნოუდენი მისი უსაფრთხოებიდან გამომდინარე არ გახმაურდება.

აშშ ცდილობს სამშობლოში დააბრუნოს სნოუდენი, რომელმაც თვალთვალის პროგრამის შესახებ გაასაჯაროვა ინფორმაცია.

აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სენატორის, „რესპუბლიკელი" ჯონ მაკკეინის აზრით, აშშ-მა უნდა გააფართოოს ქვეყანაში მყოფი არასასურველი რუსების ნუსხა, რომლებიც მაგნიტსკის საქმესთან არიან დაკავშირებული. ასევე დააჩქაროს საქართველოს ნატოში გაწევრიანება და დაეხმაროს რუსულ ოპოზიციას. ეს განცხადებები რესპუბლიკელმა სენატორმა რუსეთის მიერ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის, ედვარდ სნოუდენისთვის თავშესაფრის მიცემის შემდეგ გააკეთა.

„პირველი, რაც უნდა გავაკეთოთ, უნდა გავაფართოოთ მაგნიტსკის აქტის სია, რათა პასუხისმგებლობა დავაკისროთ ადამიანის უფლებების იმ უამრავ დამრღვევს, რომლებიც რუსეთში არსებული დაუსჯელობის სინდრომით სარგებლობს. რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავასრულოთ ევროპაში ჩვენი სარაკეტო დაცვის სისტემის

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ასტროპროგნოზი

## 3 აგვისტო – ნაჩმატებული დღეა

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. **კირჩხიბი** – ნურავის ენდობით, ინფორმაცია გადაამოწმეთ. **ლომი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** – იმიჯის შეცვლა კარგია, იფიქრეთ ამაზე. **სასწორი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ღრიანკალი** – ახალი საქმე გაამართლებს, ფული გექნებათ. **მშვილდოსანი** – გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **თხის რქა** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **მერწყული** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **თევზები** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## 4 აგვისტო – ნაჩმატებული დღეა

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ახალი პერსპექტივა გადაგეშლებათ, მთავარია, იაქტიუროთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** – არ აჩქარდეთ, საქმე მშვიდად აკეთეთ. **ლომი** – ახალ ბინაში გადახვალთ. **ქალწული** – სამეცნიერო მუშაობა კარგად ჩაივლის, გახარებული ხართ. **სასწორი** – მეგობრების წრეში ბევრ ახალ ამბავს გაიგებთ. **ღრიანკალი** – სიყვარულის ქარცეცხლში გაიხლართებით. **მშვილდოსანი** – ბევრ სიახლეს შეიტყობთ, რაც თქვენს ინტელექტს აამაღლებს. **თხის რქა** – ახალი შენაძენი მოგწონთ, სიხარულით აღივსებით. **მერწყული** – დაისვენეთ მყუდრო გარემოში, არ გადაიღალოთ. **თევზები** – სტუმრები მოდიან, მოემზადეთ.

ლურჯი ნითელი ყვითელი შავი